

საქართველოს სამსახურის  
სამსახურ-სამსახური ინსტიტუტის




63 (07h1) 501

# გრძელება

XXII

ТРУДЫ  
ГРУЗИНСКОГО  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО  
ИНСТИТУТА  
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS  
OF THE GEORGIA  
AGRICULTURAL INSTITUTE  
NAMED [REDACTED]  
TBILISI



საქართველოს სამსახურის ინსტიტუტის გამოცემა

თბილისი—1944

საქართველოს საკარისტიკო სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



# ԱՐԴՅԱԿԱՆ

XXII

ТРУДЫ  
ГРУЗИНСКОГО  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО  
ИНСТИТУТА  
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS  
OF THE GEORGIA AGRICULTURAL INSTITUTE  
NAMED [REDACTED]  
TBLILSI

3. სას.-სამეურნეო ინსტიტუტის გამოხვევლება.

ଟଙ୍କାଟଙ୍କାଟଙ୍କା—1944

სარედაქციო კოლეგია

დოც. ბ. ა. რაჭობაშვილი (პ/მგ. რედაქტორი), აკად. ტ. ყ. ჭვარაც-  
ხელია, პროფ. გ. ზ. ღვალაძე, პროფ. ი. ნ. ლომოური,  
დოც. დ. ი. დოლიძე.

Редакционная коллегия

Доц. Б. А. Якобашвили (отв. редактор), акад. Т. К. Кварац-  
хелиа, проф. В. З. Гваладзе, проф. И. Н. Ломоури,  
Доц. Д. И. Долидзе.

## შ 0 6 2 9 6 6 0 — СОДЕРЖАНИЕ

1. გ. ს. ჩახიძაია—მანდარინის ხის მსნმოარაბის ჰერიტულობასთან ბრძოლის საკითხი	5
М. С. Чачибая—К вопросу о борьбе с периодичностью плодоношения ман- дариновых деревьев	23
2. ა. ვ. ჯაჭაბია—ვეგეტატიური მუტაციები ნარინჯვანებში	25
А. В. Джагания—Вегетативные мутации цитрусовых культур	36
3. ი. ი. ჩხეუბია ბაზილი—მასალები ტყუბ ბაგეთა შესახებ	39
И. И. Чхебianiшвили—О близнецах—устыцах	44
4. ა.ლ. ი. ბადავაძე—ქლიავის მხერებას ბიოლოგია-ეკოლოგიასა და მასთან ბრძო- ლის ღონისძიებათა შესწავლისათვის	47
Ал. И. Багдадавадзе—К изучению биоэкологии и мер борьбы против сли- вяного пилильщика	60
5. გ. ა. სიხარულიძე—განვითარების არჩევითობის საკითხისათვის საქართველოს ხორბლის ეკოტიბებში	63
M. A. Сихарулидзе—К вопросу об избирательности при оплодотворе- нии грузинских экотипов пшеницы	69
6. ბ. ი. ჩეგევა ი—საქართველოს მგარი ხორბლის (Tr. Durum. Desf.—თავთუხი) სახესხვაობითი შემადგენლობა	71
Н. И. Чекели—Разновидности твердой пшеницы (Tr. Durum Desf.—Тавтухи) в Грузии	77

ტრიალი 300. | ხელმოწერილია დასაბჭედად 31/II-15. გ. უ 01385. ფაქტმათა რაოდნობა 5. სასტ. ნიშანი ფურტმში 50.000. ანაზობის ზომა 7×11. შეკვ. № 25. ლ. პ. ბერიას სახელმისამართის სამსახურის მიერ მიღებული ინსტრუმენტის სრუპპა-ლითოგრაფია, თბილისი, მარის ქ. № 33.

ТРУДЫ XXII Грузинского СХИ имени Л. П. Берия, ул. Марра № 33.

## Тбилиси

1944

**მანდარინის ხის ზრდისა და მხებოიარის თავისებურებანი**

ტენიანი სუბტონიკების ზონის ბუნებრივი პირობები მთელი რიგში სცენა ციფრიკური თავისებურებანით გმოიჩინება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ორგორუ ბუნებრივ პირობათა კომპლექსის შემაღენელ ცალკეულ ელექტრონულ მენტრა, ისე მათი ჯგუფების ძლიერი ცვალებადობა მეტად მცირე ტერიტორიების მანქილზე. ასე, მაგალითად, ამ ზონის ბორცვებინ არაიონებში ერთი და იმავე ბორცვის ფერდობებზე განლაგებულ ნაკვეთებზე შეიძლება შევამზინოთ სხვადასხვაგვარი ტემპერატურა, განათების სიძლიერე, ქარების ძალა, ნიადაგის სხვაობან და ა. შ. იმს შინებული თუ ჩომელ ფერდობზე ან ცალკეული ფერდობის არმელ ნაწილშია მოხატებული ესა თუ ის ნაკვეთი, მა იმისაც

ბუნებრივ ფაქტორთა ეს განსხვავებანი ჩვეულებრივ იმდენიც მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია შათ ანგარიში არ გაეწიოს მანტარინის ხის კულტურის ცრონას. გვიტამ მანტარინის შალადი და მყარი მოსავლის შილებისაკენ მიძართულ აგროტექნიკურ ღონისძიებებთა სისტემის დამუშავებებსას აუცილებელია დიფერენცირებულ იქნას ეს სპეციალ კონკრეტულ ტერიტორიის ბუნებრივი პირობების მიხედვით, რომელზედაც იგი უნდა იქნას გამოყენებული.

ასეთ თავისებურებას, პირველ რიგში, წარმოადგენს მანდატინის სპეცი-  
ფიკური ოფისება წარმოქმნას არადენისე ტიპის ყლორტები, რომელებიც გან-  
სხვავებული თვისებებით ხასიათდებიან.

ყლორტების პირველი ტიპი წარმოდგენილია, ე. შ. „ერთჯერმოზარდი“ ყლორტებით, რომელთა დიდი უმეტესობა ვითარდება სავეგეტაციო სეზონის პირველ პერიოდში (აქარაში აპრილ-ივნისის განმავლობაში) და მხოლოდ ნაწილობრივ—მეორე პერიოდში (აგვისტო—სექტემბერში). ამ ყლორტებს ზრდის განსაზღვრული ვადა აქვთ, რაც ჩვეულებრივ 2—2,5 თვეს არ აღემატება. თავისი ზომით ისინი, როგორც წესი, არ გამოირჩევიან დიდი სიმძლავრით მერყეობენ 1—10—15 სმ-ის ფარგლებში და იშვიათად აღწევენ 20—25 სმ-ს. გამონაკლისს წარმოადგენენ შემოდგომის ზრდის ერთჯერმოზარდი ყლორტები, რომლებიც სიგრძით ზოგ შემთხვევაში 70—80 სმ-ს და მეტსაც კი აღწევენ.

მეორე ტიპიც ერთჯერმოზარდი ყლორტების ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით მას არ ახასიათებს შეწყვეტა ზრდაში მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ასეთ ყლორტებს „განუწყვეტლად მოზარდ“ ყლორტებს კუჭოდებთ. ისინი ხასიათდებიან განსაკუთრებული სიმძლავრით, მეტად დიდი ზომის, ძლიერ კრიალა ფოთლებით და დიდი მუხლობრისებით. ერთჯერმოზარდი ყლორტები კი მუხლობრისების შეზღუდული ზრდით და პატარა ზომის ფოთლებით გამოირჩევიან. ასეთი ყლორტები უფრო ხშირად ხის ტანხე ან კრონის ძირითადი ტოტების ძირში არსებული მძინარე კვირტებიდან ვითარდებიან, ჩვეულებრივ, ჯანსაღ ახალგაზრდა ხეებზე. საშუალო ხნოვანებისა და ხნიერ ხეებზე (15—20 წელზე მეტი ხნოვანების) ასეთი ყლორტები არ ჩნდება.

ყლორტების მესამე ტიპს მიეკუთვნება „ორჯერმოზარდი“ ყლორტები, ე. ი. ისეთები, რომლებიც სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში ორჯერ იზრდებიან. ამ ყლორტების პირველი ზრდა იწყება გაზაფხულზე და გრძელდება დაახლოებით შუა ივნისამდე, რის შემდეგაც სიგრძეზე ზრდა წყდება. ასეთ მდგომარეობაში ეს ყლორტები რჩებიან აგვისტომდე, რომლის დასაწყისში ან შუა რიცხვებში კვლავ იწყებენ ზრდას. ამ შემთხვევაში წვერის (ტერმინალური) კვირტი, ზოგჯერ კი მის მახლობლად მოთავსებული ერთი ან ორი გვერდითი კვირტიც, მეტად მძლავრ ყლორტებს წარმოქმნიან. განსაკუთრებულ სიმძლავრეს აღწევენ ასეთი ყლორტები მაშინ, როდესაც შხოლოდ წვერის კვირტი იწყებს ზრდას. ასეთ პირობებში ყლორტის ახალმა ნამატმა სიგრძით ერთ მეტრამდე შეიძლება მიაღწიოს. ასეთ ყლორტთა ფოთლები, ისევე როგორც განუწყვეტლად მოზარდისა, კრიალითა და დიდი ზომით ხასიათდებიან; მათი მუხლობრისებიც დიდია. პირველსა და მეორე. (წვერის კვირტიდან განვითარებულ) ნაზარდს შორის საზღვარი აღინიშნება მათ შორის ქერქის რგოლისებრი გასქელებით.

ბოლოს, ყლორტების მეოთხე ტიპს „სამჯერმოზარდი“ შეიძლება ეწოდოს; ისინი იზრდებიან ორჯერმოზარდი ყლორტების მსგავსად, მაგრამ არა ორჯერ, არამედ სამჯერ სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ასეთი ყლორტები, ბროგორც წესი, ახალგაზრდა ხეებისათვის (10 წელზე ნაკლები ხნოვანების ხეებისათვის 10 და 15 სასიათებელი). მათი პროცენტი უმნიშვნელოა. მესამე ზრდას ისინი იწყებენ გვიან შემოდგომით (ოქტომბერში), მაგრამ ჩვეულებრივ ვერ

ასწრებენ ზრდის დასრულებას და დამწიფებას სიცივეების დაწყებამდე, რისთვის  
საც თითქმის ყოველთვის იღუპებიან.

მანდარინის შემდგომ მნიშვნელოვან თავისებურებას მისი მსხმიარობის  
ხასიათი წარმოადგენს. როგორც წესი, მანდარინი მოსავლის მთავარ გასას  
წარმოქმნის ერთწლიან ტოტებზე (ერთწლიანი ტოტი ეწოდება ყლორტს მეორე  
წელს მისი წარმოქმნიდან), ამ თავისებურების გამო ნორმალურად განვითარე-  
ბულ ყოველ ერთწლიან ყლორტზე შეიძლება ჩაისახოს საყვავილე კვირტები  
მისი ადგილმდებარეობისაგან დამოუკიდებლად.

ერთწლიანი ტოტების გარდა საყვავილე კვირტები შეიძლება წარმოქმნას  
მიმდინარე წლის ერთჯერმოზარდმა, ჩვეულებრივ გაზაფხულზე მოზარდმა,  
ყლორტმაც, მაგრამ ასეთი ყლორტების პროცენტი ყოველთვის ციირეა. ჩასახუ-  
ლი საყვავილე კვირტების რაოდენობის მიხედვით ტოტების ცალკეული ტიპები  
მკეთრად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. განსხვავდებიან ისინი დამწიფე-  
ბის დასრულებამდე ნასკვის შენარჩუნების თავისებურებათა მიხედვითაც.

ერთჯერმოზარდი ტოტის ყოველი ფოთლის იღლიაში ისახება 3-4 საყვა-  
ვილე კვირტი, ორჯერმოზარდში კი—1-2. ამასთანავე, ორჯერმოზარდ ტოტებ-  
ზე საყვავილე კვირტების წარმოქმნა ხდება არა ყველა ფოთლის იღლაში,  
არამედ უმთავრესად მათ ზედა ნახევარში ან მესამედში. ერთჯერმოზარდ ტო-  
ტებზე საყვავილე კვირტების წარმოქმნა, ჩვეულებრივ, ხდება ყველა ფოთლის  
იღლაში. ამრიგად, უფრო ნაკლები სიგრძის მიუხედავად ერთჯერმოზარდ ტო-  
ტებს (თუ მათ 10—15 სმ სიგრძე აქვთ) შეუძლიათ მოგვცენ უფრო მეტი ყვა-  
ვილი, ვიდრე ორჯერმოზარდ ტოტებს, რომელთა სიგრძე 80—100 სმ-ს აღწევს.  
მაგრამ სასარგებლო კვირტის მოცემის უნარის მიხედვით პირველ რიგში ორ-  
ჯერმოზარდი ტოტები დგანან; მათში, ე. ი. გუსევას მონაცემების მიხედვით,  
სასარგებლო ნასკვთა პროცენტი 40—45-მდე აღწევს, მაშინ როდესაც ერთ-  
ჯერმოზარდ ტოტებში იგი 8,2—9,1-ით განისაზღვრება.

ამ თავისებურებათა გარდა ერთჯერმოზარდი ტოტების მნიშვნელოვანი  
რაოდენობა ფრიად სუსტია (სიგრძით 1-3-5 სმ) და თუმცა ყვავილობს, მაგრამ  
იცვენს ყველა ყვავილს და თითქმის სრულიად არ იძლევა ნაყოფს. სუსტი ერთ-  
ჯერმოზარდი ტოტები ძალიან მცირე ხანს ცოცლობენ და ჩვეულებრივ 2—3  
წლის შემდეგ მოლიანად იღუპებიან.

ერთწლიანი ტოტების გარდა საყვავილე კვირტები ზოგჯერ შეიძლება  
წარმოიქმნან უფრო ხნიერ—2-3 წლიან ტოტებზედაც; ამ შემთხვევაში ისინი  
მძინარე კვირტებიდან ვითარდებიან, მაგრამ ყველა ასეთი ყვავილი სასიცოცე-  
ლო ნასკვს არ წარმოქმნის.

ყვავილებისა და ნასკვების მომცემი ტოტების ზემოდასახელებული ტიპე-  
ბის გარდა ეს უნარი აქვთ ერთჯერმოზარდ გაზაფხულის ყლორტებსაც. ამ  
ყლორტების ნაწილი, ჩვეულებრივ, ბოლოვდება საყვავილე კოჭრით, რომელიც  
გაცილებით უფრო გვიან ყვავილობს, ვიდრე ერთჯერ და ორჯერმოზარდ ტო-  
ტებზე არსებული საყვავილე კოჭრები. სასარგებლო ნასკვების პროცენტი ასეთ  
ყლორტებზე ძალიან დიდია და ჩვეულებრივ (ე. ი. გუსევას მონაცემთა მიხედ-

ვით) 2—3-ჯერ აღმატება ერთწლანი ტოტების მიერ მოცემული ნიუკენტის პროცენტს. კოკრების რაოდენობა მათხე ჩვეულებრივ ერთს არ ძლება ტება, უფრო იშვიათად—ორი კოკორია. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი ერთჯერმობარდი ყლორტები ნაწილობრივ მძინარე კვირტებიდან წარმოიქმნებიან ხის სხვადასხვა ადგილზე.

ჩვენი დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მივეღით, რომ მანდარინის ხეში მსხმოიარობის უნარი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი რიგისაა ტოტი, როგორც ამას ამტკიცებს ე. ი. გუსევა. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსხმოიარობის პოტენციური უნარი მანდარინში აქვს ყველა ერთწლან ტოტს ან ერთჯერმობარდი ყლორტს რომელი რიგისაც არ უნდა იყოს იყი, თუ ეს ყლორტები ნორმალურად ძრინ განვითარებული. ამრიგად, მსხმოიარობის სამივე ტიპი შეიძლება შეგვხვდეს ერთდროულად მსხმოიარე, ჯანსაღ და კვების ნორმალურ პირობებში მყოფ ხეში.

მოცემული პროდუქციის ლირსების მიხედვით პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებული მსხმოიარე ერთჯერმობარდი გაზაფხულის ყლორტი. ასეთი ყლორტებია ჭრივ პირობებში იძლევიან განსაკუთრებით მსხვილ ნაყოფებს (წონით 220 გრამს), რომელიც, არსებული სტანდარტით, საყვრო ხარისხს „ექსტრას“ მიეკუთვნებიან.

მეორე ადგილზე დგანან ორჯერმობარდი ტოტები. უკანასკნელი უდიდეს პროცენტს იძლევიან ისეთი ნაყოფებისას, რომელიც „ექსტრას“, აგრეთვე პირველსა და შეორე ხარისხს მიეკუთვნებიან. დასასრულ, მესამე ადგილზე უნდა იქნან დაყენებული ერთჯერმობარდი ტოტები, რომლებიც ჩვეულებრივ მეორე მესამე მეორე ხარისხსა და ზომის მიხედვით არასტანდარტულ ნაყოფებს იძლევიან.

მსხმოიარობის ტიპების ასეთი ნაირსახობის, აგრეთვე ერთწლან ტოტებზე და ნაწილობრივ გაზაფხულის ზრდის ყლორტებზე მოსავლის მოცემის უნდარის მიუხედავად მანდარინის ხე, ჩვეულებრივ პირობებში, ყოველწლიურად კი არ მსხმოიარობს, არამედ შელგამზვებით.

მსხმოიარობის პერიოდულობა ფრიად მკეთრად არის გამოსახული. თუ ერთ წელიწადს ხეს შეუძლია მოგვცეს დიდი მოსავალი, სამაგიროდ მომდევნოწლელს მხოლოდ ერთეული ყლორტები ან ერთწლანი ტოტები იძლევიან ნაყოფებს, მრავალი მცენარე კი, განსაკუთრებით ძველი ხეები, ნაყოფს სრულებით არ ისხამს.

მანდარინის ხის დამახასიათებელი თავისებურებაა ახალი საფოთლე ყლორტების განვითარების დაზაგრულობაც ძლიერი მსხმოიარობის წეს; ასეთ წლებში შემჩნეულია გაზაფხულის ზრდის ერთჯერმობარდი ყლორტების დიდი რაოდენობის განვითარება. ორჯერმობარდი ან შემოდგომის ერთჯერმობარდი ყლორტები, განსაკუთრებით ძლიერი მსხმოიარობის შემთხვევაში, შეიძლება სრულებით არ წარმოიქმნან. გაზაფხულის ზრდის ერთჯერმობარდი ყლორტების დიდი უმეტესობა ასეთ მოსავლიან წლებში ძლიერ არ იზრდებიან. მათგან ცდებულობთ სუსტ ერთწლან ტოტებს, რომელთაც არ ძალუდი ჩაისახონ ჩაუზღვებრივ პირობებში მრავალი სიყვავილე კვირტი; მთეში უმოავტონესად საფოთლე კვირტები ისახება.

ჩევნთების ცნობილია, რომ მრავალწლოვანი ხეხილის მოსავლიანობის გა-  
დიდები ღამიკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, თვით მცუნარის მძლავრზე.  
მაღალი და მყარი მოსავალი შეპირობისტულია კარგი ნიზარებითა და შეფირთ-  
ლით, რომელიც ხელს უწყობენ მსხმილეებს ზედაპირის გადიდების და პირო-  
ბების შექმნას სანაყოფების კვირცების უკეთ ჩასახვისა, ნაყოფთა გამონასკვისა  
და მათი ზრდისათვეს.


მანდარინის ხის ზრდისა და მსხმიარობის ზემოთ მითითებულ თავისებულ-  
რებათა ცოდნა შესაძლებლობას იძლევა სწრაფად და სწორად იქნას შეფასე-  
ბული ხის შრეგოშარება და მისი ტენდენცია შემდგომი ზრდისა და მსხმია-  
რობისადმი. შეიძლება აგრეთვე მისი ზრდა-განვითარების კონკრეტულ პრო-  
ცესი მნიშვნელოვანი სიზუსტით იქნას გამოვლინებული ის ფაქტორები, რო-  
მელჩიც ზღუდვენ ან ხელს უწყობენ ვარგ ზრდასა და სალალ მოსავლიანობას  
და დასახულ იქნას სათანადო აგროლონისტების.

შანდაბრინის ხეს ზრდისა და მსხმოიარობის აღნიშვნულ თავისებურებებთან  
დაკავშირებით საქმიად გვიჩველებულია აზრი იმის შესახებ, რომ მსხმოიარო-  
ბის გერიოდულობა მანდარინებში მათ ბოლოგიურ თავისებურებას წარმოად-  
გენს. ციტრუსერვანთა შესახებ ლიტერატურაში გვხვდება მოსახრებანი, რომ  
„მანდარინის მოსავლას ეგრეთშოდებულ „პერიოდულობასთან“ ბრძოლის საქ-  
მეში ურთიერთ შინათაღდ აგროტექნიკურ ლონისძიებად უნდა ჩირთვალოს გა-  
სვლა (1), გრეთე გასხვლი და განაყოფება“ (2).

ჩევნი დაკვირვებით მისავლის ზერმოლულობა ძირითადად უნდა აიხსნას მცენარების ცვების არაღიამშემაყოფილებელი, პირობებით (3). მარტივი დაკვირვებითაც კი იჩკვეჭა, რომ მანდარინების მსახურიანობა მით უფრო მაღალია, ხოლო მოსავლიანობის მეტყოება წლების მიხედვით მთ ნაკლებია, რაც უფრო ხელსაყრდება შეხემშეული მცენარის გარეშე პირობები. რასაკვირველია, ძნელია ყოველი იმ საქართველოს მიზნების შეფასება, რომლებიც ქრისტიან მცენარეთა

ჰროდუქტიულობის განსაზღვრულ პირობათა კომპლექსს, მაგრამ დაუცველი მოწყვეტილებები შეიძლება მიიჩნიოთ, რომ ნიადაგობრივი ფონი წარმოადგენს ერთ იმ ძირი-თად ფაქტორთაგანს, რომელიც გავლენას ახდენს მოსავლის სიდიდეზე. ბუნებრივია, რომ ერთნაირი აგრძოტექნიკის პირობებში ჰუმუსი მდიდარი ნიადა-გები, რომლებიც წყლისა და პაერის კარგი რეემით და სხვა დადგებითი თვი-სებებით ხასიათდებიან, უფრო პროდუქტიულები იქნებიან, ე. ი. მაღალი მო-სავლის მოცემის მეტი უნარი ექნებათ. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ცი-ტრუსოვანთა მოსავლის პერიოდულობა ასეთ ნიადაგებზედაც ჩვეულებრივ მოვ-ლენას წარმოადგენს. ეს იმას ნიშავს, რომ მარტო ნიადაგობრივ ფონს აგრძო-ტექნიკის გაუმჯობესებული ხერხების გამოუყენებლად არ შეუძლია გარდამშვე-ტი გავლენა მოახდინოს მყარი და ყოველწლიური მაღალი მოსავლის მიღებაზე. მაგრამ ეჭვს გარეშე, რომ უფრო ხელსაყრელი პირობების მქონე ნიადაგებზე გაცილებით აღვილია პერიოდულობის მოვლენასთან ბრძოლა, რაღაც ისინი არიან რა თავისთვის ნაყოფიერნი, ამავე დროს უზრუნველყოფები სასუქთა უკეთეს გამოყენებას, განსაკუთრებით მათი რაციონალური შეტანის შემთხვევაში.

მანებელის მისავალს გარემონტ დატვირთვის მისავალი  
მასამართებელს სამართლა მისამართებელი  
მიმღები ით



ლօւգրամა 1,

ზემოაღნიშვნულის დასადასტურებლად, მანდარინების საერთო მოსავლის დინამიკა წლების მიხედვით ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებში<sup>1</sup>, და აგ-

<sup>1</sup> ლომიშვილების საბჭოთა მეურნეობები: ახალშედის (ყოფ. I საბჭოთა მეურნეობა), მარნ-ჯავახის (ყოფ. II საბჭოთა მეურნეობა), ციინისგრის (ყოფ. III საბჭოთა მეურნეობა),

რეთვე მონაცემები შოსავლიანობის შესახებ ერთ სრულმოსავლის ხეზე გადა-  
ყვანით, დავუპირისისპიროთ ამ საბჭოთა მეურნეობების ნიადაგობრივ აგრძელებულ  
მიული გამოკვლევის შედეგებს <sup>1</sup>.

ამ გამოკვლევათა შედეგებით დადგენილია, რომ მახინჯაურის და განსა-  
კუთრებით ციხისძირის სუბტროპიული საბჭოთა მეურნეობის ნიადაგები, რე-  
ლიეფის დიდ უსწორმასწორობასთან დაკავშირებით, ხასიათდებიან ძალიან და-  
შლილი და ძლიერ გადარეცხილი წითელმიწებით. ახალშენის საბჭოთა მეურ-  
ნეობაში კი სჭარბობენ უფრო მდიდარი, ნაკლებ გადარეცხილი და უფრო ჰუ-  
მესიანი ნიადაგები.

მონაცემები მანგრარინის საერთო მოსავლის შესახებ წარმოდგენილია 1-ელ  
დიაგრამაში, ხოლო ნაყოფთა საშუალო მოსავლიანობა ერთ სრულმოსავლიან  
ხეზე გადაყვანით ნაჩვენებია 1-ელ ტაბულაში.

ტაბ. 1

	საბჭოთა მეურნეობები	ნაყოფთა საშუალო მოსავლიანობა ერთ სრულმოსავლიან ხეზე გადაყვანით			
		1937 წ.	1938 წ.	1939 წ.	1940 წ.
1	ახალშენის (ყოფ. I საბჭოთა მეურნეობა) . . .	414	439	475	451
2	მახინჯაურის (ყოფ. II საბჭოთა მეურნეობა) .	675	316	766	411
3	ციხისძირის (ყოფ. III საბჭოთა მეურნეობა) .	515	275	901	423

1-ლი დიაგრამიდან და 1-ლი ტაბულიდან ჩანს, რომ მაშინ როდესაც მა-  
ხინჯაურისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებში მანდარინის საერთო მო-  
სავალი და საშუალო მოსავლიანობა წლების მიხედვით ძლიერ მერყეობს, ახალ-  
შენის საბჭოთა მეურნეობაში მანდარინის კრეფის მრუდე და საშუალო მოსავ-  
ლიანობა ერთ ხეზე თითქმის არ იძლევა გადახრებს (თუ მხედველობაში არ  
მიყიღებთ საერთო მოსავლის ცოტაოდენ შემცირებას 1937 წ.).

ერთის შეხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ ახალშე-  
ნის საბჭოთა მეურნეობაში მსხმოიარობის პერიოდულობას ადგილი არ ჰქონია  
და რომ ყველა ხე იქ ყოველწლიურად მსხმოიარობს. არსებითად კი მდგომა-  
რეობა სულ სხვაგვარია. მართალია აქ მსხმოიარობის პერიოდულობა რამდე-  
ნადმე უფრო სუსტად გამოვლინდა, ვიდრე მახინჯაურისა და ციხისძირის საბ-  
ჭოთა მეურნეობებში, მაგრამ საერთო მოსავლის რყევადობის უქონლობის მთა-  
ვარი მიხედი სხვა იყო. მახინჯაურისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებში  
სჭარბობს ისეთი პლანტაციები, რომლებშიც ხეების უმეტესობა მსხმოიარობს  
რა ერთ წელიწადს, მომდევნო წელს მთლიანად ვეგეტირობს ანდა მხოლოდ  
უნიშვნელო ნაწილი მსხმოიარობს. ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში კი ისეთი

<sup>1</sup> გამოკვლევა ჩატარებული იყო სასუქების, აგრონომული და აგროტექნიკის  
სრულიად საკაგმირო ინსტიტუტის ბათომის ბაზაში ვ. გ. პეტროვსკისა და ს. მ. რევიას მიერ.

ჭლანტეციები, რომელებიც ერთ წელიწადს შთლიანად მსხმიარობენ, ზურდევების სრულიად არა, ანდა სუსტად, გაცილებით ნაკლებია. მსხმიარობის მორიგეობას აქ უმეტეს შემთხვევაში აღვილი იქვე პლანტაციის ფარგლებში, ე. ი. ხეების ნაწილი მსხმიარობს ერთ წელს, ნაწილი კი მომდევნო წელს.

სწორედ ამ გარემოებით იახსნება ძირითადი ის, რომ მოსავლიანობის მრუდე ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში თითქმის არ იძლევა გადახრებს, ხოლო ნაყოფით საშუალო მოსავალი ერთ ხეზე. არ იძლევა ო აგრეთვე გადახრებს, გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე მოსავლიან წლებში მახინჯაურისა და კინიძირში. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც. რომ რყევადობა მოსავლის რომელიმე მიზანის წლების მიხედვით კოდექტურო კუვეთრად იქნებოდა, გამოხატული, რომ მოსავლის საერთო რაოდენობაში არ შექმნდეთ მსხმიარობაში ახლად შესული ახალგაზრდა ხეების მოსავალი, რომელიც ნაწილობრივ ამცირებს, მა რყევადობას.

ამრიგად, მოყვანილი შასლი ადასტურებს ჩევნს დაკვირვებას იმის შესხებ, რომ მარტოდ-მარტო ნიადაგი, როგორც ფონი მცენარეთა ნორმალური განვითარებისა, არ წარმოადგენს მანდარინის მსხმიარობის პერიოდულობის გამოწვევე მთავარ ფაქტორს. იგი დამოკიდებულია პარობათა მთელ კომპლექსზე. უკანასკნელში ძალიან დიდ როლს ასრულებს აგრიკული კიბე, სისტემა, რომელშიც მეტი მნიშვნელობა აქვს კვების პირობებს, შექმნილ მცენარეთათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ციტრუსოვან კულტურათა კვების სისტემა უნდა გამომდინარეობდეს ყოველი ხის ინდივიდუალურ თავისებურებათავან, რის აუცილებლობაზე. ჯერ კიდევ 1935 წელს მიუწინებდა ბმს. ლ-პ. ბერია. 1935 წელს მიუწინებდა ბმს. ლ-პ. ბერია. რამდენიმე ჩევნის წინაშე და დაკვირვებები. ამედვენებდა ზემომყვანილი ფამიკიდებულების არსებობას მანდარინის ხის მსხმიარობასა და კვების პირობებს შორის, ჩევნ მიერ დაყენებულ იქნა სპეციალური ცდა, რომლის მიზანიც იყო შექმნებულ დამოკიდებულების შემოწმება.

ცდა დაყენებულ იქნა 1937 წ. ახალშენის სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობაში 9 წლის ხნოვანების (1928 წ. დარგული) მანდარინის განვითარების შესდევით ერთგვაროვან პლანტაციაში, რომელიც საკმაოდ მკვეთრად გამოხატული მოსავლის პერიოდულობით ხასიათდებოდა<sup>1</sup>. საცდელად აღმული ნაკვეთი მოთავსებულია ბორცვის ჩრდილო-დომისაკლეთ ფერდობზე. ფერდობის დაქანება მერყეობს  $20^{\circ}$ -დან  $24^{\circ}$ -მდე. ნაკვეთი დატერასებულია. ნიადაგმცოდნის ვ. გ. პეტროვეკის დახასიათებით ნიადაგი წარმოდგენილია წითელმიწებით ნარინჯისფერ-მური თანიანზე, ალაგ-ალაგ რამდენადმე ჩონჩხიანით. ზედა პირიზონტის (A) შეფერვა ჰუმუსით საშუალო ინტენსივობისაა და თანდათანობით მცირდება სილრმისაკენ. სტრუქტურა მარცვლოვან-კოშტოვანია. ჰუმუსის შემცველობა ნიადაგის ყველშილურად დასმუშვევებელ ფენაში ( $0-20$  სმ) მერყეობს  $3,7$ -დან  $4,4\%$ -მდე, შემდეგ ფენაში ( $20-40$  სმ)  $-2,6$ -დან  $3,1\%$ -მდე. საერთო აზოტის შემცველობა

<sup>1</sup> ამჟად მანინჯაურისა და კირიკეს საბჭ. მეურნეობებში ტარლება ჩვენ მიერ ცდები არ საკუთრის უცრო ფართოდ შესჭადლის მინით.

ცველობა ზედა ფენაში ( $0-20$  სმ) —  $0,17$ -დან  $0,20\%$ -მდე. საერთო  $P_2O_5$ -ის რაო-  
ლენობა ნიადაგის იმავე ფენაში მეტყველის —  $0,12$ -დან  $0,17\%$ -მდე. მოძრავი ქართული  
მხოლოდ ნიშნებია. ამრიგად, ნაკვეთის ნიადაგი წიარმოლენილა წითელმიწიო  
მოძრავი ფოსფორმერას დამახასიათებელი უმნიშვნელო რაოდენობით.

ნაკვეთი გაყოფილ იქნა ორ ნაწილად, ერთი ნაწილი 354 ხით როგორც  
საკონტროლო, მეორე ნაწილი კი — 1020 ხით — როგორც საცდელი. ნაკვეთზე  
არსებული ხეების საერთო რაოდენობა გაყვავთ სამ ჯგუფად კატეგორიების  
მიხედვით. პირველ ჯგუფს მივაკუთვნეთ ყველა დიდი ხე უხვი და მძლავრი  
ერთჯერ და ორჯერმოსარდი ყლორტებით, მეორე ჯგუფს — განვითარების მი-  
ხედვით საშუალო ხეები კარგად განვითარებული ყლორტების საშუალო რაო-  
დენობით, მესამე ჯგუფს — ყველა სუსტი ხე, ყლორტების მცირე რაოდენობით.

ნაკვეთის საკონტროლო ნაწილში გამოყენებული იყო აგროწესებით გა-  
თვალისწინებული აგროტექნიკა, როგორიც საბჭოთა მეურნეობაში ტარდება,  
სახელდობრი: ადრე გაზაფხულზე ტერასების ნიადაგის გადაბარვა, გამხმარი  
ტოტების გამოჭრა ხეებზე და აგრეთვე ხეების წამლობა ინსექტისიღებით; მარტში — აპრილის დასაწყისში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა  
შემდეგი რაოდენობით თითო ხეზე: ნაკელი —  $50$  კგ,  $P_2O_5$  სუპერფოსფატის სა-  
ხით —  $175$  გ,  $K_2O$  კალიუმის მარილის სახით —  $60$  გ ღა ს ამონიუმის სულფა-  
ტის სახით  $70$  გ. ამ სასუქების შეტანა ხდებოდა ხის ირგვლივ მობნე-  
ვით. სუპერფოსფატისა და კალიუმის მარილის შეტანა წარმოებდა ნაკელთან  
ერთად. ნაკელის, სუპერფოსფატისა და კალიუმის მარილის ჩაკეთება ნიადაგში  
ხდებოდა  $12-15$  სმ-ის სიღრმეზე, ამონიუმის სულფატისა კი —  $8-10$  სმ-ზე.  
ამას გარდა იყნისში დამატებითი საკვების სახით შეგვერნდა ამონიუმის სულ-  
ფატი მოქმედი ნივთიერების 30 გ-ის რაოდენობით თითო ხეზე.

ზაფხულის განმავლობაში ხუთჯერ ითოხნებოდა ნიადაგის გაფეხვიერებისა  
და სარეველათა მოსპობის მიზნით. ტარდებოდა ხეების ორჯერ შესხურება  
დელფინის საპნის ( $0,6\%$ -იანი) და ანაბაზის სულფატის ( $0,3\%$ -იანი) სხარით.  
აგვისტოსა და სექტემბერში ტარდებოდა შეფრქვევა გოგირდის მტევრით  
ვერცხლისებრი ტკიბის მოსაპობად. ნაკვეთის დანარჩენ ნაწილში იცდებოდა  
სასუქთა შეტანის ხერხების დიფერენციაციის ეფექტუანობა. ზესადმი ინდიგო-  
დუალური მიღვიმის საფუძველზე. გარდა ამისა აქ ტარდებოდა დაზიანებითი  
ლონისძიებები ზოგიერთი ცვლილების შეტანით მათში. არსებოთაღ შეიცვალა  
მინერალურ სასუქთა ნორმები და შეტანის ვადები, აგრეთვე მათი ჩაკეთების  
სიღრმე. ასე, მაგალითად, გაზაფხულზე ნაკელი შეგვერნდა იმავე რაოდენობით  
( $50$  კგ), როგორც საკონტროლო ნაწილზე,  $P_2O_5$ -ის რაოდენობა კი გადიდებულ  
იქნა  $170$  გ-დან  $240$  გ-დე, აზოტისა —  $70$  გ-დან  $120$  გ-დე, ხოლო  $K_2O$ —  
დაგტოვეთ იმავე რაოდენობით თითო ხეზე.

სასუქთა ფორმები იგივე იყო, რაც საკონტროლოზე. ფოსფორი და კა-  
ლიუმი შეგვერნდა ნაკელთან ერთად. ამისათვის ვაწარმოებლით კალიუმის მა-  
რილის მობნევას ნიადაგის ზედაპირზე, შემდეგ მასზე ვაყრიდით ნაკელს და ზე-  
ვიდან სუპერფოსფატს. მხოლოდ ამის შემდეგ უსრევლით მათ ერთმანეთში  
და გაწარმოებლით მათ ჩაკეთებას ნიადაგში  $15-20$  სმ-ზე. ამონიუმის სულფა-

ტი, ოოგორც პირველ შემთხვევაში, შეგვქონდა 8—10 სმ სიღრმეზე სასუკლა  
ქები შეგვქონდა კვების მთელ ფართობზე. ზაფხულში მინერალურ სატექსტურო  
მივე სახეობა გამოყენებული იყო ოოგორც დამატებითი საკვები. სასუქთა შე-  
ტანის ვადები მე-2 ტაბულაშია ნაჩვენები. ამრიგად, ნაკვეთის საცდელ ნაწილში  
შეტანილ სასუქთა ჯამი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საკონტროლო ნაწილში  
შეტანილი სასუქების ჯამს (ტაბ. 2).

მანდარინების განყიფულების ზემოხსენებული წესი ტარდება ჩვენ მიერ აშ  
საცდელ ნაკვეთზე უკვე 4 წლის განმავლობაში. ამასთან, სასუქთა დონები  
იცვლება ნაკვეთის საცდელი ნაწილის ფარგლებში, ინდივიდუალურად, ყოველი  
ცალკეული ხისათვის, ამა თუ იმ წელს ხეების განვითარების ხასიათის შესაბა-  
მისად. კვების ინდივიდუალური ჩარგულირების წესი თვალსაჩინოდ არის ნაჩვე-  
ნები მე-2 ტაბულაში, ოომელიც ამავე დროს ცდის სქემასაც წარმოადგენს.

### მანდარინის ხეების განაყიფრების სისტემა მათი განვითარების ხასიათთან დაკავშირებით

ტაბ. 2

სასუქები (1 ხეზე)	საკონტროლო		ს ა ც დ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი					
	I გადა	დამატე- ბითი გა- მოკვება	სუსტად მსხმოიარე მონარდი ხეები			კარგად მსხმოიარე და სუს- ტად მონარდი ხეები		
			I გადა	I დამ. გამოკვ.	II დამ. გამოკვ.	I გადა	I დამატ. გამოკვ.	II დამ. გამოკვ.
ნაკელი გ-ობით	50 (25.III— 5.IV)	—	50 (25.III— 5.IV)	—	—	50 (25.III— 5.IV)	—	—
ამნიუმის სულფატი გ-ობით	70 (5—12.V)	30 (15-25.VI)	70 (5—12.V)	30 (15-25.VI)	—	120 (5—12.V)	60 (15-25.ღვ)	40 (10-15 VIII)
სუსტერფოს- ფატი გ-ობით P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	175 (25.III— 5.IV)	—	200 (25.III— 5.IV)	—	—	260 (25.III— 5.IV)	180 (25—31. VII)	—
კალიუმის მა- რილი გ-ობით K <sub>2</sub> O	60 (25.III— 5.IV)	—	40 (25.III— 5.IV)	20 (15-20.IX)	—	60 (25.III— 5.IV)	30 (15-20.IX)	—

ცდაში გამოყენებულ ლონისძიებათა მთელი კომპლექსი აგებული იყო ყო-  
ველი ხის განვითარებაში არსებულ ინდივიდუალურ თავისებურებათა პლრიც-  
ხვის საფუძველზე; ლონისძიებათა ამ კომპლექსში შედიოდა:

1. კვების პირობების დიფერენციაცია ხის მდგომარეობაზე დამოკიდებით,  
რომელშიაც იგულისხმებოდა ხის განვითარების სიმძლავრე და მისი მსგან-  
იარობის ხარისხი.

2. მცენარეთა კვების საერთო დონის ამაღლება, იმის გათვალისწინებით  
რომ აგროწესებით რეკომენდირებულ სასუქთა რაოდენობა არ არის საქმარისი  
მოცემული ხნოვანების კარგად მსხმოიარე მანდარინის ხისათვის.

3. სასუქთა შეტანა რამდენიმე ვადაში, ე. ი. დამატებითი გამოკვების  
გამოყენება. დამატებითი გამოკვების გამოყენება სხვადასხვა კულტურისათვის,  
როგორც ცნობილია, მაღალ ეფექტს იძლევა. სუბტროპიკების პირობებში სა-

სუკტია შეტანას სხვადასხვა გადაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა ექნეს წითელმიწა ნიადაგებისა და ციტრუსოვანთა კულტურის სპეციალურობით თვისებების გამო, რაც იმაში მღვიმარეობს, რომ წითელმიწებს აქვთ უჩვეული დაამაგრონ ფოსტორის მუავა, რომ ასეთი ნიადაგებიდან დიდი რაოდენობით ირეცხება აზოტისა და კალიუმის მოძრავი ფორმები, რომ მანდარინის ხე ზრდის სეზონურობით და დიდი სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება.

4. სასუქთა ნარევში P და N-ის შეფარდების გაფართოება, რისი უპირატესობაც ნაჩვენებია სასუქების, ნიადაგმცოდნეობისა და აგროტექნიკის სრულიად საკავშირო ისტიტუტის ბათომის ბაზის გამოკვლევებით.


5. სასუქთა განაწილება მცენარეთა კვების მთელ ფართობზე და არა შარტო ხის განის ირგვლივ წრეში, რადგანაც დაკვირვებიდან ირკვევა, რომ ციტრუსოვანი მცენარეების ფესვთა სისტემა ძალიან სჭრაფად ავსებს ტერასის მთელ ფართობს.

6. სასუქთა ყველა სახეობის უფრო ღრმად ჩაკეთება ნიადაგში.

7. სუბერფოსტატის შერევა ნაკელთან წინასწარ, ნიადაგში მათი შეტანის წინ, რასაც შეუძლია შეამციროს ნიადაგის მიერ P<sub>2</sub>O<sub>5</sub>-ის შთანთქმის სისწრაფე.

## მცენარეების ხერხი გაფართოების ზოგადი ინდუსტრიალური მიზანის საფუძვლის დაგენერაცია

შემთხვევაში კატეგორიების მიმდევროვან ყორიენების  
შემთხვევაში გრძელი დამუშავებით % -ით




დიაგრამა 2.

ცდის შედეგთა აღრიცხვისას მოსავალი ნაკვეთის ყოველი ნაწილიდან ცალკე იწონებოდა. ამასთან ერთად, წარმოებდა ნაყოფთა საერთო რაოდენობის დათველა და სასაქონლო გამოსავლის განსაზღვრა.

ცდის შეფეხბი: მანდარინის პლანტაციის განვითარების ჩვენ მეტ გამოყენებული სის ემის გავლენა ნაევთოს საცდელ ნაწილში ცდის პირველ წელს ვე გამოვლინდა. საცდელ მცენარეთა დიდში რაოდენობაში შესაძლებელი გახდა ამ ფაქტის დაუქვებლად დატვენა.

1937 წლის შემოდგრაზე ჩატარებულმა მოსავლის ორიცემამ და მცენა-  
რეთა შეფასებამ გვაჩვენა, რომ ნაკვეთის საცდელ ნაწილზე არა მარტო მნიშვნე-  
ლოვნად გადიდდა მო-  
სავალი და შესამჩნევად  
გაუმჯობესდა მისი ღი-  
რსება, არამედ მონა-  
ხების გარეაზე

საკონფრონტო მათიდა - საცხენი ნაშილი



დიაგრამა 3.

— 40%. ყოველი ხიდან საშულოდ შეგროვილ იქნა 270 ცალი ნაშოფი, რომელთა საშუალო წონა უდრიდა 15 კგ-ს 1 კგ-ზე მოდიოდა 18 ნაყოფი.

ნაკვეთის ბაკონტ-  
რალო ნაწილში იყო:  
პირველი ჯგუფის ხელ-  
ბი—14% ხელის ცეკვ-  
თო რაოდენობიდან,  
მეორე ჯგუფის—46%  
და მესამე ჯგუფის—

ნაკვეთის საცდელ ნაწილში საჭყისს მდგომარეობაში (ცდის დაწყების) ხეების შეფარდება ჯგუფების მიხედვით ისეთივე იყო, როგორიც საკუნთქმოების ლოში. მოუხედავად ამისა თითო ხის საშუალო მოსავალი მეტი იყო და 324 ნაყოფს უდრიდა, ხოლო თითო ხის მოსავლის წონა — 19,1 კგ-ს, ნაცვლად 15 კგ-ისა საკონტროლო ნაწილში. თითო ნაყოფის საშუალო წონა შეაღენდა 58,8 გ-ს, ე. ი. ერთ კილოგრამზე მოდიოდა 17 ნაყოფი, ასე რომ ნაყოფი უფრო მსხვილი იყო, ვიდრე საკონტროლო ნაწილის ხის ნაყოფი.

ამრიგად, განოყიერების ზემოხსენებული სისტემის გამოყენებით შევძლით ცდის ჩატარების პირველ წელსვე გაგვეღიდებია მოსავალი რაოდენობის მიხედვით  $20\%$ -ით და წონით —  $27,3\%$ -ით.

1937 წელი განსაკუთრებით მოსავლიანი იყო. ამ გარემოების გამო მოსალოდნელი გახდა შენელებულიყო ტემპები მძლავრი ერთჯერ და ორჯერმოზარ. დი ყლორტების წარმოქმნის საქმეში. მართლაც, საკონტროლო ხეებს ემჩნეოდა ახალი ყლორტების შედარებით სუსტი ზრდა, განვითარების ხერხები მოყვაბაზე გავარდებოდა. რაც უკვე მიუთითებ-

და 1938 წელს. სუსტი მსხმოიარობის შესაძლებლობაზე. მაგრამ საცდელი ნაწილის ხეებმა სულ სხვაგვარი სურათი მოგვცა. აქ ხეების დიდმა უმეტესობამ უხვემოსავალთან ერთად მოგვცა ძლიერი ერთჯერმო ზარდი და ორჯერმოზარდი ყლორტების დიდი რაოდენობა. ეს იმის დამადასტურებელი იყო, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული განოყიერების სისტემა დაეხმარა მათ მოსავლიან წელშიაც მოეცათ ძლიერი ვეგეტაციური ზრდა, რასაც ხელი უნდა შეეწყო უხვი მოსავლის მიღებისათვის შემდგომ 1938 წელშიაც.


მეორე წელს ჩატარებულმა დაკვირვებებმა მთლიანად დაადასტურა ჩვენი დასკვნა. 1938 წლის გაზაფხულზე საკონტროლო ხეები სუსტად ყვავილობდნენ, საცდელი ხეები კი — უხვად.

1938 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა მოსავლის აღრიცხვამ და ხეების შეფასებამ მეტად მყაფიო შედეგები მოგვცა. საკონტროლო ნაწილში ხეების

ცარისტიული ნაწილი:  
(354 ც)



ასევე ნაწილი  
(1020 ც)




### ციმობით

დიაგრამა 4.

### კუს ცენტრი

განაწილება ჯგუფების მიხედვით რამდენადმე შეიცვალა (დიაგრ. 2). განვითარდა პირველი ჯგუფის ხეების პროცენტი (25%), აგრეთვე მეორე ჯგუფის მიუკავშირდა შესაბამისად შემცირდა მესამე ჯგუფის ხეების პროცენტი (27%). სამაგივ როდ მოსავალი 1,5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე წინა წელს (დიაგრ. 3). ნაყოფთა. საშუალო რაოდენობა თითო ხეზე უდრიდა 176 ცალს, მათი წონა კი—10,4 კგ-ს. ერთ კილოგრამში იყო 17 ნაყოფი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო აღნიშნული საცდელ-ნაწილში ხეების საერთო მდგომარეობის მიხედვით. აქ პირველი ჯგუფის ხეების პროცენტი 74-მდე გაიზარდა, ნაცვლად 14%-ისა 1937 წ., მეორე ჯგუფის წილი 21%-მდე დავიდა, მესამისა კი—5%-მდე (დიაგრ. 2).




სურ. 1.

მანდარინის ხეთა მსხმიარობის პერიოდულობის ხასიათი (საკონტროლო ნაწილი)

ყველა ხე ხასიათდებოდა უხვი მოსავლით, რომელიც რაოდენობით 1937 წლის მოსავალს არ ჩამოუვარდებოდა, ლისხებით კი სჯობნიდა მას. საშუალოდ თითო ხიდან მოკრეფილ იქნა 317 ნაყოფი, რომელთა წონა 20,3 კგ-ს უდრიდა. ერთ კილოგრამშე მოდიოდა 15,5 ნაყოფი. ამრიგად, ნაყოფები შესამჩნევად უფრო დიდი ზომის იყო, ამასთანავე საცდელ ნაწილში ნაყოფები უფრო აღრე დამწიდა, ვიდრე საკონტროლოში. მსხვილ და საშუალო ზომის ნაყოფთა პროცენტი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საკონტროლო ნაკვეთში, წერილ ნაყოფთა პროცენტი კი ნაკლები. მოსავლის მატება ნაყოფთა რაოდენობის მიხედვით 80%-ს შეადგენდა, წონით კი—95%-ს.

განმეორებითი უხვი მოსავლის მიუხედავად ყველა ხემ საუცხოო ნამზაქტ მოსავლი გვცა ერთჯერმოზარდი და ორჯერმოზარდი ყლორტებისა. ამათგან 1938 წელში კვლავ მნიშვნელოვანი მოსავალი იყო მოსალოდნელი, რაც სინამდვილეშიც გამართლდა. 1940 წელს მოსავალი კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე 1939 წელს, მაშინ როდესაც საკონტროლო ნაწილში აღილი ჰქონდა მოსავლის დაცემას წინა წელთან შედარებით. ეს მოვლენა კარგად ჩანს მე-2 და მე-3 დიაგრამებიდან, რომლებშიც მოყვანალია ნაყოფთა მოსავალი საშუალოდ თითო ხეზე, და აგრეთვე მე-4 დიაგრამიდან, რომელშიც მოცემულია ცნობები ნაყოფთა საერთო მოსავლის შესახებ საცდელი და საკონტროლო ნაკვეთებიდან.



სურ 2.

მსხმოიარობის შეცვლის ხასიათი მანდარინების ხეებისადმი ინდივიდუალურ მიდგომასთან დაკავშირებით (საკონტროლო ნაწილი)

ამრიგად, ცალკეული ხეებისათვის კვების პირობების ინდივიდუალური რეგულირების შედეგად (ძლიერ მსხმოიარე ხეებისათვის სასუქთა გადიდებული დოზების მიცემით იმ ვადებში, რომლებიც შეესაბამებოდა გაძლიერებული კვებისადმი ხეების მოთხოვნილების დროს), შევძელით უკვე ოთხი წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად მოვცესპონ მანდარინის ხეთა მოსავლიანობის პერიოდულობა. როგორც თვალსაჩინოდ ჩანს 1 და მე-2 სურათებიდან, აგრეთვე მათ შესაბამის მე-3, მე-4 და მე-5—6 ტაბულებიდან, 3 წლის შემდეგ ნაკვეთის საცდელ ნაწილში თითქმის სრულებით აღარ იყო შხოლოდ მოზარდი ხეები. როგორც ჩანს, შემდეგში უკვე აღარ იქნება საჭირო განსაკუთრებული ინ-

დირექტორის მიერ განვითარება სასუქთა დოზებისა, არამედ შეიძლება დავკიმაყოფილდეთ ერთ-ნაირი აგროტექნიკით მთელი პლანტაციისათვის ისეთი დოზებისა და გაფენების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს უხვად მსხმოიარე ხეებს. ამასთანავე კარგად განვითარონ მრავალი და მძლავრი ერთჯერ-ორჯერმოზარდი ყლორტები.

**ცნობები საკონტროლო ხეებიდან მანდარინის მოსავლის  
აღრიცხვის შესახებ**

ტაბ. 3

ზის №№	№ 4		№ 5		№ 6		№ 7		№ 8		ნაყოფთა რა-ოდენობა სა-შუალოდ თი-თო ხეზე
	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	
აღრიცხვის ელემენტი.											
წლები	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	
1937	307	16,0	41	2,5	273	15,0	2	0,1	234	12,9	171
1938	51	3,0	334	18,4	38	2,3	311	17,1	39	2,3	154
1939	341	18,8	32	1,9	329	18,1	46	2,8	253	13,9	201
1940	79	4,6	358	19,9	63	3,4	349	19,4	41	2,3	178
ნაყოფთა რაოდენობა თი-თო ხეზე საშუალოდ 4 წლის განმავლობაში	195	10,8	191	10,7	176	9,7	177	9,8	142	7,8	176
											9,7

**ცნობები საცდელი ხეებიდან მანდარინის მოსავლის  
აღრიცხვის შესახებ**

ტაბ. 4

ზის №№	№ 9		№ 10		№ 11		№ 12		№ 13		ნაყოფთა რა-ოდენობა სა-შუალოდ თი-თო ხეზე
	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	
აღრიცხვის ელემენტი.											
წლები	შ	კ	შ	კ	შ	კ	შ	კ	ცალი	კ	
1937	328	21,7	66	4,2	527	19,3	9	0,57	231	16,6	210
1938	295	81,9	411	24,5	261	16,7	368	23,4	228	13,4	311
1939	407	25,1	331	19,8	369	22,1	312	18,8	303	18,2	344
1940	434	26,9	429	26,8	387	24,1	411	24,9	310	18,7	394
ნაყოფთა რაოდენობა თი-თო ხეზე საშუალოდ 4 წლის განმავლობაში	376	23,1	309	18,8	336	20,5	275	16,9	279	16,7	315
											19,2

მოყვანილი მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ მოსავლიანობის დინამიკას წლების მიხედვით ნაკვეთის საცდელ და საკონტროლო ნაწილში, გვარწმუნებენ ჩვენი საწყისი გულვების სისწორეში. მართლაც, ვაწესრიგებდით რა ხეების კვების პირობებს მოცემულ წელში მათი მოთხოვნილების გათვალისწინებით საკვებ ნივთიერებათა მიმართ მსხმოიარობის ან ვეგეტაციის სიძლიერის მიხედვით და ვაინდივიდუალებით რა ამის შესაბამისად, სასუქების დოზებს და შეტანის ვადებს, შევძელით 4 წლის განმავლობაში თანმიმდევრობით მიგველოთ თანდათანობით ზრდადი მოსავალი და ამით მინიმუმამდე დაგვეყვანა მანდარინის ხეების მსხმოიარობის პერიოდულობა.

შანდარინის ხეთა მსხმოიარობის პერიოდულობის ხასიათი  
(საკონტროლო ნაწილი)



ნის №№	1937 წ.	1938 წ.	1939 წ.	1940 წ.	ნაყოფთა რაოდენობა თითო ხეზე საშუალოდ 4 წლის განმავლობაში
	ცალი	ცალი	ცალი	ცალი	
21	42	366	89	411	227
22	861	97	388	151	249
23	386	91	486	104	267
24	348	129	381	166	256
25	129	376	112	464	270
26	289	101	383	113	221
27	391	114	445	133	271
28	57	423	88	488	264
29	413	64	462	51	248
30	286	101	398	139	241
31	269	83	363	167	220
32	422	11	67	46	236
33	366	108	388	117	245
34	19	357	68	397	210
35	394	87	361	123	242
ნაყოფთა რაოდენობა საშუალოდ თითო ხეზე	278	167	325	205	244

მსხმოიარობის ხასიათის შეცვლა მანდარინის ხეებისაღმი ინდივიდუალური მიღებობის შედეგად (საცდელი ნაწილი)

ტაბ. 6

ნის №№	1937 წ.	1938 წ.	1939 წ.	1940 წ.	ნაყოფთა რაოდენობა თითო ხეზე საშუალოდ 4 წლის განმავლობაში
	ცალი	ცალი	ცალი	ცალი	
61	382	313	341	416	363
62	41	451	312	445	312
63	434	326	369	528	414
64	488	209	407	473	394
65	396	301	324	511	283
66	439	366	441	545	448
67	461	323	302	428	378
68	146	287	370	484	322
69	453	342	411	503	427
70	375	383	400	494	413
71	189	322	346	450	327
72	486	331	385	589	448
73	167	364	319	423	318
74	307	293	392	466	387
75	123	385	377	512	349
ნაყოფთა რაოდენობა საშუალოდ თითო ხეზე	331	383	336	484	379



მანდარინის ცალკეული ხეების კვების პირობათა ინდივიდუალური რეგულირების მიზნით ოთხი წლის განმავლობაში წარმოებული ცდის შედეგები, ცალკეულ წლებში მათი განვითარების ხასიათის, ე. ი მსხმოიარობისა და ვეგეტაციის სიძლიერის აღრიცხვის საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. მანდარინის ხევბის მსხმოიარობის პერიოდულობის მოვლენა, რასაც ხშირად ვამჩნევთ პლანტაციებში, არ წარმოადგენს მათ ბუნებრივ ბიოლოგიურ თავისებულებას.

2. სათანადოდ დაყენებულმა ცდამ დამაჯერებლად გვაჩვენა, რომ უხვი მსხმიარობის წლის მომდევნო წელს მანდარინების მოუსავლიარობის ძირითად მიზეზს წარმოაღენს საკედ ელემენტთა უკარობა მანდარინის ხის მსხმიარობის დროს, რაც აპირობებს უხვი მსხმიარობის შემთხვევაში მის მიერ მძლავრი ერთჯერ და ორჯერმოზარდი ყლორტების წარმოქმნის შეუძლებლობას.

3. დამატებით მიცემულმა სასუქებმა, შესაბამისს ვადგებში ხელსაყრელი შეფარდებებით, შესაძლებელი გახდა ხების უხვი მსხმოიარობის შემთხვევაშიც მათ მიერ წარმოქმნა მძლავრი ერთჯერმოზარდი და ორჯერმოზარდი ყლორტებისა, რამაც უზრუნველყო ნაკვეთის საცდელ ნაწილში თანაბარი უხვი მსხმოიარობა თოხივე წლის განმავლობაში.

4. მანდარინის ხეების მოვლის ამჟამად გამოყენებული აგრძოტექნიკური ლონისძიებები სასუქთა შეტანის მხრივ არ არის ღამაკმაყოფილებელი, რამდენადც სასუქთა გამოყენება დიფერენცირებულია მხოლოდ ხნივანების მიხედვით ხეების განვითარებისა და მსხმოიარობის გაუთვალისწინებლად, რაც ვერ უზრუნველყოფს ყოველწლიურ მსხმოიარობას და მოსავლიანობის ზრდას.

5. მანდარინის მაღალი და მყარი მოსავალი შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც სასუქთა გამოყენების დროს, ხის ხნოვანების გარდა, მხედველობაში იქნება მიღებული მისი განვითარების ხასიათი და მსხმოიარობის ხარისხი, რისთვისაც შევნარეთა კვების მთელი სისტემა საჭიროა დიფერენცირებულ იქნას ხისაღმი ინდივიდუალური მიზანობის საფუძვლზე.

6. მანდარინის ცალკეული ხეების კვების პირობათა რეგულირების პრაქტიკული განხორციელების მიზნით საჭიროა ვითვალისწინებდეთ ყოველი ხის ინდივიდუალურ მოთხოვნილებას, რისთვისაც, როგორც ამბ. ლ. პ. ბერია მიუთითებდა, ყოველ ციტრუსოვან ხეს უნდა ჰქონდეს თავისი პასპორტი, თავისი ისტორია.

7. კვების პირობათა რეგულირებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ლონისტიგენი:

კარგად მსხმოიარე და სუსტად მოზარდი ხეებისათვის

ა) მინერალურ სასუქთა საერთო რაოდენობის გადიდება: აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქებისა 2—2,5-ჯერ და კალიუმიანი სასუქებისა 1,5-ჯერ.

8) მინერალური სასუქების შეტანა რამდენიმე ვადაში: აზოტოფანი სასუქებისა სამ ვადაში—ადრე გაზაფხულზე 50%, ზაფხულის დასაწყისში 30% ზაფხულის მეორე ნახევარში 20%, ფოსფოროგანი სასუქებისა 2 ვადაში—ადრე გაზაფხულზე 50% და ზაფხულის მეორე ნახევარში 50%, კალიუმის სასუქებისა 2 ვადაში—ადრე გაზაფხულზე 70% და ზაფხულის მეორე ნახევარში 30%.

სუსტად მსხმოიარე და კარგად მოზარდი ხეებისათვის

გ) მინერალური სასუქების მიცემა აგროწესებით გათვალისწინებული რაოდენობით შემდეგ ვადებში: აზოტოვანი სასუქებისა 2 ვადაში — აღრე გაზაფხულზე 60% და ზაფხულის დასაწყისში 40%, ფოსფოროვანი სასუქებისა ერთ ვადაში — აღრე გაზაფხულზე, კალიუმის სასუქებისა 2 ვადაში — აღრე გაზაფხულზე 70% და ზაფხულის მეორე ნახევარში 30%.

М. С. Чачибая

## К ВОПРОСУ О БОРЬБЕ С ПЕРИОДИЧНОСТЬЮ ПЛОДОНОШЕНИЯ МАНДАРИНОВЫХ ДЕРЕВЬЕВ

## Выводы

Результаты четырехлетнего опыта индивидуальной регулировки условий питания отдельных мандариновых деревьев, из учета характера развития их в данном году, т. е. силы плодоношения или вегетации, позволяют нам сделать следующие выводы:

1. Наблюдающееся часто на плантациях явление периодичности плодоношения у мандариновых деревьев не является их природной биологической особенностью.

2. Соответствующим образом поставленный опыт убедительно показал, что основной причиной неурожая мандаринов после года обильного плодоношения служит недостаток элементов питания во время плодообразования у мандариновых деревьев, обуславливая невозможность образования ими в случае обильного плодоношения в то же время мощных одно и двухростовых побегов.

3. Дополнительно внесенные удобрения, в соответствующие сроки и в благоприятных соотношениях, позволили и в случае обильного плодоношения деревьев— вызвать у них мощные одно и двуххростовые побеги, что обеспечило на опытной части участка одинаково обильное плодоношение в течение всех 4-х лет.

4. Применяемые в настоящее время агротехнические мероприятия по уходу за мандариновыми деревьями в части удобрений недовлетворительны, поскольку применение удобрений дифференци-

руется в них только по возрастному признаку, без учета **характера** развития и плодоношения деревьев, что не обеспечивает ежегодного плодоношения и роста урожайности.

5. Высокие и устойчивые урожаи мандариновых деревьев могут быть получены лишь тогда, когда при применении удобрений, кроме возраста дерева, будут учитываться характер его развития и степень плодоношения, для чего всю систему питания растений необходимо дифференцировать на основе индивидуального подхода к дереву.

6. В целях практического осуществления регулировки условий питания отдельных мандариновых деревьев необходимо исходить из учета индивидуальной потребности каждого дерева, для чего, как указывал Л. П. Берия, каждое цитрусовое дерево должно иметь свой паспорт, свою историю.

7. При регулировке условий питания необходимо предусмотреть следующие мероприятия:

#### **Для хорошо плодоносящих и слабо вегетирующих деревьев**

а) Увеличение общего количества минеральных удобрений: азотистых и фосфорных в 2—2 $\frac{1}{2}$  раза и калийных в 1 $\frac{1}{2}$  раза;

б) внесение минеральных удобрений в несколько сроков: азотистых в 3 срока—ранней весной 50%, в начале лета 30% и в середине лета 20%, фосфорных в 2 срока—ранней весной 50% и в середине лета 50%, калийных в 2 срока—ранней весной 70% и в конце лета 30%.

#### **Для слабо плодоносящих вегетирующих деревьев**

в) Внесение минеральных удобрений по агроправилам в следующие сроки: азотистые в 2 срока—ранней весной 60% и в начале лета 40%, фосфорные в 1 срок—ранней весной, калийные в 2 срока—ранней весной 70% и в конце лета 30%.

#### **Для обеих групп деревьев**

г) Смешивание фосфорного удобрения с навозом перед внесением;

д) распределение всех удобрений на всю площадь питания растений и глубокая их заделка.

#### **Л и т е р а т у р а**

1. Коморинский, А.—Борьба с периодичностью урожая цитрусовых культур. Бюллетень ВНИИЧСК, № 2, 1939 г.
2. Тавбериձե, И.—Борьба с периодичностью урожая мандаринов. „Советские Субтропики“, № 5, 1938 г.
3. Чачибая, М.—Добиться высоких и устойчивых урожаев мандариновых деревьев. „Советские Субтропики“, № 4, 1939 г.

### პ. 3. ჯალაღანია

#### ვეგეტატიური მუტაციები ნარინჯოვანებში

მსოფლიოს ყველა ციტრუსოვან კუთხეში და ჩვენს სუბტროპიკებშიაც ნარინჯოვანთა ცალკეული ჯიშის ფარგლებში შემჩნეულია, ე. წ. ვარიაციები და ვეგეტატიური მუტაციები.

მე-19 საუკუნის მანძილზე საკმარისად იქნაშესწავლილი ვარიაციები და კვირტის მუტაციები ციტრუსოვან კულტურებში (პოვარდი და ფროსტი, 12). Gallsio და Rissio-მ მრავალი შემთხვევა აღნიშნეს მუტაციებისა ციტრუსებში. შემდგომ ეს დაადასტურა ტანაკას (მან იაპონიაში 30-მდე მუტაცია გამოყო მანდარინებში) და შამელის (კალიფორნია) მუშაობამ. შამელი პირველი ციტროლოგთაგანი იყო, რომელმაც პრაქტიკულად შეაფასა ციტრუსებში ვარიაციული მოვლენები. კალიფორნიის დიდ ბალებში მოუსავლანი ხეების შესწავლამ დაადასტურა, რომ მოუსავლიანობა რიგ შემთხვევებში ვა-



სურ. 1.

მოწვეულია თვით ცალკეული ინდივიდების ბიოლოგიური თვისებებით. ამის შედეგად შემოღებულ იქნა, როგორც სისტემა, სადედე ხეების შესწავლა, ცალკე გამოყოფა და მათგან კალმების აღება. ამ მიზნით ჩამოყალიბდა სპეციალური „კვირტის ტრესტი“.



რით არის გამოშვეული ვარიაციები და მუტაციური მოვლენები მოვლენების მიზნების მიზნები და ვარიაციები როგორც ფაქტი დადასტურებულია, მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზები არ არის ზესტად შესწავლილი და საბოლოოდ დადგენილი. ამის შესახებ არსებობს უამრავი შეხედულება. პოვარდი აღნიშნავს, რომ მუტაციური მოვლენების შესახებ თანამედროვე გენეტიკური თეორია სამ შესაძლებლობაზე მიგვითოთებს, რომელთაგანაც შეიძლება იყოს გამოწვეული ეს მოვლენები. 1. გენ-თა მუტაციები, 2. ქრომოზომალური აბერაცია, ე. ი. ქრომოზომების კომპლექტის დარღვევა ან კიდევ ქრომოზომების მთლიანი თუ ნაწილობრივი დაკარგვა და 3. კომპონენტების გადაჯგუფება ქიმერებში.



სურ. 2.

ზოგი მუტაციურ მოვლენებს ხსნის საკვები რეჟიმის შეცვლით, რომლის დროსაც უჯრედთა განწყობა იცვლება; ზოგი მექანიკური ზემოქმედებით, ან მძიმე მეტეოროლოგიური პირობებით, ულტრაიისფერი სხივების გავლენით და მთელი რიგი მოვლენებით.

ვრცელი მეცნიერული მონოგრაფია კვირტის მუტაციებზე მოცემულია Kramer-ის შრომაში. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ყველა მკვლევარის შრომაში მხოლოდ ფიქსირებულია მუტაციური და ვარიაციული მოვლენები, ხოლო გამომწვევი მიზეზები ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ არის გაშუქებული და კიდევ შესწავლის პროცესშია. ვეგეტატიური მუტაციებისა და ვარიაციების ენდო და ეგსოგენური მოვლენების შესწავლა გენეტიკოსთა შემდგომი კვლევა-ძიების საგანს შეადგენს.

მრავალწლიანი კულტურები, კერძოდ ნარინჯოვანები, რომლებიც რთული ჰეტეროზიგოტული წარმოშობის არიან, ხასიათდებიან ხშირი ვარიაციებით და კვირტის მუტაციებით. შერჩევის გზით გამოყოფილია ამჟამად მსოფლიოში ცნობილი ჯიშები, როგორიცაა: მანდარინი „უნ შიუ“, რომელსაც იაპონიაში თვლიან ჩინური ჯიშის მანდარინიდან წარმოშობილად Huang yen Chekiang-ის პროვინციიდან; ფორთოხალი „გაშინგტონ ნაველი“, რომელიც, როგორც ამას ამტკიცებს შამელის მონაცემები, წარმოადგენს ბრაზილიის ფორთოხალ „სელესტიას“ მუტაციას,

საუკეთესო ხარისხის ფორთოხალი „იაფა“, რომელიც პალესტინაშია გაგრძელებული, წარმოადგენს ადგილობრივი არაბული ჯიშის „ბელადის“ კლონს. ვაკეტატიურ ვარიაციებს წარმოადგენენ აგრეთვე გრეიპფრუტები: ფრანგული შერჩი და სხვა. ამიტომაც მუტაციებისა და ვარიაციების მატარებელი ფორმების გამოყოფა და შესწავლა დიდი მეცნიერული, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია. ამრა.

კილი მკვლევარები: სეინგლე, შამელი, ვებერი, ფროსტი და სხვები (Swingle, Shamel, Webster, Frost) მიგვითოთებენ იმაზე, რომ აუცილებელია ფართოდ გავშალოთ კვლევითი მუშაობა და სისტემატური შერჩევა-გამოვლინება ვაწარმოოთ ცალკეული კლონებისა და მუტაციებისა. ამ დროს შესაძლებელია გამოვყოთ და ჩაენერგოთ წარმოებაში საუკეთესო სამეურნეო ღირებულების ფორმები. ეს საკითხი პირველ რიგში, სელექციონერების შემდეგ, დგას თითოეული აგრონომისა და გამოცდილი პრაქტიკოსი მებაღის წინაშე. ჩვენში თითქოს აწარმოებენ სადედე ხების გამოყოფას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არა-დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და ხშირია შემთხვევები, როდესაც სადედედ უვარების ფორმების გამოყოფას ახდენენ.

მსოფლიო მკვლევარების მონაცემებით მტკიცდება, რომ ვარიაციებსა და მუტაციებს შორისაც უამრავია უვარგისი ფორმები. ამიტომაც არის საჭირო უალრესად დაკვირვებული და მუჟაითი მუშაობა, რათა გავწმინდოთ ბალები უვარგის ფორმათაგან და შევკვალოთ ისეთებით, რომლებიც კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, იძლევიან კარგ მოსავალს, მწიფდებიან შედარებით ადრე, უძლებენ ყინვებს და სხვ.

ჩვენში ვარიაციებისა და მუტაციების შესწავლა დაიწყო დოკ. ტაბლია-შვილმა. 1930 წელს მან გამოყო „უნშიუს“ ერთი კლონი, მაგრამ სამწუხაროდ ეს მუტანტი დაილუპა. შემდგომ წლებში მანვე გამოყო „უნშიუს“ ექვსი ვარიაციული ფორმა, რომლების შესწავლა ამჟამადაც გრძელდება.

1935—39 წ.წ. წინამდებარე შრომის ავტორმა შეისწავლა და გამოყო მრავალი ვარიაცია და კვირტის მუტაციები ჩვენს ტენიან სუბტროპიკებში (აჭარაში, გურიაში, აფხაზებში, სამეგრელოში, სოჭაში, ადლერ-კრასნოდარის მხარეში). ეს მუტაციები დაგმყენით ხაძირე Poneirus trifoliata-ზე. ზოგმა მათ-



სურ. 3

განმა 1941 წლიდან დაიწყო მსხმოიარობა. გამოყოფილი მუტაციებიდან ვარიაციებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

№ 1. გამოყოფილია ადლერში (კრასნოდარის მხარეში) 1936 წ. ხე 18 წლისაა, ჩვეულებრივი „უნშიუ“, ფართოფოთლიანი, კრონის ზედა ნაწილში (შუაში) ერთი დიდი ტოტი სრულიად განსხვავებულია როგორც ფოთლის, ისე ნაყოფის თავისებურების მხრივ (სურ. 1).

ფოთოლი აქვს წვრილი, არაერთნაირი, შედარებით გრძელი ლანცეტია, საშუალო ზომა  $8,60 \times 2,78$  სმ. სურათის ზედა ფონზე ნაჩვენებია ერთი ჩვეულებრივი ფოთლების საშუალო ზომა შეაღენს  $10,42 \times 4,96$  სმ-ს მუტანტის ფოთოლი შედარებით სქელია, დაბუშტვა იშვიათად ახასიათებს, ნერვაცია აშკარად გამოსახული აქვს, შეფერვა—მკრთალი მწვანე.



სურ. 4.

კანი თევლი აქვს. ნაყოფის საშუალო ზომა: განი  $3,5$  სმ, სიმაღლე— $3,6$  სმ. 1938 წლისათვის ამ მუტანტიდან უკვე აღიზარდა 26 ძირი ერთწლიანი ნერგი.



სურ. 5.

1939 წ. ნერგები გადაირგო მუდმივ აღგილზე. მათ ძლიერ სუსტი ზრდა ახასიათებდა. ასე, მაგ., 26 ძირიდან 13 ძირს არ ჰქონია მე-3 ნაზარდი. პირველი ველი ვეზიტაციაც ძალზე სუსტი ჰქონდა. საშუალო დიამეტრი უდრიდა  $5,5$  მმ-ს,

პირველი ნაზარდის საშუალო სიმაღლე იყო—5,6 სმ; ფოთლები ფეხზე მდგომი აფეშა. ნაზარდების მიხედვით ფოთლის საშუალო ზომა შეაღვენდა (I წელის სინაზარდები) პირველი ნაზარდის— $9,0 \times 3,5$  სმ-ს, მეორესი— $9,0 \times 4,0$  სმ-ს, ჟუსტური— $8,0 \times 3,0$  სმ-ს.

საერთოდ, ფოთლის საშუალო ზომა უდრის  $9,0 \times 3,5$  სმ-ს. ასე რომ მთლიანად შეინარჩუნა მუტაციური ოვისებები სანერგის პირობებშიაც.

№ 2- გამოყოფილია აფხაზეთში 1935 წელს. ხე 20 წლისაა. ერთი პატარა ტოტი კრონის ქვედა ნაწილში სრულიად განსხვავებულია სხვა ტოტების ფოთლებისა და ნაყოფებისაგან. თითქმის ისეთივე, როგორიც № 1 მუტანტი, მხოლოდ ცოტა უფრო განიერი ფოთლები აქვს. ნაშენი 1938 წელს გადაირვო მუდმივ ადგილზე. ნერგმაც ისეთივე ფოთლები მოგვკა, როგორიც ჰქონდა დედამცენარეზე გამოყოფილ ტოტს (სურ. 2).


ნერგს ზრდა საშუალო ინტენსიონისა აქვს. ერთწლიანი ნერგის  $d = 7,0$  მმ-ს. 7 ძირიდან 6 ძირს აქვს სამ-სამი ნაზარდი. ნერგის სიმაღლე საშუალოდ 45 სმ-ია, ფოთლი ნახევრად ფეხზე მდგომი—ღეროს მიმართ აკეთებს  $55^{\circ}$  კუთხეს.

ნაზარდების მიხედვით ფოთლის ზომა ასეთია: პირველი ნაზარდისა— $8,0 \times 4,0$  სმ, მეორესი— $9,0 \times 4,5$  სმ, მესამესი— $10,5 \times 5,6$  სმ.

საერთოდ, ფოთლის საშუალო ზომა შეაღვენს  $9,2 \times 4,7$  სმ-ს.

№ 3 მუტანტი გამოყოფილია 1935 წ. აფხაზეთში 17 წლიან ხეზე. ფოთლი ისეთივე წვრილი და ლანცეტია აქვს, როგორიც № 1 მუტანტს, ნაყოფი კი—ბურთისებრი, ხორკლიანი, წვრილი, დაახლოებით ერთნაირი ყალიბისა. სიმაღლეზე სიმეტრიულად აქვს მომწვანო ზოლები. ამ მხრივ საზამთროს მოგვავრნებს. ფსკერისაკენ ოდნავ ბრტყელია, ნაწილობრივ ფუუყე. ნამუენი 1938 წ. გადარგვულ იქნა მუდმივ ადგილზე. ზრდა მეტისმეტად სუსტი აქვს, ერთწლიანი ნერგი ფოთლის მხედვით მთლიანად უახლოვდება დედამცენარეზე არსებულ მუტანტს (სურ. 3).

ფოთლი პირველი ნაზარდისა  $7,0 \times 3,0$  სმ-ია, მეორე ნაზარდისა— $9,0 \times 3,3$ , მესამე ნაზარდისა— $10,0 \times 4,4$ . საშუალო ზომა შეაღვენს  $8,66 \times 3,57$  სმ-ს. იგი ნახევრად გადაშლილია, ნერვაცია აშკარად გამოსახული აქვს



სურ. 6.

არაპრიალუ ზედაპირით, ძლიერ მუქი შწვანე. 17 ძირიდან შესამე ნაჟარდები კონცენტრაციული მოუკია 10 ძირს, ნერგის საშუალო სიმაღლე 35—45 სმ-ია, ძ=6,0 მმ-მასშტაბთან

№ 4. აღნიშნული მუტანტი 1 მოზრდილი ტოტია ნორმალურად განვითარებული ჩვეულებრივ „უნშიუს“ 17 წლიან ხეზე. შევამჩნიერ 1937 წლის 5 ივნისს, ჯერ კიდევ დაყვავილების პერიოდში ჩაქვის ჩაის მეურნეობაში. ნაყოფით



სურ. 7

თოლთან შედარებით. ყველა ამის გამო ფოთლის ჰაეროვანი ზომა ძალიან მცირეა ნატურალურ სიდიდესთან შედარებით. დაბუშტვა მეტისმეტად ძლიერი, ნახევრად ფეხზე მდგომი, ძლიერ მუქი-მწვანე, პრიალა. ფოთოლი ალგ-ალაგ დაჩრეტილია, ზოგან ნახვრეტი 1 სმ სიღიღისაა, თითქოს ყავისფერ ხოჭოს მიერ იყოს დაზიანებული. მაგრამ 3 წლის განსაკუთრებული მოვლითა და დაკვირვებით დადასტურდა, რომ ეს მოვლენა ფოთლებში ყავისფერი ხოჭოს მიერ კი არა გამოწვეული, არამედ თვით მუტანტისათვის არის დამახასიათებელი. ნერგს ისეთივე დაგრეხილი ფოთლები ქვს, როგორიც მუტანტის დედამცენარეს (სურ. 6).

და ფოთლებითაც ძლიერ განსხვავებული ფორმა (სურ. 4).

ნაყოფი ჩვეულებრივზე უფრო პატარაა, მოგრძო, ძირისაკენ მობრტყო, ნაწილობრივ ფუყვს. კანის ზედაპირი ხორჯლიანი, ოდნავ შესამჩნევი მომწვანო ზოლებით სიმაღლეზე სიმეტრიულად. ყუნწითან ციტრონისებრად ნაოჭიანი. ასეთი ნაყოფი სულ 12 ცალი ჰქონდა. დამწიფებისას ლია ყვითელი. დამწიფდა ოქტომბრის დამლევისათვის, 10 დღით ადრე სხვა ნორმალური ტოტის ნაყოფებთან შედარებით (სურ. 5).

ფოთოლი ყოველ მხრივ განსხვავდება ჩვენ მიერ გამოყოფილი ყველა მუტანტის ფოთლებისაგან. იგი არც ისე პატარაა, მაგრამ მთავარი ძარღვი დაგრეხილი აქვს, თითქოს დაავადებული იყოს. ნერგაცია აშეარად გამოსახული და არასიმეტრიული ჯიშის დამახასიათებელ ფო-

ფოთლის საშუალო ზომა შეადგენს  $8,5 \times 4,5$  სმ-ს, სუსტი ზრდისას და მიმღები რაოდ ნაჩვენები ნერგი ორწლიანია და სიმაღლეზე 55 სმ-ს ძლივს მიაღწია. სულ 15 ძირია აღზრდილი *P. trifoliata*-ზე ნამყენი. ხუთწლიანმა ხუთმა ძირიმა 1942 წლისათვის მოგვცა პირველი მოსავალი.

№ 5 ყველაზე უფრო საინტერესოა თავისი სამეურნეო ნიშანთვისებათა მიხედვით. გამოყავით 1936 წ. სუფსაში (ლანჩხუთის რ-ნში). იგი 12 წლისაა. მთელი ხე წარმოადგენს მუტანტს. უკველია ეს მოვლენა მყნობიდან მომდინარეობს. მყნობელმა და-  
ამყნო კვირტი, რომე-  
ლიც მუტანციური თვი-  
სების მატარებელი იყო  
და ამჟამად ხე მთლია-  
ნად წარმოადგენს გან-  
საკუთრებულ ჯიშს. ხე  
თავისებური ჰაბიტუსის  
მქონეა.

ფოთლის ფართო  
და გრძელია. ყველა  
მათვანი მოხრილია  
ნახევრად — ნავისებ-  
რად. დაბუშტვა სრუ-  
ლიად არ ახასიათებს,  
ლია მუქი მწვანეა,  
ფორმობლისებრი, შე-  
საფერისად მჭიდრო.  
ფოთლის საშ. ზომა  
 $12,6 \times 5,6$  სმ-ია.

ნაყოფი ზედმიწევ-  
ნით ტკბილია. სამწუხა-  
როდ ქიმიური ანალიზის  
გაკეთება ვერ მოხერხ-  
და, მაგრამ ორჯერ  
უფრო ტკბილია ჩვეუ-  
ლეშრივ „უნშიუს“ ნა-  
შოფებზე. 20 ოქტომბრისათვის, ჯერ კიდევ ოდნავ შეკვითლებული, მეტად  
ტკბილია, თავისებური არომატის მქონე და ნაწილობრივ შესაფერისად მომეუ-  
ვო. ნოემბრისათვის ნაყოფი მწიფდება. იგი საშუალო ზომისაა ( $5,8 \times 4,6$  სმ).  
ასეია საშუალოდ ხის სიღიძის შესაბამისად. ნაყოფის გული სავსეა, კანი გადა-  
ჭიმული და საშუალო სისქის, დაახლოებით ერთნაირი ყალიბისა. დიდხანს  
ინახება. 1937 წ. ნაყოფები 5 თვის განმავლობაში სუცხოლი შეინახა  
ჩვეულებრივად. 3 აპიროსის ქაღალდში შეხვეული. გასინჯვისას გამოირკვა,



სურ. 8.



რომ კანი მაგარი ჰქონდა, წიპტა ოდნავ მოყვითალო ჭითელი, ტკბილი და შედგუნი 10 ცალი ნაყოფი კვლავ იქნა შენახული პაპიროსის ქალალდში. თანდათანობით იკლო ზომასა და წონაში; ზომაში დაიკლო მეხუთედი (განი 40,6 მმ, სიმაღლე 36,3 მმ), ხოლო წონა თითქმის მოლიანად დაკარგა (წონის 90%), შიგნით ნაყოფი სრულიად დაცარიელდა. ჩანს, ნაყოფი მაღალხარისხვანი ტრანსპორტაციული მქონეა, 1936 წლის აღწერის მიხედვით, ხის (სურ. 7) შტამბის  $d=10,7$  სმ-ს, შტ. სიმაღლე—17,0 სმ-, ხის სიმაღლე 3,1 მ-ს, კრონა მეჩხერი, საშუალო ზომა  $2 \times 2$  მეტრი. ერთწლიანი ნაზარდები ძლიერი ზრდისა აქვს,—სა-



სურ. 9.

ზედაპირი გლუვი, ადრეული სიმწიფისა—20 კქტომბრისათვის სრულიად მწიფეა. მსხმოიარობა კარგი აქვს. ხსენებული ფორმა გამოყოფილია 1936 წელს ახალ გაგრაში.

ნაყოფის საშუალო ზომა  $5,0 \times 4,3$  სმ. ხე 12 წლისაა, შტამბის  $d=8,4$  სმ-ს, ძირიდან ბუჩქია (შტამბ. სიმაღლე 7,0 სმ). ხის სიმაღლე არას 2,5 მეტრი, კრონა  $2,5 \times 2,3$  მ. ფოთოლი ჩეულებრივი, დაბუშტვა მცირე, ნახევრად ფეხზე მდგომი, საშუალო ზომა  $11,06 \times 4,45$  სმ,

შუალო ზომა 23 სმ-ია. კრონის ქვედა ნაწილში აქა-იქ აქვს ეკლებიც. 1938 წლისათვის 30 ძირი ერთწლიანი ნამყენი ნერგი გადაირგო მუდმივ ადგილზე. ფოთლის ზომით, შეფერვით, ზრდის ტიპის მხრივ და ზრდის ინტენსიურობით ნერგი მთლიანად დედალცენარის მსგავსია (სურ. 8). ფოთოლი ფეხზე მდგომი აქვს. საშუალო ზომა  $12,0 \times 5,3$  სმ (ნატურალური ზომა). ახალგაზრდა ნაზარდები მეტისმეტად წახნაგვანია.

№ 6-იც თავისი პაპიტუსით და ფოთლებით ჩეულებრივია, მხოლოდ ნაყოფები ქვს თავისებური: ფორმა ბურთისებრი, კანი მთხელი და სიმაღლეზე მომწვანო ზოლებით სიმეტრიულად,

1939 წ. დამყნილი 44 ძირი გადარგულია, მუდმივ აღგილზე. ნერგს კარგი  
ზრდა აქვს (სურ. 9). ისეთივე ჰაბიტუსი და ფოთოლი; როგორიც დედამიწის და

№ 7. ეს მუტანტი საინტერესოა იმით, რომ მთელი ხე არის ეკლიანი. სა-  
ერთოდ ცნობილია, რომ „უნშიუ“ არის უკლო. შესაძლოა ახალგაზრდა მცე-  
ნარეზე (სანერგის პირობებში) გამოვლინდეს ეკლები, მაგრამ შემდგომ იკარგება.  
სენებული მცენარე კი 17 წლისა და ყველა ფოთლის იღლიაში ზის 2-3 სმ  
სიგრძის ეკლები. არის 4-5 სმ-იანი ეკლებიც. ხე გამოყოფილია 1936 წ. სუფ-  
საში (ლანჩხუთის რ-ნში). ნაყოფის  
მხრივაც განსხვავებულია; იგი არის  
საქმაოდ მსხვილი, სქელი კანით,  
საქმაოდ ტკბილი. ხე ყოველწლიუ-  
რად კარგად ისხამს. 800—900  
ცალ ნაყოფზე ნაკლები არც ერთ  
წელს არ ასხია. ხის აღწერა შემ-  
დეგ სურათს იძლევა (1936 წ.):  
სიმაღლე 3,3 მეტრი, კრონა მჭიდ-  
რო, თანაბარი—3,5×3,5 მ, და-  
ბუჩქვა ძირიდან.

ფოთოლი მუქი მწვანე, პრია-  
ლა, ზედაპირი ბუშტოვანი, გადა-  
შლილი, სქელი, საშუალო ზომა  
11,4×5,3 სმ.

ნაყოფის საშუალო ზომა 6,0×4,7  
სმ (ამ დროს 1500 ცალი ნაყოფი  
ესხა). 1937 წ. დაიმყნა 40 ძირი.  
1939 წ. გაზაფხულზე მუდმივ აღ-  
გილზე გადაირგო 30 ძირი. ნერგი  
ინტენსიური ზრდისაა, ეკლები  
კიდევ უფრო მეტად გამოვლინ-

და. ყოველი ფოთლის იღლიაში აქვს 3-4 სმ-ის სიგრძის ეკალი ნაზარდების მი-  
ხედვით. შემდგომ ნაზარდებზე ეკლები უფრო ინტენსიურადაა (სურ. 10).

ეკლიანობა არაეითარ შემთხვევაში არ არის დადგებითი თვისება, მაგრამ  
სხვა თვისებები მეტისმეტად საყურადღებო აქვს. შემდგომი ფენოლოგიური და-  
კვირვება და შესწავლა მოგვცემს საშუალებას შემოწმებულ იქნას ამ მუტანტის  
სამეურნეო თვისებები.

№ 1 ლიმონი. მთელ მსოფლიოში საერთოდ საქმაოდ ფართოდ არის  
ცნობილი ლიმონის გარიაციები და მუტაციები, მაგ., ჭრელფოთოლა და ჭრელ-  
ნაყოფა, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ნაყოფებიანი და სხვ.


1939 წ. ჩაქვში ერთ ჩვეულებრივ ტოტზე შევამჩნიეთ 3 ცალი ნაყოფი  
სრულიად განსხვავებული ჩვეულებრივი ნაყოფებისაგან. თვით ლიმონის ხე არის  
დიდი, ახალქართული ჯიშის სახელწოდებით ცნობილი (სურ. 11). ხის სიმაღ-



სურ. 10.

სუ 4,5 მეტრია, კრონა  $4,0 \times 4,0$  მეტრი. მუტანტის ფოთლები ჩვეულებები, მხოლოდ ნაყოფშია განსხვავება.


ნაყოფი მოვრძა, ბოლოსაკენ ოდნავ გამსხვილებული, ძუძუ თითქმის არა აქვს. კანი სქელი აქვს—4,1 მმ. კანის ეთერზეთოვანი ზოლის სისქე 1,5 მმ-ია, კანის ზედაპირი ხორკლიანი, ამორბურცულობისაგან იქმნება ზოლები სიმაღლეზე. ასეთი ზოლების რაოდენობა 20-ს აღწევს. ყუნწთან ეს ბორცვები ერთ-



სურ. 11.

დებიან და 10—12 ცალს შეადგენენ, უფრო სიმეტრიულად არიან განწყობილი და ქმნიან რგოლს. შეა წელში უმნიშვნელოდ ეტყობა, ხოლო ბოლოში 2-4 ცალია აშკარად გამოსახული, რომელიც ძუძუს მიემსგავსება. ზოლები მომწვანოა (სურ. 12).

ნაყოფს თესლი არა აქვს. განატეხიში აღმოჩენდა მილნაირი ლრუ. ჩვეულებრივ ამ ხის ნაყოფებს ლრუ არა აქვს (როგორც საერთოდ) და აქვს 5-ტაცალი ლი თესლი საშუალოდ. სეგმენტი 6-7 ცალი აქვს, ჩვეულებრივ ნაყოფებში 9—10 ცალი. უნდა აღინიშნოს, რომ მუტანტებში სეგმენტების რაოდენობა უზრუნველყოფისა და ბოლოსაკენ მცირდება და 4—5-ს შეადგენს. ისინი არათანაბარი არიან, ერთმანეთს ადვილად სცილდებიან. თვით წიპჭასაც ადვილად სცილდება



სურ. 12.

აპე, ხოლო წიპჭები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. წიპჭა მსხვილია. წვენი ჩვეულებრივზე უფრო მჟავე და წყლის ფერი. კანს სიმწარე არ აქვს.

ზომა მუტანტების და ჩვეულებრივი ნაყოფებისა

სიგრძე მმ-ზებით	სიგანე მმ-ობით				შენიშვნა	
	სუსტ აუს	ან	ტ/ტ	გრ		
1. ჩვეულებრივი ნაყოფები . . . . .	82,6	57,9	22,0	49,1	41,9	საშ. 3 ც-დან
2. მ უ ტ ა ნ ტ ი . . . . .	76,4	56,1	26,9	43,2	43,9	საშ. 3 ც-დან

ჩვეულებრივ ნაყოფებს აქვს საშუალოდ 10,6 მმ სიგრძის ძუძუ. კანის საერთო სისქე 3,0 მმ, ეთერზეთოვანი ზოლისა—1,0 მმ.

როგორც ზემოაღწერილობიდან ჩანს, მუტანტი ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი ნაყოფისგან. გარეგნული შეფასებით საბაზრო ლირებულება ნაკლები



აქვს, მაგრამ ის გარემოება, რომ არა აქვს თესლი, არის ჩვეულებრივ ნაყოფებზე უფრო მჟავე, კანიც არ აქვს მწარე, მას დიდ სამეურნეო ღირსებას აძლევს: „შეს დგომი შესწავლით გამოირკვევა თუ რამდენად მისაღები იქნება ეს ფორმა სხვა სამრეწველო ჯიშთა შორის.

არის მრავალი სხვა გარიაკიაც როგორც „უნშიუს“ ჯიშის ფარგლებში, ისე ლიმონებში, რომლებიც შესწავლის სტადიაშია. ლ. პ. ბერიას სახელობის საქ. სამ. ინსტ.-ის სუბტრობიკული მეხილების კათედრა უაღრესად დიდ მუშაობას ეწევა იმ მხრივ, რომ მომავალში დანერგოს წარმოებაში საუკეთესო ფორმები, რაც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გაფიდებას და საუკეთესო ხარისხის მქონე პროდუქციის მიწოდებას სახელმწიფოსათვის.

#### A. B. Джагалагания

### ВЕГЕТАТИВНЫЕ МУТАЦИИ ЦИТРУСОВЫХ КУЛЬТУР

#### ВЫВОДЫ

1. Изучение вопроса вегетативной мутации цитрусовых культур, ставило своей целью, выделение таких экземпляров, которые обладали бы исключительными свойствами, имеющими хозяйственное значение для внедрения в производство.

2. Из приведенных мутантов среди мандарин сорта „Уншию“ обращает внимание семь мутантов, а из лимон—один.

Указанные формы отмечены как на отдельных деревьях, так и на отдельных их ветвях.

3. Взятые с них почки были окулированы на подвоях *P. trifoliata* и посажены на постоянные места.

В данное время деревья в возрасте от 4 до 5 лет, сохраняют отмеченную в начале свойства в отношении листвьев и плодов.

4. Из выделенных форм большое внимание обращает на себя форма № 4, плоды которой созревают на 15 дней раньше (рис. 5).

Форма № 5—плоды очень сладкие, крупные и круглые, листья похожи на апельсин (рис. №№ 7 и 8). Форма № 7 характеризуется тем, что на них имеются колючи (рис. 10), плоды крупные и круглые.

Лимон № 1, плод без семян, имеет 6 сегментов, более кислый чем обыкновенный лимон (рис. 12). Это свойство повышает его хозяйственное значение.

Дальнейшее изучение указанных форм продолжается.

#### Л О Г И К А Ф О Н ა

1. Тимирязев, К. А.—Дарвинизм и селекция, Москва, 1937 г.
2. ტ ი მ ი რ ი ა ზ ე ვ ი, ჭ. ა.—ჩარლზ დარვინი და მისი მოძვრება. ტეილისი, 1938 წ.
3. ს ი ნ მ ტ ი ა, ვ., დ ე ბ ი, ლ.—გენეტიკის კურსი (თეორია და მოცავები). ტბილისი, 1937 წ.
4. რ უ ბ ც ი ა, ლ.—Научные основы селекции плодовых деревьев, Л., 1936 г.



5. Жуков, С. В.—Иван Владимирович Мичурин. Мичуринск, 1939 г.
  6. Проф. Шитт, П. Г., доц. Метлицкий, З. А.—Плод-тво, Москва, 1940 г.
  7. Мичурин, И. В.—Принципы и методы работы, сочинения, т. I (под общим редакцией акад. Б. А. Келлера и акад. Т. Д. Лысенко), Москва, 1939 г.
  8. Молодчиков, А. И.—Творцы новых растений (о Мичурине и Бербанке). Москва, 1936 г.
  9. Исаев, С. И.—Мичуринские сорта плодовых и ягодных культур. Москва, 1936 г.
  10. Беляева, В.—Почковая селекция цитрусовых—журн. „Советские субтропики“, № 2, Москва, 1938 г.
  11. Клименко, К. Т. и Клименко, В. Н.—Селекция цитрусовых. Батуми, 1936 г.
  12. Говард, В., Фрост—Полиэмбриония, гетерозиготность и химеры у цитрусовых (перевод с английского—рукопись).
  13. Ширяева, К. А.—Применение ментора при воспитании гибридных сеянцев. Журн. „Садоводство“, № 7, Москва, 1940 г.
  14. Дука, С. Х.—Изменение природы сеянцев яблони путем воспитания. Журн. „Яровизация“, № 4 (31), Москва, 1940 г.
  15. Алешин, Е. И.—Селекция плодовых растений, Москва, 1936 г.
  16. Кожин, А. Е.—Померанцевые и развитие их культуры в СССР (по литературным материалам), Тбилиси, 1931 г.
-

ი. ი. ჩხეიძიანიშვილი

## მასალები ტყუბ ბაგეთა შესახებ







ანატომიურ ლიტერატურაში მეტად მცირე სახეობანია დასახელებული ტყუბი ბაგეთით. ეს აიხსნება არა მით, რომ მცენარეები ბაგეთა ასეთ წყობას იშვიათად იყითარებენ, არამედ ამ საკითხის შეუსწავლელობით. რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ მდიდარ ბოტანიკურ და სპეციალურ ანატომიურ ლიტერატურაში ტყუბების არამც თუ ორიგინალურ სურათს, არამედ არაორიგინალურ-საც ვერ ვნახულობთ; მხოლოდ ბოროდინის (1) მცენარეთა ანატომიის კლასიკურ სახელმძღვანელოში არის მეტად მოკლე ტექსტუალური ცნობები გუმბელის და პფიცერის მიერ შესრულებული შრომებიდან. მოგვყავს აღნიშნულ საკითხზე ზოგიერთი ლიტერატურული მონაცემი.

ერთმანეთთან უშუალო შეხებამდე დაახლოებულ ბაგეთს Gümbel-მა (3) ტყუბი ბაგეთი უწოდა. მათი განვითარების ისტორია Pfitzer-ს (6) აქვს აღწერილი. პფიცერის მიხედვით ტყუბი ბაგეთი ოთხვარი წესით შეიძლება წარმოიქმნენ. პირველი წესი შემჩნეულია Liliaceae-ში (საერთოდ იმ მცენარეებში, რომელთა ეპიდერმიალური უჯრედები გრძივ რიგებად არიან გაწოლილი). იგი იმაში მდგომარეობს, რომ ორი სრულიად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეპიდერმიალური უჯრედი გამოყოფს ერთმანეთის გვერდზე მდებარე ბაგეთა დედა უჯრედებს. მეორე წესის მიხედვით ბაგე წარმოიქმნება ერთი რომელიმე ისეთი მუდმივი უჯრედიდან, რომელიც მდებარეობს სრულიად განვითარებულ ბაგესთან ახლოს. მესამე შემთხვევა ხასიათდება მით, რომ მუდმივ უჯრედთა თანმიმდევრობით გაყოფის შედეგად განვითარებული ორი უკანასკნელი უჯრედი გარდაიქმნება ბაგებად (Begonia). მეოთხე წესით ეპიდერმიალური უჯრედი თავდაპირველად იყოფა ისე, როგორც ჩვეულებრივი ბაგის წარმოქმნისას, შემდეგ — წინა პატარა და უკანა დიდ შვილ უჯრედებად, ხოლო უკანასკნელი უჯრედები ხდებიან უკვე ბაგებად (Gramineae, Dracaena). თანახმად Mikosch-ის გამოკვლევისა Cannabis sativa-ს ლებანზე ტყუბი ბაგები წარმოიშობიან ერთადერთი ეპიდერმიალური უჯრედიდან, მისი ორ უჯრედად, ორმაგად გაყოფის გზით (მსგავსად პფიცერის მეოთხე შემთხვევისა). Czech-მა იპოვნა იგი Carex სახეობებშიაც. Weiss-ი (4) არ ეხება ტყუბ ბაგეთა წარმოშობის წესებს, იგი აღწერს მხოლოდ ტყუბების სხვადასხვა შემთხვევას ბაგების ერთმანეთის მიმართ განწყობის მიხედვით. მან Gagea lutea-ში შეამჩნია ზედა მხრიდან ერთმანეთზე მწოლარე ბაგები; Galanthus nivalis, Campanula persicifolia, Fraxinus Ornus, Polygonatum vulgare-ში აღნიშნავდა გვერდითი სიბრტყეებით შეხორცებულ ბაგებს. ბოროდინის (1) მონაცემებით ტყუბები „არც ისე იშვიათად

გვედრებიან სხვადასხვაგვარ მცენარეში". მკვლევარნი შედარებით უფრო ჟანგარის ლებად ხვდებოლონენ სამი, ოთხი და მეტი ბაგის ერთმანეთთან შეხებამდე დაანლოებას. ეს უკანასკნელი ქმნიან ტყუბებს არა ორი ბაგიდან, არამედ სამი, ოთხი და მეტითანაც. ტყუბი ბაგები ნახული გვაქვს *Primula nivalis* Pall.-ში (7).

წერნ წინამდებარე შრომისათვის გავსინჯეთ სუბალპურ, ჯაგ-ექლიან ველის, თბილისის პირობებში მოზარდ მერქნიან მცენარეთა 35 სახეობის ფოთლის

ეპილერმისი. შედეგები ასეთია:  
I. სუბალპურ ხე-  
მცენარეთა 7 სა-  
ხეობიდან 4 ივი-  
თარებდა ტყუბ  
ბაგებს, სახელ-  
ლობრ: 1. *Rhodo-*  
*dendron caucasicum* Pall. აქ ბაგე-  
ები შეხორცებუ-  
ლი არიან გვერ-  
დითი სიბრტყე-  
ებით (სურ. 1);  
2. *Betula verru-*









*cosa* Ehrh. გამჩნევთ ბა-  
გეთა შეხებას გვერდის  
მხრით; ისინი განწ-  
ყობილი არიან ერთ-  
მანეთზე ზედა მხრი-  
დანაც. (სურ. 2, 3);  
3. ასეთივე სურათია  
*Sorbus aucuparia* L.  
(სურ. 4, 5); 4. *Daphne*  
*glomerata* Lam.  
ეპილერმისზე შესამჩ-  
ნევია მხოლოდ ერთ-  
მანეთზე ზედა მხრი-  
დან განსაზღვრული  
კუთხით მდებარე ბა-  
გები (სურ. 6).

აღსნიშნავია ის კ  
მდგომარეობა, რომ

*R. caucasicum* Pall.-ში ბაგები


ცრთმანეთს ოდნავ ეხებიან, *Betula verrucosa* Ehrh.-ში კი მტკიცედ უკავშირდე-  
ბიან ერთმანეთს, სუბალპურ ხემცენარეთა დანარჩენი სახეობანი *Salix arbuseu-*

სურ. 1, 2, 3, 4, 5, 6.



სურ. 7, 8, 9, 10, 11, 12.

1a L., *Vaccinium myrtillus* L., *Vaccinium vitis idaea* L., ტყუბ ბაგეებს არ ავთ  
 თარებენ (შესაძლებელია მათაც აღმოაჩნდეთ ტყუბები ერთმანეთისაგან ამ ფენოლუ  
 რად განსხვავებული  
 მასალის გულმოლ-  
 გინე ძიების შედე-  
 გად). აღნიშნულ სა-  
 ხეობებში ტყუბი ბა-  
 გეები განწყობილი  
 არიან ქვედა ეპილერ-  
 მისზე, რაღაც ისინი  
 ჰიპოსტომური ტიპის  
 ფოთლებს ივითარე-  
 ბენ. ხემცინარეთა  
 შორის ჰიპოსტომუ-  
 რი ტიპი მეტად გა-  
 ვრცელებულია. უფ-  
 რო იშვიათ მოვლე-  
 ნას წარმოადგენს



სურ. 13, 14, 15, 16, 17, 18.

ფოთლის ამფისტომური ტიპი. დასახე-  
 ლებულ სახეობებში ამფისტომურ ტიპს ივითარებს

*Salix arbuscula* L., *Vacci-*  
*nium myrtillus* L.

*Vaccinium myr-*  
*tillus* L. ფოთლის  
 ამფისტომური აგე-  
 ბულება აღნიშნული  
 აქვს Lohr-საც (5);  
 დობროვლიანსკი(2),  
 რომელიც სპეცია-  
 ლურად სწავლობდა  
 ტირიფების ფოთ-  
 ლის აგებულებას,  
*Salix arbuscula* L.  
 მიმართ აღნიშნავს,  
 რომ ეს სახეობა ივი-  
 თარებს ბაგეებს მხო-  
 ლოდ ქვედა ეპილერ-

სურ. 19, 20, 21, 22, 23.

მისზე. ჩვენს მასალაზე კი ბაგეები შემჩნეულ იქნენ ფოთლის ორივე მხარეზე. ამ-  
 გვარად, *S. arbuscula* L. კავკასიის სუბალპურ პირობებში ფოთლის ამფისტო-  
 მურ ტიპს ივითარებს.

II. თბილისის დენდროლოგიურ პარკში მოზარდი 17 მეტნიანი ჯიშიდან  
 8-ზე იქნა შემჩნეული ტყუბი ბაგეები. *Populus nigra* L.-ს ტყუბები მხოლოდ  
 ზედა ეპილერმისზე აქვს. ისინი მტკიცედ არიან შეხორცებული გვერდითი სი-


ბრტყებით (სურ. 7, 8); *Zizyphus vulgaris* Lam.-ის ბაგეები ოდნავ ეზებით /  
ერთმანეთს (სურ. 9).

*Cornus mas* L.

ივითარებს ტყუბებს  
არა მარტო ორი ბა-  
გიდან, არამედ მასში  
შევნიშნეთ უფრო იშ-  
ვათი შემთხვევაც,  
როდესაც სამი ბაგე  
ქმნის ტყუბებს (სუ-  
რათი 10, 11, 12).

*Castanea sativa*

Mill.-ში გამჩნევთ რო-  
გორც ტყუბების ჩვე-  
ულებრივ შემთხვე-  
ვას, ისევე იშვიათ  
მოვლენას, როდესაც



სურ. 24, 25, 26, 27, 28 29.

ტყუბები იქმნებიან არა მარტო სამი, არამედ ოთხი ბაგისგანაც. შეხორცება  
ხდება როგორც გვერდებით, ისე ერთმანეთზე დალაგებით. შეხორცება შეიძ-  
ლება იყოს მტკიცე

და ოდნავი (სურ. 13,  
14, 15, 16, 17, 18).

*Acer campestre* L.,  
*Morus alba* L., *Hippophaë rhamnoides*







L., *Celtis caucasica* W., ივითარებენ ჩვე-  
ულებრივი ტიპის

ტყუბებს. *Celtis* (სუ-  
რათი 23) და *Acer*-  
ში (სურ. 19) ბაგეე-

ბი მდგებარეობენ ერ-  
თი მეორეზე, *Hippo-*

*phaë*-ში (სურ. 22)  
გვერდებით ეხებიან,


მეორეზე გვერდებით ეხებიან,



სურ. 30, 31, 32, 33, 34, 35.

*Morus*—(სურ. 20, 21) განვითარების ორივე ტიპი ახასიათებს. დანარჩენი სა-  
ხეობანი: *Zelcova carpinifolia* (Pall.) Dipp., *Ostrya carpinifolia* Scop., *Car-  
pinus Betulus* L., *Eucalyptus viminalis* Labill., *Ulmus glabra* Mill., *Ulmus elliptica* C. Koch., *Quercus macranthera* F. et M., *Betula pubescens* Ehrh.,  
*Juglans regia* L., ობილისის დენდროპარკის პირობებში ტყუბებს არ ივი-  
თარებენ.

III. ქართლის დაბლობის პირობებში მოზარდი 12 ხემცენარის სახეობები დან თორმეტივე ივითარებს ტყუბ ბაგეებს. *Berberis orientalis* C. K. Schneid. ბაგეები ეხორცებიან ერთმანეთს გვერდითი გარსებით, ლაგდებიან ერთმანეთზედაც. ეს სახეობა ივითარებს ტყუბებს სამი ბაგიღანაც (სურ. 24, 25, 26). *Rhamnus Pallasii* F. et M., *Paliurus spina Christi* (Mill.) K. C. Schneid., *Ulmus glabra* Mill., *Lonicera iberica* M. B., *Rosa canina* L., *Daphne caucasica* Pall., ბაგები ეხორცებიან გვერდითი გარსებით (სურ. 27, 29, 31, 32, 33, 39). *Spiraea hypericifolia* L., *Carpinus orientalis* Mill., *Quercus iberica* Stev.-ის ტყუბ ბაგები ბაგეები იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. 35 სახეობიდან 24 ივითარებს ტიპურ ტყუბებს.



სურ. 26, 37, 38, 39, 40, 41.

ბაგეები ერთმანეთზე არიან განწყობილი (სურ. 28, 30, 36), *Rosa elasmacantha* Trautv. (სურ. 4, 35) *Cornus australis* C. A. M. (სურ. 37, 38, 40, 41) ბაგეები ეხორცებიან როგორც გვერდითი გარსებით, ისე ერთმანეთზედაც არიან განწყობილი.

## დ ა ს კ პ ნ ა ბ ი

1. ხემცენარეთა შორის ტყუბი ბაგეები იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. 35 სახეობიდან 24 ივითარებს ტიპურ ტყუბებს.

2. სამი ბაგიღან შემდგარი ტყუბები უფრო იშვიათი მოვლენაა. იგი შემჩნეულია *Berberis orientalis* C. K. Schneid., *Cornus mas* L., *Castanea sativa* Mill.-ში. უკანასკნელი სახეობა ოთხი ბაგიღანაც კი ივითარებს ტყუბებს.

3. ტყუბებში ბაგეები ერთმანეთზე ზემოდან არიან განწყობილი, აგრეთვე გვერდებითაც ეხებიან. უძრავი შემთხვევაში ბაგეები ღლნავ ეხებიან ერთმანეთს; მტკიცე შეხორცება კი უფრო იშვიათად გვხვდება.

4. *Rosa canina* L., *Rosa elasmacantha* Trautv.-ში მეტად გაძნელებულია ტყუბების შემჩნევა, მაგრამ გულმოდვინე ქების შედეგად შეიძლება მათი დანახვა; სხვა სახეობებში კი (*Cornus australis* C. A. M. და სხვა) უფრო ხშირად გვხვდებიან. ტყუბების რაოდენობრივი აღრიცხვა მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რაღაც ხშირად რამდენიმე ათეული ხედვის ველზე შესაძლებელია შემჩნეულ იქნას მხოლოდ ერთი წყვილი შეხორცებული ბაგე.

5. ტყუბი ბაგები უნდა ჩაითვალოს სახეობის ორგანიზაციულ ნიშანთვების და არა შემოხვევით მოვლენად. თუმცა *Ulmus glabra* Mill., რომელიც ქართლის დაბლობის პირობებში შეიცავს ტყუბებს, თბილისის დენდროპარკში არ ივითარებს მათ.

6. ტყუბები ხშირად უვითარდებათ შშრალ პირობებში მოზარდ მცენარეთა სახეობებს. იგი თოთქოს ქსეროფიტებისათვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე მეზოფიტებისათვის. ეს მდგომარეობა შესაძლებელია კიდევ ერთ არსებით ნიშანთვისებას წარმოადგენდეს ქსერომორფიზმის ცნებაში.

И. И. Чхубианишвили

## О БЛИЗНЕЦАХ-УСТЬИЦАХ

### Резюме

1. Устьица, сближенные до непосредственного соприкосновения, названы Gümbel-ем (3) близнецами. История развития их описана у Pfitzer (6). По исследованию Пфицера, близнецы могут образоваться четырьмя способами. По Бородину (1), близнецы „нередко встречаются у самых разнообразных растений“. Более редким случаем считается, когда три, четыре и больше устьиц сближаются до непосредственного соприкосновения. Близнецы наблюдали также Mikosch, Czech, Weiss (4), Чхубианишвили (7) и др.

Нами просмотрен эпидермис листа 35 видов деревянистых растений. Результаты исследования таковы:

1. Из 7 видов субальпийских деревянистых растений 4 развивали близнецов; из 17 древесных пород, произрастающих в условиях Тбилисского дендрологического парка, у 8 отмечены близнецы; из 12 деревянистых пород, произрастающих в условиях Карталинской равнины (г. Гори), у всех оказались близнецы. Таким образом, близнецы не являются редким явлением среди древесных пород, поскольку из 35 видов<sup>1</sup> 24 развивали типичных близнецов.

<sup>1)</sup> *Rhododendron caucasicum* Pall. (рис. 1), *Betula verrucosa* Ehrh. (рис. 2, 3), *Sorbus aucuparia* L. (рис. 4, 5), *Daphne glomerata* Lam. (рис. 6), *Populus nigra* L. (рис. 7, 8), *Zizyphus vulgaris* Lam. (рис. 9), *Cornus mas* L. (рис. 10, 11, 12), *Castanea sativa* Mill. (рис. 13, 14, 15, 16, 17, 18), *Acer campestre* L. (рис. 19), *Morus alba* L (рис. 20, 21), *Hippophaë rhamnoides* L. (рис. 22), *Celtis caucasica* W. (рис. 23), *Berberis orientalis* C. K. Schneid. (рис. 24, 25, 26), *Rhamnus Pallasii* F. et M. (рис. 27), *Spirea*

2. Близнецы с тремя устьицами более редкое явление и замечены у *Berberis orientalis* C. K. Schneid., *Cornus mas* L., *Castanea sativa* Mill. Этот последний вид развивает близнецовых даже с четырьмя устьицами.

3. Устьица в близнецах расположены по бокам и одно над другим. В большинстве случаев они только слегка соприкасаются, более тесное срастание—редкое явление.

4. Заметить близнецовых у некоторых видов (*Rosa canina* L., *Rosa elasmacantha* Trautv., и у др.) весьма затруднительно. Можно обнаружить их только путем тщательных поисков, у других же видов (*Cornus australis* C. A. M.) они часто попадаются. Количествоному учету близнецы не поддаются т. к. часто на несколько десятков поля зрения можно заметить только одну сросшуюся пару устьиц.

5. Близнецы у вышеперечисленных видов расположены на нижнем эпидермисе, т. к. эти виды развиваются гипостоматический тип листа. Этот тип по сравнению с амфистоматическим весьма распространен среди деревянистых растений. Среди названных видов амфистоматический лист развиваются *Salix arbusecula* L., *Vaccinium myrtillus* L., *Populus nigra* L., *Eucalyptus viminalis* Labill., *Spiraea hypericifolia* L. Амфистоматическое строение листа у *V. myrtillus* L. отмечено и у *Lohr* (5), но Добровлянский (2), специально изучавший строение листа ив в отношении *Salix arbusecula* L. отмечает, что этот вид развивает устьица только на нижнем эпидермисе, в нашем же объекте устьица замечены на обеих сторонах листа. Таким образом, *Salix arbusecula* L. в условиях субальпинского пояса Кавказа развивает амфистоматический тип листа.

---

*raea hypericifolia* L. (рис. 28), *Paliurus spina Christi* (Mill.) K. C. Schneid (рис. 29) *Carpinus orientalis* Mill. (рис. 30), *Ulmus glabra* Mill. (рис. 31, в условиях Карталинской равнины), *Lonicera iberica* M. B. (рис. 32), *Rosa canina* L. (рис. 33), *Rosa elasmacantha* Trautv. (рис. 34, 35), *Quercus iberica* Stev. (рис. 36), *Cornus australis* C. A. M. (рис. 37, 38, 40, 41), *Daphne caucasica* Pall. (рис. 39), *Salix arbusecula* L., *Vaccinium myrtillus* L., *Vaccinium vitis idaea* L., *Zelcova carpinifolia* (Pall.) Dipp., *Ostrya carpinifolia* Scop., *Carpinus Betulus* L., *Eucalyptus viminalis* Labill., *Ulmus glabra* Mill. (в условиях дендропарка), *Ulmus elliptica* C. Koch., *Quercus maecanthera* F. et M., *Betula pubescens* Ehrh., *Juglans regia* L.—первые 24 вида развиваются близнецами, а у последних 12 видов не замечены; возможно что после тщательного исследования и у них можно будет обнаружить близнецовых. На рисунках 7, 8 представлен верхний эпидермис листа, а на остальных рисунках же нижний эпидермис. За последнее время обнаружили у *Ficus radicans* Decf. v. *variegata* близнецы из 9, 8, 7, 6, 5, 4, 3, 2 устьиц, что можно считать весьма редким явлением.

6. Появление близнецов—устыц следует считать организационным признаком, а не случайным явлением, хотя *Ulmus glabra* <sup>засушливые</sup> ~~Магнолия~~, который в условиях Карталинской равнины содержит близнецов в Тбилисском дендрологическом парке не развивает их.

7. В большинстве случаев близнецы развиты у видов, произрастающих в засушливых условиях. Повидимому они чаще встречаются у ксерофитов, чем у мезофитов. Выяснение этого положения возможно внесет еще одну существенную черту в понимание ксероморфизма.

#### Л 0 0 9 6 0 0 7 6 8

1. Бородин, И.—Курс анатомии растений. Ленинград, 1938 г.
2. Добровлянский, В. Я.—Сравнительная анатомия листьев ивовых. Ежегодник С. П. Лес. Института, 1891 г.
3. Güm bel, N.—Acta Ac. Leop. Carol., 25, 1855. Ընթարքային ծառագրութեան (1) թուղթը.
4. Weiss, A.—Anatomie der Pflanzen Wien, 1878.
5. Lohr, P. L.—Untersuchungen über die Blattanatomie von Alpen und Ebenenpflanzen. Rec. des travaux bot. neerland. V, XVI livr. 1. 1919.
6. Pfitzer, E.—Jahrb. wiss. Bot. 7, 1869—1870. Ընթարքային ծառագրութեան (1) թուղթը.
7. Чхүбianiшвили, И. И.—Гистологическое исследование листа *Primula nivalis* Pall. и *Cerastium ovatum* Boiss. ДАН СССР, 1939, т. XXIII, № 5.

ԱՀ. Ռ. ՑԱՌԷՐԵՎԱՆ

ქლიავის მხერხავას ბიოლოგია-ეკოლოგიისა და მასთან  
ბრძოლის ღონისძიებებთა უსრულისაობის

ქლიავის მხერხავა (*Hoplocampa minuta* Christ.) ლიტერატურაში მოხსენებულია სხვადასხვა სინონიმით: *Hoplocampa minuta* Christ., *H. fulvicornis* F., *H. parvula* Lep., *H. furarium* Voll., *H. fabricii* kirb.

იგი საკმაოდ საშიში მავნებელია კურკოვანი კულტურებისათვის, კერძოდ ქლიავის, ალუჩისა და ტყეგმლისათვის. ეს მავნებელი იწყებს აღნიშნული კულტურების დაზიანებას ყვავილობის დროს და აგრძელებს კურკის გამაგრებამდე. ამ გვარად, მისი საზარალო მოქმედება გრძელდება 21—25 დღე. ამ მოკლე ხანში საშუალოდ ანადგურებს ალუჩისა და ქლიავის მოსავლის 20—25%-ს.

კერძოდ, დიდ ზარალს აყენებს თბილისის საგარეუბნო მეურნეობებს, სა-დაც ალუჩისა და ქლიავის კულტურები ჭარბობენ. ზოგ წელს იგი თითქმის ნახე-ვარ მოსავალს ანადგურებს.

მიუხედავად ქლიაგის მხერხაგას ასეთი უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობისა, მისი ბიოლოგია-ეკოლოგია და ბრძოლის ორნისძიებანი თითქმის შეუწავლელია საქართველოს პირობებისათვის. ამ შრომის მიზანი იყო აღნიშნული მავნებლის ბიოლოგია-ეკოლოგიის შეუწავლის საფუძველზე გამომრჩავებულყო მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი, ცხადია, ამ საშუალებათა სათანადო გამოცდით წარმოების პირობებში <sup>1</sup>.

მუშაობის მეთოდიკა. ცდები და დაკვირვებანი დაიწყო 1937 წელს და გაგრძელდა 1939 წლის ბოლომდე. თემის დამუშავება, პირველ რიგში, წარმოადგებდა ბუნებრივ პირობებში ენგელსის სახ. კოლმეურნეობისა და სტალინის რაიონის გამწვანების ტრესტის ბალებში (დიდუბეში). გარდა ამისა, მავნებლის გავრცელების პრეალის, დაზიანების, საკვები მცენარეებისა და უარყოფითი ექონომიური მნიშვნელობის საკითხები გამორკვეულ იქნა როგორც ობილისისა და მის საგარეუბნო მეურნეობებში, ისე საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ლაბორატორიულ პირობებში მავნებლის შესწავლა ჩატარდა ლ. პ. ბერიას სახელ. საქ. სას. სამ. ინსტრუმეტის ზოოლოგია-ენტომოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში. ბიოლოგიისა და ზოგიერთი ეკოლოგიური საკითხის შესასწავლად გამოყენებული იყო ლაბორატორიის თერმოსტატები, ექსიკატორები და სხვა საშუალებები.

<sup>1</sup> მეშაობის დროს საქმიანი რჩევისა და დარიგებისათვის მადლობას მოვახსენებ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესიონალ, დაქტორ ლ. პ. კალანდაძეს.

ქლიავის მხერხავას მატლებზე ტემპერატურისა და ტენიანობის გავლენის  
შესწავლა თერმოსტატში შეუძლებელი აღმოჩნდა ამ მაცნებლის ბიოლოგიურ  
თავისებურების გამო.

საერთოდ, ნაყოფში მცხოვრებ მწერებზე გარემოს ტემპერატურა და ტე-  
ნიანობა უფრო ნაკლებ გაელენას ახდენს, ვიდრე ახლილად მცხოვრებზე. ქლია-  
ვის მხერხავას მატლები კი მთელი თავისი ზრდის პერიოდში ცხოვრობენ ნაყო-  
ში, სადაც ნაყოფის წვერიც ბლობად არის და ტემპერატურაც ნაკლებ რყევა-  
დობას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ ცდების ჩატარების დროს აღებული  
იყო საკმაოდ დიდი ნაყოფიანი ტოტები და მოთავსებული წყლიანი ქილებით  
თერმოსტატში, ნაყოფები მაინც მაღალ ცხელდებოდა და მათ წვერში მატლები  
იღუპებოდნენ. ამ მიზეზის გამო, ტემპერატურისა და ტენიანობის გავლენა ამ  
მაცნებლის მატლების განვითარებაზე ლაბორატორიულ პირობებში შეუწავლელი  
დარჩა. ამ საკითხების დამუშავება შეიძლებოდა თერმოსტატებში ან სპეციალურ  
ინსექტარიუმებში, მაგრამ აღნიშნულ მოწყობილობათა უქონლობის გამო ეს არ  
მოხერხდა.

გავრცელების არეალი. ქლიავის მხერხავა საკმაოდ ფართოდაა გა-  
ვრცელებული მთელ მსოფლიოში. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით იგი  
გავრცელებულია: გერმანიაში (10,11), იტალიაში (4), საფრანგეთში (12), რუ-  
მინეთში (7), დანიაში (6), ინგლისში (8), იაპონიაში (9), ა. შ. შ. (14). საბჭოთა  
კავშირში ეს მაცნებელი გვხვდება: შუა და სამხრეთ ზოლში და შუა აზიაში.  
ჩვენი გამოკვლევით ქლიავის მხერხავა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ,  
ისე დასავლეთ საქართველოს რაიონებში, ზადაც კი იზრდება მისი ძირითადი  
საკვები მცენარეები. მაღალ ადგილებში კი, იგი არ ვრცელდება, მაგ., ფასანა-  
ურში (სიმაღლე—1050), მიუხედავად იმისა, რომ მისი საკვები მცენარეები აქ  
საკმაოდ გავრცელებულია. ქვედან შეიძლება დავისკვნათ, რომ სიმაღლეზე გავრ-  
ცელებას საზღვრავს დაბალი ტემპერატურები, მაგრამ ამ საკითხის დაზუსტება  
ვერ შევძლით ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. საკითხის საბოლოო დასად-  
გენად საჭიროა აგრეთვე გამოკვლეულ იქნას ჩვენი მაღალმოიანი რაიონები.

საკვები მცენარეები. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით სა-  
კვებ მცენარეებად ქლიავის მხერხავასათვის დასახელებულია ქლიავი, ოლუბალი  
ბალი, მსხალი და კურინჩი.

ჩვენი დაკვირვებითაც ბუნებრივ პირობებში იგი ქლიავის (Pr. domestica)  
გარდა აზიანებს ალუჩის (Pr. divaricata), ტემპერატურული (Pr. institicia) და იშვია-  
თოდ კერინჩის (Pr. spinosa). იძულებით ამ მაცნებლის მატლებმა შეიძლება და-  
აზიანონ სხვა კულტურებიც. ეს საკითხი შევისწავლეთ შემდეგი წესით: მსხლის,  
გარგარის, ალუბლისა და ატმის (სხვა კულტურებს ამ დროისათვის არ ჰქონ-  
დათ ნაყოფი გამონასკული) ნაყოფებიანი ტოტები მოვათავსეთ მარლის იზოლა-  
ტორში და ნაყოფებზე შეესვით პირველი და მეორე ხნევანების მატლები. მსხლი-  
სა და ალუბლის ნაყოფებში მატლებმა ზრდა დასრულდეს, ატმისა და გარგარის  
ნაყოფებში კი მაღალ დაიღუპნენ. ამრიგად, შიმშილობის დროს ქლიავის მხერხავას  
შეუძლია შთამომავლობა მოათავსოს მსხლისა და ალუბლის ნაყოფებზე, მაგრამ  
ასეთი შემთხვევა ბუნებრივ პირობებში არასოდეს არ აღვინიშნავს. საერთოდ

ეს გავნებელი საქართველოს პირობებში უფრო მეტად აზიანებს ალუხის და ტყების მაღალი კლიმატის გადაცემას. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ილუხი და ტყემა მაგრა უძველეს ლობას კლიმატი ადრე იწყებენ და სწორებ მათი სრული ყვავილობის დროს ხდება კლიმატის მხერხავის მასობრივი ფრენი და კვერცხის დება.

დაზიანების ხასიათი და უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა. კლიმატის მხებები აზიანებს ნასკვსა და ნაყოფს. ნასკვს მთლიანად ამოსკვამს ხოლმე გულს, ნაყოფს კი აზიანებს მაშინ, როდესაც კურკა ჯერ კადევ რბილი იქნა. მატლი მთლიანად ამოლრნის კურკის რბილ გულს, სირბილე კი ხელუხლებელი რჩება. თუმცა რეს (Reh-Sorauer, 14) აღნიშვნით, მატლები კურკის დაზიანების შემდეგ აზიანებენ ნაყოფის სირბილეს, მაგრამ ასეთ შემთხვევას ჩვენს პირობებში არ შევხვდებით.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ნასკვსა და ნაყოფს აზიანებს მატლი თავისი ზრდის დასრულებამდე, 26 აპრილს, როდესაც დღელამური საშუალო ტემპერატურა უდრიდა  $15^{\circ}\text{C}$ , მინიმუმი  $-12,6^{\circ}\text{C}$ , მაქსიმუმი  $-25,5^{\circ}\text{C}$ , შეფარდებითი ტენიანობა  $-87\%$ , იზოლირებულ იქნა მარლის იზოლატორში ტოტები ახლად გამოჩეკილი მატლებიანი ნაყოფებით. ცდების მოელ პერიოდში დაზიანებული ნაყოფების ანალიზი ხდებოდა ყოველდღიურად. გამოირკვა, რომ მატლი თავის განვითარების შერიოდში, რომელიც გაგრძელდა  $21-25$  დღეს, აზიანებს ალუხის  $4-6$  ნასკვსა და ნაყოფს. ამ დროს ხშირად იყო აღნიშული, რომ ზოგ შემთხვევაში მატლი ნაყოფის კურკის გულს მხოლოდ ნაწილობრივ აზიანებს და გადადის ახალ ნაყოფზე. ამით, ცხადია მატლი ზარალი მოაქვს.

მატლების მიერ დაზიანებული ნაყოფებიდან გაღმოვდის შავი და მყრალი სითხე. იგი არის ექსკრემენტებისა და ნაყოფის წენის ნარევი. მატლებს, მის ექსკრემენტსა და დაზიანებულ ნაყოფს ახასიათებს ბალლინჯოს (*cimex lectularius* L.) სუნი. ასეთი სუნის სითხე არის მატლის სუნიანი ჯირკვლების სეკრეტი.

დაზიანების დაწყებიდან 5-7 დღის შემდეგ ალუხისა და ტყემლის ნაყოფები ნაწილობრივ ცვივა. ზოგ შემთხვევაში ნაყოფებს მატლებიც ჩამოყება. მატლი მალე ტოვებს ჩამონაცვენ ნაყოფს და, თუ იგი ზრდადაუმავრებელია, აღის ხეზე ახალ ნაყოფში შესასვლელად. უმეტეს შემთხვევაში კი, დაზიანებული ნაყოფის ჩამოცვენამდე ასწრებს მატლი დაუზიანებელ ნაყოფში გადასვლას. დაზიანებული ნაყოფების მასობრივი ცვენა ხდება დაზიანების დაწყებიდან 13—15 დღის შემდეგ.

თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში ჩატარებული იყო ჩამოცვენილი ნაყოფების ანალიზები, საიდანაც გამოირკვა, რომ ნაქარის  $70-77\%$  დაზიანებული იყო კლიმატის მხერხავის მიერ. დაზიანებული ნაყოფების ანალიზები ჩატარდა იზოლირებულ ტოტებზედაც. ამისათვის სამოდელო ხებზე, სხვადასხვა მხრიდან, წინასწარ იქნა არჩეული ოთხ-ოთხი ტოტი. რომლებზედაც გაკეთებული იყო მარლის იზოლატორები. მხერხავის მატლების მიერ დაზიანებული ნაყოფები ცვივოდა და გროვდებოდა იზოლატორებში. საბოლოო აღრიცხვა მოხდა მატლების ზრდის დასრულების შემდეგ და გამოირკვა, რომ დაზიანების პროცენტი საშუალოდ 33-ს უდრიდა. ყოველ ასე ნაყოფში საშუალოდ 12 მატლი აღმოჩნდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერთ მატლს თავისი ზოგის  
პერიოდში შეუძლია დააზიანოს საშუალოდ 5 ნაკვე და ნაყოფი, მაშინ ზოგის მატლი  
საჩინო გახდება ის ზარალი, რომელიც მოყვება ამ მავნებლის გავრცელებას.

განვითარების სტადიათა აღწერა. ქლიავის მხერხავას კვერცხი  
ოდნავ რვალურია და თეთრი. ქორიონს ახასიათებს ბადისებრი სკულპტურა.  
ახლად გამოჩეკილი მატლი თეთრია, თავი დიდი და შავი აქვს, მუცლის უკანს-  
კნელი სამი სეგმენტი ზურგის მხრიდან შავი. მოელ სხეულზე აჩნია თხლად გან-  
წყობილი ნაზი ბეჭვები, რომლებიც თავზე მუქია, ხოლო ტანზე — მოთეთრო.  
მატლებს ახასიათებს ათი წყვილი ფეხი. მეტრის ფეხების ნაწილაკების შეერ-  
თების აღილი შავი ხაზით არის შემორტყმული. მეტრი განიერია და ფეხების  
ფუძეებში ფაფუქად გადმოშვებული. ახლად გამოჩეკილი მატლის სიგრძე სა-  
შუალოდ 2 მმ-ს უდრის, თავის დიამეტრი კი—0,8 მმ-ს.

პირველი კანის გამოცვლის შემდეგ მატლის ფერი იცვლება და მუცლის  
უკანასკნელი 3 შავი სეგმენტი ყავისფერი ხდება. თავის ქალას დიამეტრი  
1,1 მმ-ს აღწევს, მატლის სიგრძე კი—4,8 მმ-ს. მეორე კანის გამოცვლის შემ-  
დეგ უკანასკნელი 3 სეგმენტი სავსებით უფერულდება და თავიც ლია ფერის  
ხდება. თავის დიამეტრი 1,3 მმ-ს აღწევს, მატლის სიგრძე—8,1 მმ-ს. მესამე  
კანის ცვლის შემდეგ თავის ქალას დიამეტრი 1,6 მმ-ს უდრის, მატლის სიგრძე  
კი—9,1 მმ-ს.

ზრდადამთავრებული მატლის სიგრძე საშუალოდ აღწევს 9,8 მმ-ს. სხეული  
ყვითელი უხდება, ხოლო თავი რჩება ლია ყავისფერი.

ჭუპრი მოყვითალო ყავისფერია. მისი სიგრძე საშუალოდ 6—7 მმ უდრის.  
Imago შავია და გადაპქრავს ბრწყინვალე ელფერი. წვიგები, თათები და  
ულვაშის ბოლოები ყვითელი აქვს. სხეულზე აქვს თხლად განლაგებული შავი  
ბეჭვები. სხეულის სიგრძე საშუალოდ 5,2 მმ-ს აღწევს.

განვითარების ციკლი. ქლიავის მხერხავას ბიოლოგიის შესწავლის  
დროს დადასტურდა, რომ ეს მავნებელი საქართველოს პირობებშიაც ერთწლი-  
ანი გენერაციით ხასიათდება.

მეზამთრეობა. ქლიავის მხერხავა ზამთრობს ნიადაგში ზრდადამთავ-  
რებული მატლის სახით. მატლი მოთავსებულია მიწის საკმაოდ მკვრივ პარქში,  
რომელსაც აკეთებს სანერწყვე ჯირკვლებიდან გამონაყოფი სეკრეტისა და ში-  
წის ნაწილაკებისაგან. ნიადაგის გათხრების დროს, მეზამთრე მატლები ყოველ  
კვადრატულ მეტრზე 2—5 სმ-ის სილრმეზე შევხვდა 4—13, 5—7 სმ-ის სილრ-  
მეზე 3—7, 7 სმ-ის სილრმეზე კი იშვიათად გვხვდებოდა.

მიგვარად, მატლები ნიადაგში გვხვდებიან 2—7 სმ-ის სილრმეზე, მაგრამ  
უფრო ხშირად თავსდებიან 2—5 სმ-ზე.

დაჭუპრება და ჭუპრის ბიოლოგია-ეკოლოგიის თავისებულ-  
რებანი. როცა ჰაერის საშუალო დღელმური ტემპერატურა გაზაფხულზე  $8^{\circ}\text{C}$   
რებანი. როცა ჰაერის საშუალო დღელმური ტემპერატურა გაზაფხულზე  $8^{\circ}\text{C}$   
აღწევს და იგი 8—10 დღე გრძელდება, ხოლო ნიადაგის ტემპერატურა 10 სმ-ის  
სილრმეზე  $10^{\circ}\text{C}$  უდრის, მატლი ილვიძებს და შემდეგ იჭუპრებს იმავე პარქში.  
ბუნებრივ პირობებში ქლიავის მხერხავას დაჭუპრება, დაკვირვების წლებში,  
აღირიცხა პრილის დასაწყისში: ლაბორატორიულ პირობებში, ოთხის ჩვეუ-  
ალირიცხა

ჭუპრისა და პრონიმფის სტადიაზე (დაჭუპრების წინადლებში) ტემპერატურისა და ტენიანობის გავლენის გამოსარკვევად ცდები ჩავატარეთ ოთახის, საყინულე სარდაფისა და თერმოსტატის პირობებში. ჭუპრები და პრონიმფა ავილეთ პარკებიანად (უპარკოდ ჭუპრი იღუპება 3—4 საათის განმავლობაში).

პარკების ნაწილი მოვათავსეთ ჯამებში ჩაყრილ 5—8 სმ-ის სილრმის მიწაში. ნაწილი კი ეწყო მიწის ზედაპირზე. დაბალ ტემპერატურიანი თერმოსტატის უქონლობის გამო ქლიავის მხერხავას პარკები მოვათავსეთ საყინულე სარდაფში. უკანასკნელში ტემპერატურა  $7$ — $8^{\circ}\text{C}$  უდრიდა, თვით ყინულზე მოთავსებულ ყუთში კი  $3$ — $4^{\circ}\text{C}$ . შევ. ტენიანობა თითქმის მუდმივ  $80$ — $85\%$  იყო.  $3$ — $4^{\circ}\text{C}$ -ზე მოთავსებულ პარკებში როგორც მიწის ზედაპირზე, ისე მიწაში ჩაფლული ნიმუშები და ჭუპრები დაიღუპა 17 დღის განმავლობაში.  $7$ — $8^{\circ}\text{C}$  დროს კი მატლები განაგრძობდნენ საზამთრო დიაპაზუას, მხოლოდ 2 ნიმფა ( $40$  პარკიდან) გადასულიყო ჭუპრად და ჭუპრის სტადიაში დარჩა 28 დღე, რის შემდეგ დაიღუპა. ოთახის პირობებში (ტემპერატურა  $17$ — $19^{\circ}\text{C}$ , შეფარდებითი ტენიანობა  $70\%$ ), საღაც ჭუპრი პარკებიანად მოთავსებული იყო ჯამში ჩაყრილ მიწაში  $\frac{1}{2}$  სმ-ის სილრმეზე და გადაფარებული ჰქონდა მარლა, ჭუპრის სტადია  $8$ — $10$  დღეს გაგრძელდა.

ჭუპრების ნაწილი (ყოველ ცლაში 20 პარკი) მოვათავსეთ თერმოსტატებში სხვადასხვა ტემპერატურის გავლენის გამოსარკვევად. ტენიანობა  $65$ — $70\%$  იყო ყველა კამერაში.

ჭუპრის სტადიის ხანგრძლიობა სხვადასხვა ტემპერატურის დროს

ტემპ. გრ.	$20$ — $22^{\circ}$	$26$ — $30^{\circ}$	$34$ — $35^{\circ}$	$40^{\circ}$
შეფ. ტენ.	იმავას გამოფრენა დამზადებული და 9—10 დღეში	20% გამოფრინდა 8—9 დღეში, დანარჩენი დაღუპა	100% დაიღუპა მეტებული დღეს	100% დაიღუპა მეოთხე დღეს

ამგარად, ქლიავის მხერხავას დაჭუპრების დასაწყისის თერმიული ქვედა ზღვარი უნდა იყოს  $10^{\circ}\text{C}$  ახლოს, რადგან სარდაფის პირობებში  $7$ — $8^{\circ}\text{C}$  დროს ნიმფების 90% დიაპაზუას განაგრძობდა და მხოლოდ 10% დაჭუპრდა. განვითარების თერმიული ზედა ზღვარი თერმიული ტემპერატურა კი, როგორც ჩანს, უდრიდა  $40^{\circ}$ . ტენიანობის, ბერეთვე ტენიანობისა და ტემპერატურის კომბინირებული მოქმედების გამორკვევა მავნებელზე არ მოხერხდა ტექნიკური დაბრკოლების გამო.

ფრენა და კვერცხის დება. ქლიავის მხერხავას გამოფრენის შესახებ განახობულზე შპრენგელი (Sprengel, 13) აღნიშნავს, რომ გრძელის პირობებში მხერხავას ფრენა დამოკიდებულია ამინდზე, მაგრამ არ არის მჭიდრო კავშირში საკეთი მცენარის ყვავილობასთან.

ქლემის (Klemm, 10) დაკვირვებით მთლიანი ყვავილობა და ქლიავის მხერხავას ფრენა ერთმანეთს ემთხვევა.

საქართველოს პირობებში, კერძოდ თბილისის საგარეუბნო მეურნეობის ში, ქლიავის მხერხავას მასობრივი ფრენა შემჩნეული იყო შუა პარილდაზე: ჯდროს ალუხა და ტყემალი სრულ ყვავილობაშია, ხოლო ქლიავი და ალუბალი მაშინ იწყებს აყვავებას. ეს პერიოდი დგება მაშინ, როცა ჰერის საშუალო ტემპერატურა  $11-13^{\circ}\text{C}$ -მდე აღწევს და გრძელდება 5-6 დღე. ამგვარად, მავნებლის ფრენის დასაწყისის საუკეთესო ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს ალუხისა და ტყემლის სრული ყვავილობა.

ამაღლდ გამოფრენილი იმაგო დაძრება ყვავილებში და ხარბად იკვებება ნექტარითა და ნამით. ის ძლიერ აქტიურია შუა დღეზე და საერთოდ მაშინ, როცა ჰერის ტემპერატურა დღისით  $16^{\circ}-18^{\circ}\text{C}$  აღწევს; დილა-საღამოს ცუდად ფრენს და ყვავილებში იმაღლება. თუ წინა ღამე წვიმიანი ან ნამიანი იყო, მაშინ დღილით სრულებით არ ფრენს და ძლიერ აღვილია მისი ჩამობერტყვა საფრნზე.

გამოფრენიდან 7-10 დღის შემდეგ,  $13-14^{\circ}\text{C}$  დღელამური საშუალო ტემპერატურის დროს ქლიავის მხერხავა სქესობრივად მწიფდება, რასაც მოსდევს კვერცხის დება. დაკვირვების წლებში, ბუნებრივ პირობებში პირველი კვერცხი ნაპოვნი იყო 15 აპრილს. ამ დროისათვის იწყება ალუხის ყვავილის გვირგვინის ფურცლების ცვენა, ხოლო ქლიავი სრულ ყვავილობაშია.

ზოგიერთი მკვდევარის დაკვირვებით (14) კვერცხს დებს კვირცხში, ჩვენ კი ვპოულობდით მხოლოდ ყვავილის ფუძესა და ნასკეში.

დედალი მხერხავა, თავისი ხერხისებრი კვერცხსადებით ჭრის ყვავილის ჯამის ან ნასკეში კანს და დებს შიგ კვერცხს. ერთ ყვავილში ან ნასკეში, როგორც ცნობილია, დებს ერთ კვერცხს, გამონაკლისის სახით ერთზე მეტსაც. მუშაობის მთელ პერიოდში მხოლოდ 8 ყვავილში იყო ნაპოვნი ორ-ორი და 5 ყვავილში სამ-სამი კვერცხი.

კვერცხის პროდუქტია საშუალოდ უდრიდა 47. უნდა აღინიშნოს, რომ მხერხავას კვერცხის პროდუქტია დამოკიდებულია მომწიფებით კვებაზე. ამ უმოსევებაში კების მნიშვნელობის გამოსარეკვევად მხერხავას ახლად გამოფრენილი დედლები მამლებიანად 2 აპრილს მოთავსებული იყო ტოტებზე ცალ-ცალკე იზოლატორებში. ამათგან ერთი ნაწილი დატოვებული იყო ხელოვნურად გამოუკვებავად, მეორე ნაწილს ეძლეოდა მხოლოდ წყალი. წყალი დაწვეთებული იყო ფოთლებზე და აგრეთვე ფოთლებ შორის მოთავსებული იყო სელი მარლა და ფილტრის ქაღალდი, მესამე ნაწილს ეძლეოდა წყალი და შაქრის სიროფი ფოთლებზე და ფილტრის ქაღალდზე დაწვეთებული, მეოთხე ნაწილს კი გაწოდებით თაფლის წვეთებს ნახევარ წყალთან. ცდების შედეგები მოცემულია მე-2 ტაბულაში.

მე-2 ტაბულიდან აშენად ჩანს კვების როლი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად უსაკვებოდ (ტაბულის პირველი ცდა) მხერხავები არ ყოფილან დარჩენილი, ვინაიდან ტოტებზე ვტოვებდით კვერცხის დასადებად რამდენიმე ყვავილსა და ნასკეს. ამ ყვავილების ნეგტარით ცხადია შეეძლოთ კვება მხერხავებს, თუმცა მათ წყალი არ ჰქონდათ, რადგან იზოლატორებში მოთავსებულ ტოტებს ღამით ნამი არ ედებოდა,

ემბრიონული განვითარება. ბუნებრივ პირობებში იზოლირებულ ყვავილებშე ერთი დღით მიუშევებდით კვერცხმდებარე რამდენიმე დღესთან ხავას და შემდეგ ყოველდღიური დაკირვების საფუძველზე გრიცხავდით გამოჩეკილ მატლებს. ამის მიხედვით დადგენილი არის, რომ ბუნებრივ პირობებში (დღელამური საშუალო ტემპერატურა 15,1°C) ემბრიონული განვითარება გრძელდება 4—6 დღე.

მხერხავას სქესობრივი პროცესი საკვების სხვადასხვაობასთან დაკავშირებით ტაბ. 2

დაკირვების დრო	საკვების საშუალებელი	განვითარების საშუალებელი	დაკირვების საშუალებელი	მდგრადი მდგრადი	მდგრადი მდგრადი	შენიშვნა
21/IV	11,1	91				
22 "	12,6	90				
23 "	16,1	86				
24 "	21,2	20	17	22	42	47
25 "	13,3	90				
26 "	15,0	87				
27 "	16,6	84				
28 "	13,0	90				
29 "	13,2	90				

ქლიავის მხერხავას კვერცხები ძლიერ ნაზია და საქმაოდ დიდი რაოდენობა იღუპება დების ადგილიდან ამოლების დროს, მით უმეტეს სხვა სუბსტრატებშე მოთავსებისას. მხოლოდ ნამიან ფილტრის ქალალზე დაგებულ ბამბის თხელ ფენაზე მოთავსებით გახდა შესაძლებელი კვერცხების დაუღუპველად შენახვა. ამ წესით იყო ჩატარებული დაკირვებები თერმოსტატში. ცდების შედეგი მოცულია მუ-3 ტაბულაში.

ტაბ. 3

შეფარდება ტენია, %/%	ტ ე მ 3 ე რ	1 ტ უ რ ა	34—36°	
	17°	20—22°	26—30°	
75—80	5 დღეში გამოიჩინა 60%, 6 დღეში 25%/ 15% დაღუპა	5 დღეში გამოიჩინა 50%, დაარჩენი დაღუპა 3 დღეში	დაღუპა 100%/ 50 სათში	დაღუპა 100%/ 17 სათში

ამ ტაბულიდან ჩანს, რომ ქლიავის მხერხავას ემბრიონული განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა ახლო არის 17°C და უკვე 20—22°C დროს იწყება კვერცხების დაღუპვა ტემპერატურის უარყოფითი გავლენის გამო. ლეტალური თერმიული ტემპერატურა უდრის 26—30°C. ერთი შეხედვით თერმოსტატში ჩატარებული ცდების მონაცემები, თითქმის არ უნდა შეეფარდებოდეს სინამდვილეს, მაგრამ, თუ მხედველობაში მიყიდებთ იმ გარემოებას, რომ მავნებელი მხოლოდ გაზაფხულზეა აქტიურ მდგომარეობაში, გაზაფხულიდან კი ეწყება ხანგრძლივი დიაპაზოზა მეორე გაზაფხულამდე, მაშინ გასაგები განდება, რომ ეს მონაცემები სწორედ დამახასიათებელი უნდა იყოს ამ სახეობისათვის. გარემო პირობების ზეგავლენით მავნებელი შეგუებულია დაბალ ტემპერატურას:

მატლის ბიოლოგია-ტოლოგია. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მატლის საზარალო მოქმედების ხანგრძლივობა სხვადასხვა არის. პა-

რუკავას (Harukawa, 9) დაქვირვებით ეს ჰერიოლი იაპონიაში გამოყენებულია 2-3 კვირა, კლემის (11) თქმით—25—28 დღე, ფინცესკუს (Fintzeskü, 7) ონიშვნით რუმინეთში—16 დღე. ასეთი განსხვავება აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჰავის პირობები სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ჩევნში, როდესაც დღელამური საშუალო ტემპერატურა ცდების დროს უდრიდა  $14,2^{\circ}\text{C}$ , მატლის საზიანო მოქმედება გრძელდებოდა 21—25 დღე.

ამ საკითხის უფრო ზუსტად გამოსარჩვევად იზოლატორებში მოვათავსეთ ახლად გამოჩეკილი მატლებიანი ნაყოფები. დაკვარვებას ვაწარმოებდით ყოველ-დღიურად მატლის ზრდის დასრულებამდე. ცდების შედეგები მოცემულია მე-4 ტაბულაში.

მატლის საზარალო მოქმედების ხანგრძლიობა

○○○. 4

გამოჩეკის დრო	ზრდის დასრულება	დაზიანებული ნაყოფების რაოდენობა	განვითარების ხანგრძლივა დღეების მიხედვის	საშუალო დღედამური ტემპირატურა
1 26 აპრილი	18 მაისი	5 ნაყოფი	21	14,2 <sup>0</sup>
2 "	18 "	4 "	21	14,2 <sup>0</sup>
3 "	20 "	5 "	23	14,4 <sup>0</sup>
4 "	21 "	4 "	24	14,6 <sup>0</sup>
5 "	22 "	6 "	25	14,8 <sup>0</sup>
6 27	20 "	6 "	22	14,4 <sup>0</sup>
7 "	20 "	6 "	22	14,4 <sup>0</sup>
8 "	22 "	6 "	24	14,5 <sup>0</sup>
9 "	23 "	6 "	25	14,6 <sup>0</sup>
10 "	20 "	4 "	22	14,4 <sup>0</sup>
11 28	24 "	5 "	25	14,2 <sup>0</sup>
12 "	23 "	5 "	24	14,2 <sup>0</sup>
13 "	23 "	5 "	24	14,4 <sup>0</sup>
14 "	24 "	4 "	25	14,4 <sup>0</sup>
15 "	24 "	4 "	25	14,4 <sup>0</sup>
16 "	21 "	5 "	22	14,1 <sup>0</sup>
17 "	21 "	4 "	22	14,1 <sup>0</sup>
18 "	23 "	6 "	24	14,2 <sup>0</sup>
19 "	22 "	6 "	23	13,6 <sup>0</sup>
20 "	22 "	4 "	23	13,8 <sup>0</sup>

მე-4 ტაბულიდან ჩანს, რომ ბუნებრივ პირობებში მატლის განვითარების ხანგრძლიობა მერყეობს 21—25 დღემდე. ამავე დროს, 1 მატლის გამოსაკვებად საჭიროა 4—6 ნაყოფი. ეს მონაცემები აჩვენებენ, რომ მავნებელს საკმაოდ დიდი ზრალის მოტანა შეუძლია შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში.

კანის ცელისა და მატლის ცალკეულ ხნოვანებათა ხანგრძლივობის გამო-  
სარკვევად ტარდებოდა დაზიანებული და მატლებიანი ნაყოფების სისტემატური  
ანალიზი. დაზიანებულ ნაყოფებში ადგილი აღმოსაჩენია მატლის ნაცვალი კანი,  
განსაკუთრებით თავის ქველი კანი. ხდებოდა აგრეთვე მატლის თავის დიამეტ-  
რისა და სიგრძის გაზომება. გამოირკვა, რომ მატლის სტადიის პირველი ხნო-  
ვანება გრძელდება 4—6 დღე, მეორე ხნოვანება 5—8 დღე, მესამე—6—8 დღე,

მეოთხე—5—7 დღე. უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე კანის გამოცვლა მატლების გადაფრქვევას მატლები არ იკვებება და იმავე ან მეორე დღესვე ჩადის ნიადაგში. ამ დროს მატლებს ვერ იჭერს ცალფენა მარლისაგან გაკეთებული იზოლატორიც კი; მატლები ძრებიან გარეთ და ცვიფიან მიწაზე.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ქლიავის მხერხავას მატლი ნაკლებად განიცდის გარემოს ტენიანობისა და ტემპერატურის გავლენას. მიუხედავად ამისა, შევეცადეთ ტემპერატურის გავლენის გამორკვევას ნაყოფში მცხოვრებ მატლებზე. ამისათვის წყლიან ქილებში ბოლოებით ჩავდეთ ტოტები, რომლებსაც ესხა მატლებიანი ნაყოფები. შემდეგ ეს ქილები მოვათავსეთ თერმოსტატში— $20^{\circ}\text{C}$ ,  $25^{\circ}\text{C}$ ,  $30^{\circ}\text{C}$ ,  $35^{\circ}\text{C}$  და  $40^{\circ}\text{C}$ -იან კამერებში და აგრეთვე საყინულე სარდაფში  $3\text{--}4^{\circ}\text{C}$  და  $7\text{--}8^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ ცდების პარალელურად მატლებიანი ნაყოფები წყლიანი ქილებით მოვათავსეთ ორ ოთახში. ერთი ოთახის საშუალო ტემპერატურა მთელი განვითარების პერიოდში უდრიდა  $17,8^{\circ}\text{C}$ , მეორესი— $20^{\circ}\text{C}$ . სარდაფის ტენიანობა უდრიდა  $75\text{--}80\%$ , ოთახის— $60\%$ -ს და თერმოსტატის კამერებში ის მერყეობდა  $80\text{--}90\%$ -მდე. ამ ცდების შედეგები მოცემულია მე-5 ტაბულაში.

მატლის სტადიის ხანგრძლიობა სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში

ტაბ. 5

შეფარდებ. ტენიანობა % - ღიბით	ტემპერა- ტურა გრა- დუსობით	დაღუპვის % და დრო	განვითარების % და ხანგრძლიობა	შენიშვნა
75—80	წყლი 3—4	100% 40 ს.	100% განვითარებით 20—22 დღეში	დამით ღია ტემპერატურა ეცემოდა $140\text{-მდე}$ , ჰაერი და მზე ხვდებოდა მატლებიან ნაყოფებს
	წყლი 7—8	100% 48 ს.		
60	წყლი 17,8	—	მატლი ნაყით დარჩა 61 ს. მატლი დარჩა ნაყოფში 47 ს. 100%	დამით ღია ტემპერატურა ეცემოდა $140\text{-მდე}$ , ჰაერი და მზე ხვდებოდა მატლებიან ნაყოფებს
	წყლი 20	—		
80—90	წყლი 25	მატლი ნაყით დარჩა 61 ს. მატლი დარჩა ნაყოფში 47 ს. 100%	დამით ღია ტემპერატურა ეცემოდა $140\text{-მდე}$ , ჰაერი და მზე ხვდებოდა მატლებიან ნაყოფებს	
	წყლი 30	—		
	წყლი 35	—		
	წყლი 40	დაიღუპა 45 საათში		

აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ქლიავის მხერხავას განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა არის  $18\text{--}20^{\circ}\text{C}$ . ეს მაყნებელი დაბალი ტემპერატურის მოვარული ყოფილა, ტემპერატურა  $3\text{--}8^{\circ}$  და  $35^{\circ}\text{--}40^{\circ}$  იწვევს მათ დაღუპვას საკმაოდ ჩქარა.

აღმოსავლეთ საქართველოში მაისში ხშირი წვიმები იცის. სწორედ ამ პერიოდში ვითარდებიან ქლიავის მხერხავას მატლები. გადავწყვიტეთ გამოვერკვია წყლის მოქმედება მათზე. ამისათვის მატლებიანი ნაყოფები მოვათავსეთ მუდმივი წვეთის ქვეშ წყლიან ჭურჭელში და სარწყავ არხებში. პირველ შემთხვევაში მატლები განაგრძობდნენ ნაყოფების დაზიანებას. ახალ ნაყოფში გადასვლის დროს მატლი გაურბოდა წყლის წვეთებს, ნაყოფის ქვედა მხარეზე

ექცეოდა და ზოგჯერ გამოსასვლელ ხვრელში იღუპებოდა კიდეც. წყალში ჩატანა გვნილი მატლები იღუპებოდა 1—1,5 საათში. ხანგრძლივი წვიმები აუცილებელი მატლის გადასვლის ერთი ნაყოფიდან მეორეში, რითაც ზარალი მცირდება. ამავე დროს გრძელდება განვითარების პერიოდიც. წვიმების ან მორწყვის შედეგად წარმოქმნილ გუბერში ჩაცვინვული მატლები იღუპებიან. სველ ხეზედაც შეუძლია ასვლა.

გამორკვეულ იქნა მატლებიან ნაყოფებზე ტენის გავლენა. მატლებიანი ნაყოფები მოვათვესეთ ტენიან, ნახევრად ტენიან და მშრალ მიწაზე. პირველ ორ შემთხვევაში ნაყოფები მაღლ დალპა, გაშავდა და ობი მოედო. მესამე შემთხვევაში დაჭრა და დაყვითლდა. სამივე შემთხვევაში მატლებმა დასტოვეს ნაყოფები. ნაწილი ხეზე აცოცდა ახალი საკვების საპოვნებლად, ნაწილი, რომელსაც ზრდა დამთავრებული ჰქონდა, ჩავიდა ნიადაგში. ამრიგად, ნაყოფის შემდგომი ბეჭი მატლებზე არავითარ გავლენას არ ახდებს.

ჩატარებული იყო ცდები სინათლისა და სიბნელის გავლენაზე. მატლების მიმართ. საერთოდ მატლი ამჯობინებს სიბნელეში ყოფნას. კრონის გასწვრივ, მიწაზე ყოფი მატლები ყოველთვის ხის შტამბისაკენ, ჩრდილისაკენ ეშურებიან. როგორც არ უნდა შევუცვალოთ მიმართულება მატლს, ის მაინც ჩრდილისაკენ მიიჩრავთის. განვითარების მხრივ კი სინათლე და სიბნელე ერთნაირად მოქმედობს მატლებზე. მატლებიანი ნაყოფები მოვათვესეთ ბნელსა და ნათელ თერმოსტატში. დაივიცავით ერთი და იგივე ტენიანობა და დაბალი ტემპერატურა. ორივე შემთხვევაში მატლების ზრდა ერთგვარად დამთავრდა.

თავისებური აღმოჩნდა მატლების გამძლეობა შიშილისაღმი. უსაყვებოდ ყოველგვარ ტემპერატურაზე მატლები 100%-ით დაიღუპა 23—38 საათის განმავლობაში. მათი დახმუცა იმითაც აიხსნება, რომ ნაყოფის გარეთ ვამოყვანილი მატლები დიდანს ვერ ძლევენ.

გამორკვეული იყო მატლების მოძრაობის სისწრაფე სხვადასხვა სუბსტრატზე. ლაბორატორიაში, სადაც ტემპერატურა  $21^{\circ}\text{C}$  უდრიდა, მატლებმა 5 წუთში გაიარეს 69 სმ, ფიცარზე — 68 სმ, ნაყოფიან ტოტებზე — 51,5 სმ, ფოთოლზე — 50 სმ, მიწაზე — 39 სმ. ბუნებაში  $25^{\circ}\text{C}$ -ზე 5 წუთში ბილიქზე გაიარეს 130 სმ, ფხვიერ მიწაზე — 60 სმ, სველ მიწაზე — 40 სმ. ამრიგად, მატლები საქმაოდ ჩქარა მოძრაობენ და ერთი ნაყოფიდან მეორეში გადასვლას ან ნიადაგში ჩასვლას ჩქარა ახერხდება. ნიადაგში ჩასვლის დროს მათ ძლიერ ეტანებიან ჭიანჭველები და რომ ჩქარა არ იმაღლებოდნენ მიწაში, ჭიანჭველებისაგან ბეჭრი დაიღუპებოდა.

დაკვირვება იყო ჩატარებული მატლებზე მზის პირდაპირი სხივების გავლენაზე. მზის სხივების უშუალო მოქმედების ზეგავლენით მატლები 100% იღუპებიან 45 წუთის გრძმავლობაში  $30^{\circ}\text{C}$ -ზე. ამით აიხსნება, რომ მატლებში განვითარებულია სწრაფი მოძრაობის უნარი.

ნიადაგში გადასვლა. ზრდის დასტრულების შემდეგ მატლი გადადის ნიადაგში, უმეტეს შემთხვევაში, ხიდან ჩამოვარდნით, ნაწილი ჩამოყვება დაზიანებულ ნაყოფს, ხოლო მცირე ნაწილი ცოცვითაც ჩამოდის მიწაზე. საერთოდ, ლიტერატურაში აღნიშვნულია, რომ ჭლიავის მხერხავას მატლი ნაყოფიდან ნაყოფში ან ნიადაგში მხოლოდ ღამით გადადის. მართალია, იგი სიბნელის მო-

უფარულია, შეგრძამ ჩვენ მიერ ხშირად იყო აღნიშნული შატლების მოძრაობა  
დღისითაც. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეს შემთხვევები მატლის უფარული  
ნელი კანის ცვლის შემდეგ მარლის იზოლატორებში. ყველი დათვალიერების  
დროს თითო იზოლატორის ფენებში 10—15 მატლი გვხვდებოდა გაჩირული,  
რომელიც ცდილობდნენ გარეთ გამოსვლას ნიადაგში ჩასასვლელად.

მატლის ნიადაგში გადასვლის ვადების დასადგენად მატლებიანი ნაყოფები  
მოთავსებული იყო მავთულბადის სათავსურებში, რომელთა ფსკერზე ეყარა 10 სმ  
სისქის მიწა. ნაყოფებს ვათვალიერებდით ყოველდღიურად და კრიცხავდით ნია-  
დაგში გადასული მატლების რაოდენობას (გამოსასვლელი ხერელი ადვილი შე-  
სამჩნევია ნაყოფზე). პირველი პარკი ვიპოვნეთ 13 მაისს ლაბორატორიულ პი-  
რობებში. ბუნებაში აღუჩის ნაყოფებისა და მატლების ცვენა აღვრიცხეთ  
18 მაისიდან, პარკები კი გვხვდებოდა 20 მაისიდან. აღუჩის ნაყოფი შასობ-  
რივად ჩამოცვივდა 21—24 მაისს, ქლიავისა კი 27—29 მაისს.

ნიადაგში გადასვლის შემდეგ მატლები სხვადასხვა სილრმეზე იკეთებენ  
პარკებს ნიადაგის დამუშავების მიხედვით. ბილიკებზე და დაუმუშავებელ ადგი-  
ლებში მატლების პარკები აღირიცხა 1 სმ-ის სილრმეზე. დამუშავებულ ნიადაგ-  
ში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარკები 2—7 სმ-ზე და იშვიათად უფრო ღრმა-  
დაც გვხვდებოდნენ.

ნიადაგში ჩასული მატლი იკეთებს მყრივ პარკს მიწისგან, რომელიც შიგ-  
ნიდან ამოლესილია ნერწყვით. ასეთ პარკებში მატლისავე სტადიაში რჩება  
მავნებელი გაზაფხულამდე, დაახლოებით 10,5—11 თვის განმავლობაში.

როგორც ჩანს, ამ მავნებელს აქვს ზაფხულის დიაპაზზა. ჩაგატარეთ ცდე-  
ბი მატლების დიაპაზზის მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით. ამისათვის მატ-  
ლების ერთი ნაწილი მოვათავსეთ თერმოსტატში 25—30°C, 35—40°C ტემპე-  
რატურაზე, შეორე ნაწილი — საყინულე სარდაფში 8—9°C და შემდეგ გადავი-  
ტანეთ თერმოსტატში უფრო მაღალ ტემპერატურაზე. მესამე ნაწილი მოვათავ-  
სეთ თვით ყინულზე დადგმულ ყუთში, სადაც ტემპერატურა 3-4°C უდრიდა და  
შემდეგ გადავიტანეთ თერმოსტატში უფრო მაღალ ტემპერატურაზე. არც ერთ  
შემთხვევაში არ მოხერხდა მატლების გამოყვანა დიაპაზზიდან. ცდების დროს  
მატლების უმეტესობა დაიღუპა. ამრიგად, ამ მავნებლის ზაფხულის დიაპაზზას  
აშკარა მექანიდრობითი ხასიათი ჰქონდა.

ბრძოლის საშუალებანი. ქლიავის მხერხავის წინააღმდეგ დადებით  
შედევს იძლევა მხოლოდ ბრძოლის მეთოდების კომპლექსის გამოყენება. ცალ-  
ცალევ არც ერთი მათგანი არ იძლევა სასურველ შედევს.

აგროტექნიკური მეთოდი. როგორც აღნიშნული იყო, ქლიავის  
მხერხავი უფრო აზიანებს სააღრეო ჯიშებს. ამიტომ საგვიანო ჯიშების გაშენება  
საგრძნობლად შეამცირებს ამ მავნებლის უარყოფით ეკონომიურ გავლენას. ეს  
ლონისძება არ არის მისაღები აღუჩისა და ტყემლის მიმართ.

მავნებლის მარაგს ამცირებს აგრეოვე ნიადაგის გადაბარვა. მიწის ზემოთ  
ამოყრილი მატლებიანი და ჭუპრებიანი პარკები მზეზე ხმება და მავნებლები  
რღუპებიან.

ფიზიკურ-მექანიკური შეთოდი. ამ ჯგუფის ღონისძიებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მატლებიანი ნაყოფების შეგროვება. ნაყოფში შესრულებული შესლიდან 5-6 დღის შემდეგ ნაყოფის ყუნწი სუსტდება და ტოტს ძლიერ ადგილად სცილდება. საკმარისია ტოტის ოდნავი შერხევა, რომ ნაყოფები ძირს ჩამოცივდეს. ეს მდგომარეობა ააღვილებს მატლებიანი ნაყოფების შეგროვებას. ჩამონაბერტყი ნაყოფების ანალიზებმა გვიჩვენა, რომ ნაყოფების 77% შეიცავდა ქლიავის შერხევას მატლებს (ამისათვის ანალიზი გაუკეთდა 12.402 ნაყოფს).

ჩამონაბერტყვის გადის გამოსარკვევად, დაზიანებული ნაყოფები ჩამოვბერტყეთ მატლების მასობრივი გამოჩეკიდან 5, 10 და 15 დღის შემდეგ. გამოირკვა, რომ ჩამონაბერტყვა უნდა დაიწყოს მატლების მასობრივი გამოსვლიდან 8 დღის შემდეგ და განმეორდეს სამჯერ მაინც ყოველ 3-4 დღეში. ჩამონაბერტყვით შეიძლება მატლების მარაგის დიდად შემცირება. ჩამონაბერტყვი ნაყოფები უნდა ჩაიყაროს წყლიან ჭურჭელში 1 დღელამის განმავლობაში (მატლები გამოდიან ნაყოფებიდან და ოლუპებიან წყალში) ან ლრმაზ ჩაითვლოს მიწაში.

ქიმიური მეთოდი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქლიავის მხერ-  
ხავას მატლები მთელი თავისი ზრდის პერიოდში ცხოვრობენ ნაყოფის შიგნით.  
ამის გამო წინასწარ შეიძლებოდა გვკოდნოდა, რომ ქიმიური მეთოდით ბრძო-  
ლა ვერ მოვცემდა დამაკაცყოფილებელ შედეგებს. მატლებზე შხამები მაშინ  
მოქმედებენ, როცა ისინი ერთი ნაყოფიდან გადადიან მეორეში და ახალ ნა-  
ყოფში შესასვლელად ხერქელს აკეთებენ. იმაგოს მიმართ შესაძლებელი იყო ისე-  
თი შხამების ხმარება, რომლებიც ყვავილებზე არ მოქმედებენ, რადგან იმაგო  
მხოლოდ ყვავილობის დროს ფრქნს.

ქლაივის მხერხავის საწინააღმდეგოდ კლემი (11) ურჩევს კვასიას ნახარშის შესხურებას, მეორე ნაშრომში (10) კი პარიზის მწვანის შესხურებას. შპრენგე-ლი (13) მომხრეა ნიკოტინისა და დარიშხანის პრეპარატების ხმარებისა.

ნაქარის ანალიზის შენაჯამი ინსექტიციდების მოქმედების შედეგად

(1938—1939 份.)

○○○. 6

ანალიზის ნომერი	შეწამვლის დრო	ინსექტიციდის დასახელება	კონცენტრაცია	საცდ. ნაკვ.			საკონტ. ნაკვ.			დანართული განვითარების დოზი
				საკურის გრძელება	სა- ცდობრაოს 10 ნოვენ.	მიზანის ნაკვ. ფის რაოდ.	საკურის სა- ცდობრაოს 10 ნოვენ.	მშენების ნაკვ. ფის რაოდ.	დაზიანების %	
1—28 მაისის	12, 22, 27 აპრილი 1938 წ.	ანაბაზინ სულფატი „ „ „	0,15% / 0,2%	4910 3146	£350 945	48,2 29,9	£337 „	4158 „	65,4 „	17,2 35,5
	10, 20, 26 აპრილი 1939 წ.	„ „ „	0,3%	4001	637	13,5	„	„	„	51,9
	3, 13 მაისი 1938 წ.	პარიზის მყვანე + ანაბაზ. სულფატი	0,15% / 0,2%	3039	635	25,8	„	„	„	39,6
	3 აპრილი 10 მაისი 1939 წ.	დარიშ. კალც. + კირი	1:1	5365	1629	30,6	„	„	„	34,8

ამ მიმართულებით ჩავატარეთ ცდები ბუნებრივ პირობებში. ცდებისათვეს  
გამოვყენეთ ბალის სხვადასხვა ნაკვეთი. გამოვცადეთ ანაბაზინ სულფატების  
ანაბაზინ სულფატისა და პარიზის მწვანის კომბინირებული ნაზავი და დარიშ-  
ხანეული კალციუმი. ანაბაზინ სულფატი ავილეთ 0,15%, 0,2% და 0,3% კონ-  
ცენტრაციის სახით. პირველად შესხურება ჩავატარეთ ყვავილობის დაწყების  
წინ, მეორედ—პარელი წამლობიდან 10 დღის შემდეგ და მესამედ—პირველი  
წამლობიდან 15 დღის შემდეგ. ეს ღონისძიება ჩავატარეთ იმაგოს და ახლად  
გამოჩეკილი მატლების მიზართ. უკანასკნელები გამოჩეკის შემდეგ 3-4 საათის  
განმავლობაში ხეტალობენ ნაყოფის ზედაპირზე ნაყოფში შესვლამდე.

ანაბაზინ სულფატისა და პარიზის მწვანის კომბინირებული ნაზავი (პარიზის  
მწვანის 0,15% და ანაბაზინ სულფატის 0,2% კონცენტრაციი) ორჯერ ვიზმარეთ  
მატლების წინააღმდეგ, როცა შევამჩნიერთ თითოო-ოროლა ჩამოცვენილი ნაყოფი.  
მათივე წინააღმდეგ შევაფრქვიერთ დარიშხანეული კალციუმისა და კირის შენა-  
რევი (1:1).

შხამების ყოველ კონცენტრაციას ცდების განმეორებით ჩატარების დროს  
ვხმარობდით ერთსა და იმავე ნაკვეთში. განცალკევებით გამოვყავით საკონტ-  
როლო ნაკვეთი. ცდები მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში. ცდების შე-  
დეგები გამოვარკვიეთ დაზიანებული და ჩამონაცვენი ნაყოფების აღრიცხვით,  
რაც ტარდებოდა ორ დღეში ერთხელ დილით საცდელ და საკონტროლო ხეებს  
ქვეშ. ცდების შედეგები მოცემულია მე-6 ტაბულაში.

ამ ტაბულიდან ჩანს, რომ ქლიავის მხერხავას წინააღმდეგ ქიმიური მე-  
თოდით ბრძოლა არ იძლევა დამაქმაყოფილებელ შედეგს. იგი მავნებლის საზა-  
რალო მოქმედებას ამცირებს მხოლოდ 17%—51%-მდე. გამოყენებული შხამე-  
ბიდან უფრო მისაღებია ანაბაზინ სულფატის 0,3% სნარის შესხურება ყვავი-  
ლობის დაწყების წინ და განმეორება 10, 15 დღის შემდეგ პირველი წამლო-  
ბიდან. ეს ღონისძიება მიმართული იქნება იმაგოს და ახლად გამოჩეკილი  
მატლების წინააღმდეგ.

## დ ა ს პ ვ ე ლ ი ტ

1. ქლიავის მხერხავა აზიანებს ქლიავს, ალუჰისა და ტყემალს. მისგან ზოგ  
წელიწიდს ნახევარი მოსავალიც კი ნადგურდება.

2. ეს მავნებელი გავრცელებულია აღმ. და დას. საჭართველოში გარდა მა-  
ღალი რაიონებისა.

3. ქლიავის მხერხავა საჭართველოშიც ერთწლიანი გენერაციით ხასიათდება.  
მეზამთრეობს მატლი ნიაღდაგში მიწის პარქში 2—7 სმ-ის სილრმეზე. გაზაფხულზე,  
როცა ჰაერის საშუალო დღელამური ტემპერატურა 8°C. აღწევს და ეს გრძელ-  
დება 8—10 დღე, მატლი გადაიის ჭუბრის სტანდიაში. ჭუბრობის დასაწყისის  
თერმიული ქვედა ზღვარი არის 10°C-ის ხელოს, ზედა ზღვარი კი—26—30°C.

4. მხერხავას ფრენა ხდება ალუჰისა და ტყემლის სრული ყვავილობის  
დროს და ქლიავის აყვავების დაწყებისას, რასაც თბილისის პირობებში აღვილი  
აქვს ჟუა აპრილში.

5. შემცირდება ძლიერ ხარბად იქვებება ყვავილების ნექტარითა და ნაირობის მოსდევს მისი სქესობრივი მომწიფება. ალუჩისა და ტყემლის გვირჩევის ფურცლების ცვენის დროს იწყება კვერცხის დება. კვერცხს დებს ჯამის კანისა და ნასკვის კანქვეშ. კვერცხის პროდუქცია უდრის 17—47.

6. 4—6 დღე გრძელდება ემბრიონული განვითარება, რომლის ოპტიმალური ტემპერატურა (თერმოსტატის პირობებში)  $17^{\circ}\text{C}$ -ია.  $26-30^{\circ}\text{C}$  დროს თერმოსტატში ნაყოფიდან ამოლებული კვერცხი იღუდება 50 საათში.

7. მატლი ზრდას ასრულებს 21—25 დღეში. ამ ხნის განმავლობაში აზიანებს 4—6 ნასკვა და ნაყოფს. მისი განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა  $18-20^{\circ}\text{C}$ -ია.

მატლის გამოჩეკიდან 5—7 დღის შემდეგ იწყება ნაყოფის ცვენა. მასობრივად ნაყოფები ცვიგა მატლის გამოჩეკიდან 15 დღის შემდეგ.

8. საქართველოს პირობებში მატლის ზრდის დასრულება და ნიადაგში გადასცელა მთავრდება 26—29 მაისს.

9. ბრძოლის საშუალებანია: а) აგროტექნიკური ზომები, ბ) საგვიანო ჯიშების გაშენება, გ) ნიადაგის გადაბარვა.

ფიზიკურ-მექანიკური მეთოდით — а) მატლებიანი ნაყოფების ჩამობერცვა მატლების გამოჩეკიდან 8—10 დღის შემდეგ ყოველ 3-4 დღეში, სულ სამჯერ. ჭიშიური მეთოდით — а) ანაბაზინ სულფატის 0,3% ხსნარის შესხურება აპრილში სამჯერ (დაზიანებას ამცირებს 50%-ით), ბ) მაისის პირველი და მეორე დეკადის დასაწყისში პარიზის მწვანისა 0,15% და ანაბაზინ სულფატის 0,2% კომბინირებული ნაზავის შესხურება (დაზიანებას ამცირებს 30-40%).

ალ. И. Багдадзе

## К ИЗУЧЕНИЮ БИОЭКОЛОГИИ И МЕР БОРЬБЫ ПРОТИВ СЛИВЯНОГО ПИЛИЛЬЩИКА

1. Сливяной пилильщик (*Hoplocampa minuta* Christ) повреждает сливу, алыху и ткемали. В некоторые годы, благодаря его вредной деятельности, погибает половина урожая.

2. Этот вредитель распространен по всей Грузии, кроме высокогорных районов. Повидимому распространение вредителя в таких районах ограничивается низкой температурой.

3. В Грузии сливяной пилильщик, как и следовало ожидать, характеризуется одногодичной генерацией. Зимует личинка в почве на глубине 2—7 см в коконе. Личинка оккуляется весной, когда среднесуточная температура воздуха доходит до  $8^{\circ}\text{C}$  и такая температура держится в продолжение 8—10 дней. Нижний термический порог начала оккулции личинок приблизительно равен  $10^{\circ}\text{C}$ , верхний термический предел —  $26-30^{\circ}\text{C}$ .

4. Лет имаго начинается во время полного цветения алых и ткемали и начала цветения сливы, что в условиях Восточной Грузии происходит в средних числах апреля месяца.

5. Половозрелость наступает в результате дополнительного питания имаго нектаром. Начало яйцекладки совпадает с началом опадения лепестков. Для откладки яиц самка делает специальное углубление в чашелистках и завязи, куда и кладет яйца. Количество яиц в зависимости от питания доходит до 17—47 штук.

6. Эмбриональное развитие длится 4—6 дней. Оптимальная температура эмбрионального развития в условиях термостата равна 17°C. При 26—30°C яйца, вынутые из мест кладки и помещенные в термостат, погибали в течение 50 часов.

7. Развитие личинки продолжается 21—25 дней и за это время она повреждает в среднем 4—6 плодов и завязей. Оптимальная температура развития личинки равна 18—20°C. Опадение поврежденных плодов начинается спустя 5—7 дней по вылуплении личинок, а массовое опадение плодов имеет место по истечении 15 дней после выхода личинок.

8. Переход личинок в почву в условиях Восточной Грузии полностью заканчивается 26—29 мая.

9. Меры борьбы: агротехнические—а) посадка поздних сортов слив и б) перекопка почвы; физико-механические—а) трехкратное отряхивание и сбор поврежденных плодов, которое проводится спустя 7-8 дней по вылуплению личинок и повторяется каждые 3-4 дня; химические—а) трехкратное опрыскивание 0,3% раствором анабазин сульфата в апреле месяце (12, 22 и 27 апреля) снижает количество поврежденных плодов на 51%, б) двухкратное опрыскивание (в начале первой и второй декады мая) комбинированным раствором парижской зелени (0,15%) и анабазин-сульфата (0,2%) снижает вредную деятельность на 30—41%.

Только при применении всего комплекса мероприятий можно добиться значительного эффекта.

#### Л И Т Е Р А Т У Р А

1. Кеппен, Ф.—Вредные насекомые, т. III, 1882.
2. Плотников, В.—Насекомые вредящие в Туркестане с указанием способов борьбы. Ташкент, 1914.
3. Уваров, Б. П.—Обзор вредителей с. х. растений Тифлисской и Эриванской губ. за 1916—1917 г.г. Тифлис, 1918.
4. Grandi, G.—Le Hoplocampa dei Susini nelle Emilia Ann. Tec. agrar. Rome, 1928
5. Enslin, E.—Die Blatt und Holzwespen. Stuttgart.

- 62
6. Ferdinandsen(e) Rostrup (S)—Oversigt over Sygdomme hos Landbrugets og Havebrugets Kulturplanter, i 1920, Copenhagen, 1921.
7. Fintzescu, G. N.—Hoplocampa fulvicornis Fabr. La Mouche-a-scie des Prunes. Note previminaire Bull. Seect. Sci Acad. Roumaine, Bucharest 1920—21.
8. Frueer Others—Report on the Occurrence of Insect and Fungus Pests on Plants in England and Wales the Year, 1919.
9. Harucawa (c)—Studiens on the Bionomics of the Pear Fruit Saw-fly, H. minuta Christ. Ber. Ohara Inst. Landw. Forschungen. Kurashiki, 1924.
10. Klemm, M. I.—Die Plaumsägewespe. Berlin—Königsberg, 1930.
11. Klemm M. I.—Ein neues Bekämpfungsmittel gegen die Pflaumensägewespe Juli, 1937. Königsberg.
12. Marchal, P.—Paport phytopathologique por l'anne 1913, Paris, 1914.
13. Spengel, L.—Über die Lebensgeschichte der Pflaumensägewespe und ver- such zu ihrer Bekämpfung, Berlin, 1928.
14. Reh-Sorauer—Handbuch der Pflanzenkrankheiten.

მ. ა. სისარულიძე

## განაყოფილების არჩევითობის საკითხისათვის საჭაროველოს ხორბლის ექოტიპები

მცენარეული და ცხოველთა ორგანიზმები პროდუქტია ისტორიული განვითარებისა. შემდგომი გამრავლებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად მათ ახასიათებს გისაოცარი შეგუებულობა და შესაბამისობა გარკვეულ პირობებთან. მცენარეულ ორგანიზმთა ყველა სასიცოცხლო პროცესი არჩევითობით ხასიათდება. არსებულ შესაძლებლობათაგან მცენარეს უნარი აქვს მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებისათვის შეარჩიოს უფრო უკეთესი. განაყოფიერების პროცესიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მცენარეული კვერცხუჯრედი არაერთგვარი მიზიდულობით მიიღებს მის დინგზე მოხვედრილ ყველა მტვერს. მცენარეს უნარი აქვს მრავალ მეტოქეთაგან აირჩიოს გასანაყოფიერებლად ისეთი მცენარის მტვერი, რომელიც უკეთესად უზრუნველყოფს მის შემდგომ განვითარებას.

მცენარეებში განაყოფიერების არჩევითობა აღნიშნულია დარვინის მიერ. 1862 წ. ლოქტ. გრეის მიმართ მიწერილ წერილში *Linnium glandiflorum*-ის (სელის) შესახებ იგი სწერს, რომ: „დინგი ასხვავებს მტვერს, იგი ატარებს ერთნაირ მტვერს, მაგრამ მეორენაირს კი არა. ან კიდევ, რაც იგივეა, ერთი ფორმის დინგი მოქმედობს მტვერზე და ექვემდებარება მტვრის მოქმედებას, რომელიც ოდნავადაც არ მოქმედობს მეორე ფორმის დინგზე“ (6). დარვინმა ამ მოვლენას—prepotency უწოდა.

უკანასკნელ დრომდე ცოცხალ ორგანიზმთა ერთერთი ძირითადი მოქმედი პროცესი — განაყოფიერება შემთხვევითობით იხსნებოდა, იგი თითქოს არ ექვემდებარებოდა არავითარ ბიოლოგიურ კანონზომიერებას. საბჭოთა კავშირის დიდ მეცნიერთა, დარგინისტების—კ. ა. ტიმირაზევის, ი. ვ. მიჩურინისა და აკად. ტ. ლ. ლისენკოს შრომებით, დარგინიზმის მოძღვრების პირველ რიგებში გამოტანით, უარყოფილ იქნა განაყოფიერების პროცესის შემთხვევითობით ახსნა. ი. ვ. მიჩურანინმა და აკად. ტ. ლ. ლისენკომ მცენარეთა ეს უნარი—განაყოფიერების არჩევითობა—თავის საქმიანობაში პრაქტიკულ ღონისძიებად გამოიყენეს და კიდევ ახალი მეთოდები მოგვცეს ჯიშთა გამოყვანისა და გაუმჯობესების საქმიში. უკანასკნელ წლებში ამ საკითხისადმი მიძღვნილია მთელი რიგი გამოკვლევები.

მცენარეთა განაყოფიერების პროცესი რომ არ არის შემთხვევითი და მცენარეული კვერცხუჯრედი არაერთგვარი მიზიდულობით ღებულობს მის დინგზე მოხვედრილ ყველა მტვერს, ამის შესახებ ჩვენც მოგვებოვება ზოგიერთი მასალა საქართველოს ხორბლების ეკოტიპთა ფორმებისათვის.

ჩევნი ობიექტი იყო დოლის პურის ეკოტიპები პროფ. ლ. ლ. ღვევერია  
ლევაჩის დაყოფით. ჩევნს ცდაში ისწავლებოდა თუ რა ქცევას იჩენდა დამტევების  
დოლის (Tr. vulgare var. erythrospermum) სხვადასხვა ეკოტიპი თავისუფალი  
დამტევერვის შემთხვევაში.

თეთრი დოლის (Tr. vulgare var. erythrospermum) ეკოტიპები გვეთხსა ში-  
თელი დოლის (Tr. vulgare var. ferrugineum) ეკოტიპთა შორის. თეთრი დოლის  
ეკოტიპების ნათესი იმგვარად იყო განწყობილი წითელი დოლის ეკოტიპებში,  
რომ სრული შესაძლებლობა იყო ცალკეულ ეკოტიპს მიეღო მტევრი ეკოტი-  
პის შიგნით ან მეზობელი წითელი დოლის ეკოტიპიდან. ორ მჭრივ თეთრ  
დოლს ორივე მხრიდან ეთხსა ოთხ-ოთხი მჭრივი წითელი დოლი. გარკვეული  
რიცხვი თეთრი დოლის თავთავებისა იყო კასტრირებული და მიშვებული თა-  
ვისუფალ განაყოფიერებისათვის. ჩევნ მიერ აღებული ეკოტიპების დათავთავე-  
ბისა და ყვავილობის დრო ან ემთხვევა ერთმანეთს ან თუ სცილდება მხო-  
ლოდ 2-3 დღით. ამგვარად, აქ არ იყო იმის საშიშროება, რომ მცენარე განა-  
ყოფიერებულიყო იძულებით და მას არ ჰქონოდა საშუალება შეერჩია თავისი  
თუ მეზობელი ეკოტიპის მტევრი, რადგანაც ყვავილობის ხანგრძლივობა არა  
თუ პოპულაციაში, არამედ წმინდა ხაზიან ჯიშებშიაც კი 2-3 დღეზე გაცილე-  
ბით მეტით განისაზღვრებოდა.

ქვემოთ მოგვყავს ტაბულა, სადაც წარმოდგენილია დოლის სხვადასხვა ეკო-  
ტიპის თავისუფალი დამტევერვის შედეგად მიღებული პირველი თაობის ანალიზი.

თეთრი დოლი	წითელი დოლი	I თაობის მცენ-თა რიცხვი	II თაობის მცენ-თა რიცხვი	III თაობის მცენ-თა რიცხვი	IV თაობის მცენ-თა რიცხვი
1 დოლი 35-4 ეკოტ. ქართლ.	თეთრ-წყ. ეკოტ. ტყ. ზონისა	123	98	30	76.6
2 " "	ახალციხის—ეკოტ. მესხეთისა	69	42	27	61.0
3 " "	გორის—ეკოტ. ქართლის . .	66	34	32	51.5
4 დოლი 018-46 ეკოტ. "	თეთრ-წყ.—ეკოტ. ტყის ზონისა	85	62	18	77.5
5 " "	ახალციხის—ეკოტ. მესხეთისა	114	70	44	61.4
6 თეთრ წყაროს ეკ. ტყ. ზონისა	თეთრ-წყ.—ეკოტ. ტყის ზონისა	75	41	34	54.6
7 " "	ახალციხის—ეკოტ. მესხეთისა	62	44	18	71.0
8 " "	ძალისურა—ეკოტ. ქართლისა	72	58	14	80.6
9 დუშეთის—	თეთრ-წყ.—ეკოტ. ტყის ზონისა	40	25	15	62.5
10 " "	ახალციხის—ეკოტ. მესხეთისა	43	43	—	100.0
11 " "	გორის—ეკოტიპი ქართლისა	82	56	26	68.8
12 " "	ძალისურა—	46	37	9	80.4
13 გურჯაანის—ეკოტ. კახეთისა	თეთრ-წყ.—ეკოტ. ტყ. ზონისა	68	46	22	67.7
14 " "	ახალციხის—ეკოტ. მესხეთისა	70	52	18	74.3
15 ლაგოდ.—ეკ. კახ., (მსხვ. თავთ.)	თეთრ-წყ.—ეკოტ. ტყის ზონისა	62	33	29	53.2
16 " "	ახალციხის—ეკოტ. მესხეთისა	92	46	46	50.0

როგორც წარმოდგენილი ტაბულიდან ჩანს, პირველ თაობაში დოლის  
კველა ეკოტიპიდან ქარბალა თეთრი დოლისნაირი მცენარეები. წითელთავთა-  
ვიანი ფორმები შედარებით ნაკლებადა გამომუღავნებული. ცალკეული ეკოტი-  
პის მიხედვით აქ სულ სხვადასხვაგვარი სურათია. მიღებული.

1. დოლი 35-4 თეთრ-წყაროს წითელ დოლთან. 25 კასტრირებულ 128

პირველი თაობის მცენარიდან 98 თეთრთავთავიანი ფორმებია 20 კი—წითელ-ზელი თელთავთავიანი. ცალკეულ თავთავთა თაობის მიხედვით (თუმცა მცირტებული თითქმის ყოველთვისაა წითელთავთავიანი მინარევი, გამონაკლისია ორი თავთავის თაობა, სადაც ყველა მცენარე თეთრთავთავიანია. დედისეული ეკოტიპის შემცვიდრეობა გამოვლინებულია 76,5%-ით.

2. დოლი 35-4 ახალციხის წითელ დოლთან. 9 კასტრირებული თავთავის 46 პირველი თაობის მცენარიდან 28 თეთრთავთავიანია, 18 კი—წითელ-თავთავიანი. ყველა 9 თავთავის თაობაში არის წითელთავთავიანი მინარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 61%-ით.

3. დოლი 35-4 გორის წითელ დოლთან. 22 კასტრირებული თავთავის 66 პირველი თაობის მცენარიდან 34 თეთრთავთავიანია, 32 კი—წითელთავთავიანი. აქ წითელთავთავიანი ფორმები გამოვლინებულია თითქმის სანახევროდ. ცალკეულ თავთავთა თაობიდან აქ აღვილი აქვს სრულიად წითელთავთავიანი ფორმების მიღებასაც. 4 თავთავის თაობა სრულიად წითელთავთავიანია, 3-ისა—სრულიად თეთრთავთავიანი, დანარჩენისა მინარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 51,5%-ით.

4. დოლი 018-46 თეთრ-წყაროს წითელ დოლთან. 18 კასტრირებული თავთავის 80 პირველი თაობის მცენარიდან 62 თეთრთავთავიანია, 18 კი წითელთავთავიანი. ცალკეულ თავთავთა თაობის მიხედვით 8 თავთავის თაობა მხოლოდ თეთრთავთავიანია, 10-ისა კი—ნარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 77,5%-ით.

5. დოლი 018-46 ახალციხის წითელ დოლთან. 24 კასტრირებული თავთავის 114 პირველი თაობის მცენარიდან 70 თეთრთავთავიანია, 44 კი წითელ-თავთავიანი. ცალკეული თავთავის თაობის მიხედვით 5 თავთავის თაობა სრულიად თეთრთავთავიანია, დანარჩენი კი მინარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 61,4%-ით.

6. თეთრ-წყაროს თეთრი დოლი თეთრ-წყაროს წითელ დოლთან. 24 კასტრირებული თავთავის 75 პირველი თაობის მცენარიდან 41 თეთრთავთავიანია, 34 კი—წითელთავთავიანი. ცალკეულ თავთავთა თაობის მიხედვით 6 თავთავის თაობა სრულიად თეთრთავთავიანია, 4-ის—სრულიად წითელთავთავიანი, დანარჩენი—მინარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 54,6%-ით:

7. თეთრ-წყაროს თეთრი დოლი ახალციხის წითელ დოლთან. 25 კასტრირებული თავთავის 62 პირველი თაობის მცენარიდან 44 თეთრთავთავიანია, 18 კი—წითელთავთავიანი. ცალკეული თავთავის თაობის მიხედვით 11 თავთავის თაობა სრულიად თეთრთავთავიანია, დანარჩენი კი მინარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 71%-ით.

8. თეთრ-წყაროს თეთრი დოლი ძალისურასთან. 16 კასტრირებული თავთავის 72 პირველი თაობის მცენარიდან 58 თეთრთავთავიანია, 14-კი—წითელთავთავიანი. ცალკეული თავთავის თაობის მიხედვით 7 თავთავის თაობა

სრულიად თეორია, დანარჩენის — მინარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა /  
ბა გამოვლინებულია 87,6%-ით.

9. დუშეთის თეორი დოლი თეორ-წყაროს წითელ დოლთან, 8 კასტრირე-  
ბული თავთავის 47 პირველი თაობის მცენარიდან 25 თეორთავთავიანია,  
15-კი წითელთავთავიანი. ცალკეული თავთავის თაობის მიხედვით 2 თავთავის  
თაობა სრულიად თეორია, 2-ის სრულიად წითელი, დანარჩენის მინარევი. დე-  
დისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 62,5%-ით.

10. დუშეთის თეორი დოლი ახალციხის წითელ დოლთან. 12 კასტრირე-  
ბული თავთავის 43 პირველი თაობის მცენარიდან ყველა თეორთავთავიანია,  
დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 100%-ით.

11. დუშეთის თეორი დოლი გორის წითელ დოლთან. 24 კასტრირებული  
თავთავის 82 პირველი თაობის მცენარიდან 55 თეორთავთავიანია, 26-კი წი-  
თელთავთავიანი. ცალკეული თავთავის თაობის მიხედვით 4 სრულიად თეო-  
რია, დანარჩენი ნარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებუ-  
ლია 68,8%.

12. დუშეთის თეორი დოლი ძალისურასთან. 9 კასტრირებული თავთავის  
46 პირველი თაობის მცენარიდან 37 თეორთავთავიანია, 9-კი — წითელთავთა-  
ვიანი. ცალკეულ თავთავთა თაობის მიხედვით 6-ის სრულიად თეორთავთა-  
ვიანია, დანარჩენი ნარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინე-  
ბულია 80,4%-ით.

13. გურჯაანის თეორი დოლი თეორ-წყაროს წითელ დოლთან. 15 კას-  
ტრირებული თავთავის 68 პირველი თაობის მცენარიდან 46 თეორთავთავია-  
ნია, 22 წითელთავთავიანი. ცალკეულ თავთავთა თაობიდან 5 სრულიად თეო-  
რია, დანარჩენი ნარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებუ-  
ლია 67,7%-ით.

14. გურჯაანის თეორი დოლი ახალციხის წითელ დოლთან. 17 კასტრირე-  
ბული თავთავის 70 პირველი თაობის მცენარიდან 52 თეორთავთავიანია, 18 კი  
წითელთავთავიანი. ცალკეულ თავთავთა თაობიდან 5 სრულიად თეორია, დანარ-  
ჩენი ნარევი. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 74,3%-ით.

15. ლაგოდეხის თეორი დოლი თეორ-წყაროს წითელ დოლთან. 10 კასტ-  
რირებული თავთავის 62 პირველი თაობის მცენარიდან 33 თეორთავთავიანია,  
29 წითელთავთავიანი (თითქმის სანახევროდ). აქ ყოველი თავთავის თაობა მი-  
ნარევია. დედისეული ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 53,2%-ით.

16. ლაგოდეხის თეორი დოლი ახალციხის წითელ დოლთან. 23 კასტრი-  
რებული თავთავის 92 პირველი თაობის მცენარიდან 46 თეორთავთავიანია,  
46-კი წითელთავთავიანი (სანახევროდ). ცალკეული თავთავის თაობის მიხედვით  
3 სრულიად თეორია, 2 სრულიად წითელი, დანარჩენი მინარევი. დედისეული  
ეკოტიპის მემკვიდრეობა გამოვლინებულია 50%-ით.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, პირველი თაობის მცენარებ  
ში ყველა ეკოტიპის თითქმის ყველა კომბინაციაში სჭარბობს დედა მცენარის  
ფორმები. გამონაკლისია კომბინაცია № 16, სადაც წითელი დოლის მემკვიდ-  
რეობა გამოვლინებულია 50%-ით.

აკად. ლისენკო დელისეული მექვერდრეობის ჰარბად გამოვლენის შემთხვევას უმტესად მიღიარდებიზმით ხსნის. მისი აზრით დელისნაირ მცენარეები გამოვლენის სიჭარებები არავითარ შემოხვევაში არ აისხება თავისი მტკიცებულებების წევით. თავისუფალი დაუსრულებელი არჩევითი განაყოფიერება მცენარეებში, როგორც წესი, გვაძლევს ერთი მექვიდრეობის მიერ მეორე მემკვიდრეობის თითქმის სრულ შთანთქმას. უფრო ხშირად დედისეულის მემკვიდრეობა შთანთქმას მატისეულს (4). -

ჩვენს მასალებში წითელთავთავიანი ფორმები თითქმის ყველა კომბინაციაშია გამოვლინებული (გამონაცლისია კომბინაცია № 10, სადაც იგი არც ერთი % -ით არ გამოვლინდა). საშუალოდ, ყველა კომბინაციიდან წითელთავთავიანი ფორმები მიღებულია 33%-ით, ე. ი. მესამედი. თეთრთავთავიანი ფორმებიდან მომდევნო თაობებშიც (II-III-IV თაობა) არ გამოთავსულა წითელთავთავიანი ფორმები. ჩვენის აზრით, ჩვენი ხორბლის ეკოტექნებში, თავისუფლად განაყოფიერების შემთხვევაში, პირველ თაობაში თეთრ ან წითელთავთავიანი ფორმების გამოვლენა იმის შეფარდებითაა, თუ რომელი მტკვრი მიიღო თეთრი ღოლის ეკოტექნიკა. იგი დაიმტკვრა თავისი ეკოტექნიკის შენით, თუ წითელი ღოლის ეკოტექნიკან.

აქ ის გარემონტაბა აღსანიშნავი, რომ ცალკე ეკოტიპები განაყოფიერები-  
სათვის სხვადასხვაგვარ მიღრევილებას იჩენენ ეკოტიპის შიგნით თუ სხვა ეკო-  
ტიპის მტვერის არჩევის შიმართ. ჩვენი მასალებიდან საყურადღებოა არა მარ-  
ტო ის, რომ თეორი დოლი (*Tr. vulgare* var. *erythrospermum*), თავისუფლად  
დამტვერების შემთხვევაში, აირჩევს საკუთარ თუ წითელი დოლის (*Tr. vulgare*  
var. *ferrugineum*) მტვერს, არამედ ძირითადად ის, რომ ცალკეული ეკოტიპები  
განაყოფიერებისას სხვადასხვაგვარად არიან განწყობილი როგორც თავისი, ისე  
სხვა რომელიმე ეკოტიპის მტვერის არჩევის შიმართ. საკუთარი ან სხვისი მტვე-  
რის არჩევისას ძირითადად მომქმედია ხორბლის არა ცალკე სახესხვაობანი,  
არამედ მა სახესხვაობათა ეკოტიპები.

დოკი 35-4 და დოკი 018-46 (ქართლის ეკოტიპები) თავისუფალი დამტვერვისას, როდესაც მოცემულია შესაძლებლობა განაყოფიერდნენ თავის შიგნით, ან თეთრ-წყაროს წითელი დოლით (ტყის ზონის ეკოტიპი), ძირითადად ირჩევენ ეკოტიპის შიგნით მტვერს  $76,5 - 77,5\%$ -ით და ნაკლებად ეთერ-სებიან თეთრ-წყაროს წითელ დოლს. ახალციხის წითელ დოლთან (მცხავეთის ეკოტიპი) საკუთარ მტვერს ირჩევენ  $61 - 61,4$ -ით, გორის წითელ დოლთან (ქართლის ეკოტიპი)  $\geq 51,5\%$ -ით. ეკოტიპის შიგნით ისინი მეტად ერგისტებიან წითელ დოლს. აქ ცალკეულ თავთავთა თაობაში მთლიანად წითელთვთავიანი ფორმებიცაა აღნიშნული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქართლის ეკოტიპის ორივე ჯიში ანალოგიურ თვისობას იჩენს წითელი დოლის სტეადაქცეულტიპის მიმართ.

თეორ-ტყაროს თეთრი დოლი (ტყის ზონის ეკოლიტი) მეტი მიღრეკილებას ჩაიწენს თეორ-ტყაროს წითელი დოლის შიმართ. აქ თითქმის სანახვეროლადა გამოვლინებული წითელთავთავიანი მცენარეები (45,4%), აქაც ცალკეული თავთავების თაობა მთლიანად წითელთავთავიანი ფრამებითაა წარმოდგენილი. სანახვეროდ იგი უფრო გაურბის წითელი დოლის მესხეთისა (წითელთავთავიანი მცენარეები 29%) და ქართველის (წითელთავთავიანი მცენარეები 19,4%) ეკოლიტიების.

დუშეთის თეთრი დოლი (ტყის ზონის ეკოტიპი) თავისუფალი დამტვერვის შემთხვევაში თეთრ-წყაროს წითელ დოლს (ტყის ზონის ეკოტიპს) მოწყვეტილი 37,5%-ით; ქართლის ეკოტიპის წითელ დოლს (გორისას და ძალისურას) 19,6—31,2%-ით. მესხეთის ეკოტიპის შიგნით დამტვერილი არც ერთი მცენარე არ გამოვლინდა. აյ პირველი თაობის 43 მცენარე 100%-ით თეთრთავთავიანია. იგი არ ეთვისება მესხეთის წითელ დოლს, ნაკლებად ღებულობს ძალისურას, შედარებით მეტი % მან მიიღო ისევ წითელი დოლის ტყის ზონის ეკოტიპი.

გურჯაანის თეთრი დოლი ირჩევს თეთრ-წყაროს წითელ დოლს 32,6%-ით, მესხეთის ეკოტიპს მხოლოდ 25,7%-ით.

ლაგოდეხის თეთრი დოლი (ქახეთის მსხვილი თავთავიანი ეკოტიპი) უფრო ეთვისება თეთრ-წყაროს წითელ დოლს (ტყის ზონის ეკოტიპი), ვიდრე სხვა თეთრი დოლის ეკოტიპები (47,2%). ასევე კარგად ღებულობს იგი წითელი დოლის მესხეთის ეკოტიპს (50%). თეთრი დოლის აღნიშნული ეკოტიპი განხილულ ეკოტიპებში გამონაკლისს წარმოადგენს. იგი სხვებთან შედარებით უფრო მეტ მიღრეკილებას იჩენს უცხო მტვერით განაყოფიერებისაკენ. როგორც თეთრ-წყაროს, ისე მესხეთის წითელთავთავიან დოლთან თავისუფლად დამტვერგის შემთხვევაში სანახევროდაა გამოვლინებული წითელთავთავიანი ფორმები.

საქართველოს დოლის ეკოტიპებში თავისუფლად დამტვერვის შედეგად მიღებულია თაობა უფრო გამძლე, ნაყოფიერი და მაღალხარისხოვანი, ვიდრე საწყისი ფორმები, რის შესახებაც ცალკეულებები გამოკვლევა.

მცირეოდენი მასალა მოგვეპოვება ხელოვნურად ნარევი მტვრით განაყოფიერების შედეგად მიღებული, სადაც აგრეთვე დიდი % ნაყოფიერდება ეკოტიპის შიგნით.

1. ♀ დოლი 35-4×♂ (დოლი 35-4 + ახალციხის წითელი დოლი, შეფარდება 1:1). ამ კომბინაციის I თაობის 15 მცენარიდან—13 თეთრთავთავიანი და 2 წითელთავთავიანი ფორმა იყო.

2. ♀ დოლი 35-4×♂ (დოლი 35-4 + შავჭხა—caerulescens, შეფარდება 1:1). ამ კომბინაციის I თაობის 17 მცენარე ყველა დოლისნაირი იყო. არც I თაობაში და არც მომდევნო თაობებში აქ არ გამოვლინებული შავჭხანაირი ფორმები. თუ ჩვენ დოლ 35-4-ს დამტვერავდით. მხოლოდ შავჭხას მტვრით, ცხადია ამ ორი ფორმიდან მივიღებდით ჰიბრიდებს.

3. ♀ დოლი 35-4×♂ (დოლი 35-4+var. hostianum შეფარდება 1:1). ამ კომბინაციის I თაობის 13 მცენარიდან 12 დოლისნაირი და 1 შებუსვილი ფორმა იყო.

ამ მცირე მასალიდანაც ჩანს, რომ ხელოვნურად ნარევი მტვრით დამტვერვის დროსაც ძირითადად საქუთარი ეკოტიპებს შიგნით ხდება განაყოფიერება. მიუხედავად ამისა სრულ პარალელს მაინც ვერ გავავლებთ ხელოვნურად ნარევი მტვრით განაყოფიერებასა და თავისუფალ განაყოფიერებას შორის. აქ მცენარეს განაყოფიერებისას არჩევითობის არაერთგვარი შესაძლებლობა აქვს.

საქართველოს ხორბლის ეკოტიპებში თავისუფალი დამტკერვისას ულიტენი ნება შემდეგი:

1. თეთრ და შიოთელ დოლს შორის თაგისუფალი დამტკერვის შედეგად მიღებული თეთრი დოლის ეკოტიპების პირველ თაობაში ჭარბადაა გამოვლინებული თეთრთავთავიანი მცენარეები.

2. სხვადასხვა ეკოტიპი არჩევით განვითარებისას სხვადასხვაგარაზე არის განწყობილი როგორც ოვეისი, ისე სხვა რომელიმე ეკოტიპის მტვერის არჩევის მიმართ. საკუთარი ან სხვისი შტვრის არჩევა ძირითადიდ დამოკიდებულია ხორბლის არა ცალკე სახესხვაობაზე, არამედ ამ სახესხვაობათა ეკოტიპებზე.

3. თავისუფალ დამტკერვისას ცალკეული ეკონტიპი ძირითადად ნაყოფიერდება ეკონტიპის შიგნით და ნაკლებად ირჩევს უცხო ეკონტიპის მტკერს. გამონაკლისია კახეთის მსხვილთავთავიანი ეკონტიპი, ორმელიც მეტად, ვიდრე სხვა ეკონტიპები, ნაყოფიერდება უცხო მტკერით.

4. ქართლის ეკოტიპის ორი ჯიში — ჯიში პოპულაციი დოლი 35-4 და დოლის ხაზი 018-46 განაყოფიერებისას ანალოგიურ თვისობას იჩენენ სხვადა-სხვა ეკოტიპის მიმართ.

М. А. Сихарулидзе

## К ВОПРОСУ ОБ ИЗБИРАТЕЛЬНОСТИ ПРИ ОПЛОДОТВОРЕНИИ ГРУЗИНСКИХ ЭКОТИПОВ ПШЕНИЦЫ

## ВЫВОДЫ

Экотипы грузинской пшеницы Доли—при свободном опылении ведут себя следующим образом:

1. В результате свободного опыления между белоколосыми и красноколосыми Доли в первом поколении наблюдается большинство растений с белой окраской колоса.

2. Различные экотипы по разному расположены к выбору пыльцы как внутри себя, так и в отношении других экотипов. Выбор своей или чужой пыльцы, в основном, зависит не от разновидности пшеницы, а от принадлежности к тому или другому экотипу.

3. Отдельные экотипы основным оплодотворяются внутри экотипа. Исключение составляет кахетинский крупноколосый экотип, который в большей степени, чем другие экотипы оплодотворяется чужой пыльцей.

4. Два сорта принадлежащие к карталинскому экотипу (сорт популяция Доли-35-4 и линия-Доли 018-46) выказывают аналогичное средство в отношении разных экотипов.

1. Бабаджанян, Г. А.—„Об избирательной способности оплодотворения сельскохозяйственных растений“. Яровизация, № 4—5, 1938.
2. Дарвин, Ч.—„Действие перекрестного опыления и самоопыления в растительном мире“. Огиз-Сельхозгиз, Москва—Ленинград, 1932.
3. Декапрелевич, Л. Л.—„Особенности главнейших экотипов пшеницы Грузии высеиваемых осенью“. № 3. გენეტიკა სამ. საქ. ს. ს. ინსტ. გარემობი, ტ. XIII, 1941.
4. Лысенко, Т. Д.—„О наследственности и ее изменчивости“, Омск, 1943.
5. Тимирязев, К. А.—„Дарвинизм и селекция“. Огиз-Сельхозгиз, 1937
6. Из книги „Жизнь и письма Чарльза Дарвина“—Яровизация, № 1, 1939.

6. ი. ჩხერელი

საქართველოს მაგარი ხორბლის (Tr. DURUM Desf.—თავთუხის)  
 სახესხვაობითი შემაღებლობა

მაგარი ხორბალი (Tr. durum Desf.), ქართულად თავთუხის სახელწოდებით ცნობილი, მეტად გავრცელებულია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. ამის გამო იღმოსავლეთ საქართველოს მაგარი ხორბლები უფრო ვრცლად არიან შესწავლილი, ვიდრე დასავლეთ საქართველოსი.

1919—20 წლებში, იღმოსავლეთ საქართველოს ხორბლების შესწავლისას, მაგარი ხორბლები აღნიშნული აქვს აკად. პ. მ. უჟკოვსკის (12) თბილისის მაზრაში, ქართლში, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში<sup>1</sup>. იგივე მონაცემები გამოყენებული აქვს ა. ა. ორლოვს (18).

1923—25 წლებში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თბილისის მაზრის ხორბლების შესწავლისას, მაგარი ხორბლის ბოტანიკური შემაღებენლობა მოცემული აქვთ დოც. გ. ი. აბესაძეს (1) და მ. პ. პრიხოდკოს (10). დაახლოებით ამავე წლებში დოც. გ. ი. აბესაძეს (2) შესწავლილი აქვს ახალციხის მაზრის ხორბლები, ხოლო მ. პ. პრიხოდკოს (11) სამხრეთ ოსეთისა, სადაც მაგარ ხორბლებს საკმაო აღვილი აქვს დათმობილი.

1923—24 წლებს ეკუთვნის ე. ბარულინას (3) და ვ. მ. სუბატაშვილის (13) ექსკურსია ჯავახეთის ხორბლების შესასწავლად. მათ სოფელ კოტელიაში უნახავთ var. coerulescens Bayle—სუფთა ნათესი, ალაგ-ალაგ კი მინარევად v. leucurum Al და v. coerulescens Bayle-თან.

იღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მაგარი ხორბლების ბოტანიკური შემაღებენლობა მოყვანილი აქვს აკად. ნ. ნ. კეცხოველს (7) კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესწავლისას კავკასიონზე. ამაზე ცოტა აღრინდელია დოც. ივ. ბახტაძის (4) შრომა, სადაც აფხაზეთის ასსრ-ში და ზემო სვანეთში ნახულ კულტურათა შორის დასახელებულია მაგარი ხორბალი და მოცემულია მისი სახესხვაობითი შემაღებენლობა. ასევე მოკლედ აქვთ აღნიშნული მაგარი ხორბალი დასავლეთ საქართველოში პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩს და ვ. ლ. მენაბდეს (6). იღმოსავლეთ საქართველოში მაგარი ხორბლის ბოტანიკურ შემაღებენლობას და მის გავრცელებას შედარებით ფართოდ ეხება ვ. ლ. მენაბდე (8).

ზემოთ აღნიშნულ ივტორთა მონაცემებზე დაყრდნობით, საქმაო აღვილი აქვს დათმობილი საქართველოს მაგარი ხორბლის რაობა-შემაღებენლობას აკადემ. ივ. ჯავახიშვილის (16) ნაშრომში—“საქართველოს ეკონომიკური ისტორია”.

<sup>1</sup> რაიონები დასახლებულია ორიგინალების მიხედვით.

ცოტა-შოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოს მაგარი ხორბლების კატეგორია. ეკო პიბად დაყოფილი აქვს პროფ. ლ. ლ. ლეკაპრელევიჩის (5) და ბოლოს საქართველოს მაგარი ხორბლები, როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის, უძრავ-ლილი აქვს ამ შრომის აგტორს (15). აღნიშნულ შრომაში აგტორი ფართოდ ეხება ბორჩალოს, თეთრ-წყაროს, კაბინის, გორის, ქარელის, ხაშურის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავისა და სხვა რაიონების მაგარი ხორბლის ჯიშურ შემადგენლობას.

საქართველოს მაგარ ხორბალს (Tr. durum Desf—თავთუხს) ახასიათებს მოლურჯო, მუქი მწვანე ან იშვიათად მოყვითალო-მწვანე აღმონაცენი. შებუ-სავი, ხორკლიანი ან იშვიათად შებუსვილი. ლერო უმეტესად სწორმდგომი აქვს, მუქი მწვანე, ზედა ნაწილში მთლიანად ან ნახევრად ამოვსებული ღრუთი, სიმაღლით 90—160 სმ, ბარტყობა 1,2—3,5-მდე.

ფოთლები მოლურჯო-მწვანე, მუქი მწვანე ან იშვიათად მოყვითალო-მწვანე, უმეტესად ტიტველი, ხორკლიანი ან იშვიათად შებუსვილი, სიგრძით 17—35 სმ, სიგანით 1,0—1,5 სმ, იშვიათად 1,9 სმ-მდე. ვაგინა ტიტველი, შეუბუსავი. კავები და ენაკი აქვს. თავთავები სიგრძით 4—12 სმ და მეტიც. ჩვეულებრივ გვერდის მხარე უფრო განიერია (0,8—2,0 სმ), ვიდრე წინა მხარე (0,7—1,5 სმ) ან ტოლნი. თავთავები ძლიერ დაშლილიდან მკვრივამდე,  $d=16-50$ , უმეტესად 25—35. მრავალყვავილოვანი (2-5) რომბისებრი ან მომრგვალო თავთუნებით. ფხა 7 სმ-დან 25 სმ-მდე, ძლიერ ხორკლიანი, სუსტად ხორკლიანი ან იშვიათად უხორკლო. თავთუნების რიცხვი თავთავში 12—30-მდე, 2—5 ყვავილით თითო თავთუნში, აქედან ვითარდება 2—4, იშვიათად ხუთივე. თავთავი არ არის მტკრევადი. ჩვეულებრივი წესით გალეჭვისას მარცვალი აღვილად თავისუფლდება კილიდან. თავთუნის კრლი-სქელკანიანი, ნათლად ემჩნევა ქედი თავიდან ბოლომდე, რომელიც ზევით აშკარად გამოსახული კბილით თავდება. დატოტვილი ფორმები არა აქვს. საქართველოში უფხო ფორმები აღნიშნული არ არის. მარცვალი გრძელი აქვს, აღწევს 1,1 სმ-მდე, უმეტესად რქისებრი კონსისტენციისა. არის ფორმები, რომელთაც ახასიათებს ფხის ცვენა, მაგ., v. coerulescens Bayle, v. leucurum Al. იშვიათად — v. apulicum Körn.

დიდი გავრცელება აქვს v. apulicum Körn. (თავთავი შებუსვილი, წითელი, ფხა შავი, მარცვალი თეთრი) პოპულაციას, რომელიც ქართულად შავფხად იწოდება. მასში მინარევად დიდი რაოდენობით გვხვდება v. niloticum Körn. (თავთავი შებუსვილი, წითელი, ფხა შავი, მარცვალი წითელი). აღნიშნული პოპულაცია პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩის დაყოფით მიეკუთვნება ბორჩალოს ჯაფუს (pr. bortschalicum Dekapr). ძირითადად გავრცელებულია ბორჩალოს, თეთრ-წყაროს და ბოლნისის რაიონებში, ნაწილობრივ—ქართლსა და კახეთში.

ამავე ეკოტიპს ეკუთვნის თეთრი თავთუხსის—v. leucurum Al. (თავთავი შეუბუსავი, თეთრი, ფხა თეთრი, მარცვალი თეთრი) პოპულაცია. უკანასკნელი პირველთან შედარებით, ნაკლებად გავრცელებულია. გვხვდება უმავრესად თეთრ-წყაროს და ბოლნისის რაიონებში, იშვიათად ქართლსა და კახეთში.

ქართლში საქმიოდ გავრცელებულია v. coerulescens Bayle (თავთავი შებუსვილი, შავი წითელ ფონზე, ფხა შავი, მარცვალი თეთრი) პოპულაციები,

რომელებშიაც ხშირად სქარბობს v. libycum Körn. (თავთავი შებუსვილი, ზვი  
წითელ ფონზე, ფხა შავი, მარცვალი წითელი). ამ პოპულაციებს ქართულობრივ  
უწოდებენ „შავფხას“. რომ ადვილად განვისახვავოთ v. apulicum Körn. პოპუ-  
ლაციებიდან, v. coeruleascens Bayle პოპულაციებისათვის მიღებულია სახელ-  
წოდება შავი თავთუხი. პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩის დაყოფის თანახმად  
ეკუთნის ქართლის ეკოტის (pr. carthlicum Dekapr.). გავრცელებულია ქარ-  
თლში და მის მოსაზღვრე რაიონებში. სხვა ხორბლის პოპულაციებთან შედარე-  
ბით ჰაერის სიმშრალის ამტანია.

უფრო ნაკლებად არის გავრცელებული v. hordeiforme Host (თავთავი  
შეუბუსავი, წითელი, ფხა წითელი. მარცვალი თეთრი) პოპულაცია, რომელიც  
აკად. 6. 6. კეცხოველს აღნიშნული აქვს სავანეთში, სადაც მას უწოდებენ „ლჳა  
პურს“, ხოლო ჩვენ მიერ ნახულ იქნა თელავის რაიონში. ადგილობრივი მო-  
სახლეობა მას წითელ თავთუხს უწოდებს.

საქართველოში პირველად არის ჩვენ მიერ აღნიშნული v. melanopus Al.  
(თავთავი შებუსვილი, თეთრი, ფხა შავი, მარცვალი თეთრი) პოპულაციები.  
მათ ჩვენში უწოდებენ „შავფხას“. რომ არ მოხდეს აღრევა v. apulicum Körn.  
პოპულაციებთან, უმჯობესია v. melanopus Al. პოპულაციებს უწოდოთ თეთრი  
შავფხა, ისე როგორც v. coeruleascens Bayle პოპულაციები უწინ შავფხად  
ცრიბილნი, ახლა შავ თავთუხად იწოდებიან. თეთრი შავფხა გვხვდება კასპისა  
და საგარეჯოს რაიონის საჩრწყავ ფართობებზე.]

საქართველოში დღემდე ნახულია მაგარი ხორბლის შემდეგი სახესხვაობები:  
v. leucurum Al.—თავთავი შეუბუსავი, თეთრი, ფხა თეთრი, მარცვალი თეთრი.

მიეკუთვნებიან ჯგუფ commune, თავთავის სიმკვრივის მიხედვით pr. de-  
nsiunculum Flaksb., ნაწილობრივ pr. laxiusculum Flaksb., თავთავის ფორმა  
თითქმის ცილინდრული ან ოდნავ კონუსური აქვს, სიგრძით 5,4—9,5 სმ, თავ-  
თავში 19—26 თავთუხით. 1000 მარცვლის წონა აღწევს 41,1—51,0 გ-მდე.  
მარცვალი რქისებრია, იშვიათად ფქვილისებრი. ბარტყობა 2,7—3,2, ნახევრად  
საშემოდგომო ფორმაა. სუფთა ნათესის სახით გვხვდება ბოლნისის, თეთრ-წყა-  
როს, თბილისის, გორის, დუშეთის, საგარეჯოს, გურჯაანისა და თელავის რაი-  
ონებში. მინარევად ბორჩალოს, ახალციხისა და სიღნაღის რაიონებში, იშვიათ  
მინარევად ქასპის, ხაშურის, სამხ. ოსეთის ა..ო-ში და ახალქალაქის რაიონებში.  
დასავ. საქართველოში მინარევად აღნიშნულია ზემო სვანეთსა და რაჭაში.

ვ. ლ. მენაბდეს (8) სუფთა ნათესის სახით აღნიშნული აქვს ბორჩალოსა  
და ყარაიას რაიონებში, სადაც ჩვენ მიერ ნახული არ ყოფილა. ყარაიას რაი-  
ონში ამჟამად მაგარი ხორბლის ნათესები არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ  
მივიღებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის რესპუბლიკუ-  
რი საცდელი სადგურის მინდორს, სადაც ავტორის მიერ 1939 წ. შეტანილი  
იყო საქართველოს მაგარი ხორბლები შესწავლის მიზნით, ხოლო 1940 წ. გა-  
დავეცით მათ ბორჩალოს პოპულაცია შავფხა—v. apulicum Körn. გასამრავ-  
ლებლად, რომელიც ამჟამად ითესება საკმაოდ დიდ ფართობზე.

v. leucurum Al. პოპულაციას ქართულად თეთრ თავთუხს ან თავთუხს  
უწოდებენ, თურქულად „აღ-ბულდად“ არის ცნობილი.

v. *affine* Körn.—თავთავი შეუბუსავი, თეთრი, ფხა თეთრი, მარცვალი წითელი. გვხვდება მინარევად ბორჩალოს, ბოლნისის, თეთრ-წყაროს, გორის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში. იშვიათ მინარევად თბილისის, საგარეჯოს რაიონებში. აღნიშნული იყო ყარაიას რაიონში.

v. *Reichenbachii* Körn.—თავთავი შეუბუსავი, თეთრი, ფხა შავი, მარცვალი წითელი. იშვიათ მინარევად აღნიშნულია თბილისისა და ყარაიას რაიონებში.

v. *hordeiforme* Host.—თავთავი შეუბუსავი, წითელი, ფხა წითელი, მარცვალი თეთრი. მიეკუთვნება ჯგუფ *commune*-ს, თავთავის სიმკრივის მიხედვით—pr. *laxiusculum* Flaksh.-ს, ნაწილობრივ pr. *densiussculum* Flaksh.-ს.

თავთავი ოდნავ კონუსური, სიგრძით 6,5—9,1 სმ. თავთავში 16—24 თავთუხი. 1000 მარცვლის წონა აღწევს 37—42 გ-მდე. მარცვალი რქისებრი, იშვიათდან ფქვილისებრი. ბარტყობა 2,5—3,0. სუფთა ნათესი აღნიშნულია სვანეთში (უწოდებენ „ლჰა პურს“) და თელავის რაიონში (წითელი თავთუხი). მინარევად გვხვდება ბორჩალოს, ბოლნისის, თეთრ-წყაროს, კასპის, გორის, ახალციხის, საგარეჯოს და ყარაიას რაიონებში. დასავლეთ საქართველოში აღნიშნულია რაჭასა და ლეჩხუმში, იშვიათ მინარევად—თბილისისა და გურჯაანის რაიონებში.

v. *erythromelan* Körn.—თავთავი შეუბუსავი, წითელი. ფხა შავი. მარცვალი თეთრი. აღნიშნულია მინარევად ბორჩალოს, ყარაიას და თბილისის რაიონებში.

v. *mureciense* Körn.—თავთავი შეუბუსავი, წითელი, ფხა წითელი. მარცვალი წითელი. მინარევად გვხვდება გორის, დუშეთისა და თელავის რაიონებში. იშვიათ მინარევად ყარაიას, თბილისის, კასპისა და საგარეჯოს რაიონებში. დასავლეთ საქართველოში გვხვდება სვანეთისა და რაჭაში.

v. *alexandrinum* Körn.—თავთავი შეუბუსავი, წითელი. ფხა შავი, მარცვალი წითელი. იშვიათ მინარევად გვხვდება კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებში.

v. *Valenciae* Körn.—თავთავი შებუსვილი, თეთრი, ფხა თეთრი, მარცვალი თეთრი. იშვიათ მინარევად აღნიშნულია ბორჩალოს, ბოლნისის, თეთრ-წყაროს, ყარაიას, თბილისის, გორის, საგარეჯოს, გურჯაანისა და თელავის რაიონებში.

v. *melanopus* Al.—თავთავი შებუსვილი, თეთრი, ფხა შავი, მარცვალი თეთრი. მიეკუთვნება ჯგუფ *duro-oblongum* pr. *falcatum* Jakubz.—ნაწილობრივ ჯგუფ *commune*, pr. *densiussculum* Flaksh.

თავთავი კონუსური ან ოდნავ კონუსური, სიგრძით 6—11 სმ, 22—30-მდე თავთუნით. 1000 მარცვლის წონა 46—52 გ-მდე. მარცვალი რქისებრი, სწორი ან ოდნავ მოხრილი. სიგრძით 11 მმ-მდე აღწევს. ბარტყობა 2,15—3,0. საგარზაფხულო ფორმა. სუფთა ნათესი გვხვდება კასპისა და საგარეჯოს რაიონებში. მინარევად აღნიშნულია ბორჩალოს, ბოლნისის, თეთრ-წყაროს, ყარაიასა და დუშეთის რაიონებში, როგორც იშვიათი მინარევი—თბილისის, გორის ა-ერელის, სამხრეთ საქართველოს ა. მ-ში, ახალციხის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში. პოპულაციას ქართულად ეწოდება თეთრი შავფხა.

*V. aspicum* Tschchen.—თავტავი შემუსვილი, თეთრი. თავტავის და კუნძულის გვერდი მომზადებული არ არის. მარცვალი თეთრი. ნახულია და აღწერილი ამ შრომის აკტორის მიერ. მინარევად დიდი რაოდენობით გვხვდება თეთრ შავფხას (*v. melanopus* Al.) პოპულაციებში. აღნიშნულია მინარევად კასპისა და საგარეჯოს რაიონებში.

v. italicum A1.—თავთავი შებუსვილი, წითელი. ფხა წითელი. მარცვალი თეთრი. გვედება მინარევად ბორჩალოს, ბოლნისის, თეთრ-წყალს, ყარაიას და გორის რაიონებში. იშვიათ მინარევად თბილისის, კასპის, ხაშურის, ღვერტის, სამხ. ლევთისა. ა-ში, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში. დასავალეთ საქართველოში აღნიშნულია სვანეთისა და ლეჩხუმში.

v. *apulicum* Körn.—თავთავი შებუსვილი, წითელი. ფხა შავი, მარცვალი თეთრი. მიკუთვნება ჯგუფ *commune*-ს. თავთავის სიმკრივის მიხედვით—pr. *densiusculum* Flaksb.-ს, ერთეული თავთავები გვხვდება pr. *laxiusculum* Flaksb., თავთავის ფორმა ოდნავ კონუსურია ან თითქმის ცილინდრული, სიგრძით 3,9—8,6 სმ, თავთავში 16—28 თავთუნი. 1000 მარცვლის წონა 39,5—51,0 გ-მდე. მარცვალი რქისებრი, იშვიათად ფქვილისებრი. ბარტყობა 2,8—4,0. ნახევრად საშემოდგომო ფორმაა.

სუფთა ნათესი გვხვდება ბორჩალოს, ზოლნისის, თეთრ-ჭყაროს, ყარაიას, თბილისის, გორის, ხაშურის, ღუშეთის, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში. მინარევად აღნიშნულია კასპის, ქარელის, სამხ. ოსეთის ა. თ-ში, ბორჯომ-ბაკურიანისა და თელავის რაიონებში, ზემო სვანეთში, ლეჩხუმისა და რაჭაში. პო-პულაციას ქართულად შავფხას. უწოდებენ, თურქულად — „კრმზი-ბულდას“ ან „ყარა-კლიჩეს“.

*v. aegyptiacum* Körn.—თავთავი შებუსვილი, წითელი. ფხა წითელი. მარცვალი წითელი. იშვიათ მინარევად გვეკვდება ბოლჩალოს, ბოლნისის, თეთრზეყალოს, ყარაიის, გორიისა და გურჯაანის რაიონებში.

v. niloticum Körn.—თავთავი შებუსვილი, ფხა შავი. მარცვალი წითელი. მინარევად დიდი რაოდენობით (30%, იშვიათად 50%-მდე) გვხვდება შავ-ფხას (v. apulicum Körn.) ნათესებში. მინარევად აღნიშნულია ბორჩალოს ბოლნისის, ოქტო-წყაროს, ყარაის, თბილისის, გორის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, სამხ. ოსეთის ა. თ. ში, საგარეჯოს, გურჯაანისა და ოლავის რაიონებში, ზემო სვანეთსა და რაჭაში.

v. Boefii Flaksb. — თავთავი შებუსვილი, შავი ოქტო (ყვითელ) ფონზე, ფხა შავი. მარცვალი თეთრი. საქართველოში პირველად აღნიშნულია ჩვენ მიერ (დღემდე აღნიშნული იყო ტუნისსა და მარკოში).

გვევდება მინარევად უმთავრესად შავი თავთხების (*v. coerulescens* Bayle) ნაოქებში. ნახული არის კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, საგარეჯოსა და თელჭის რაიონებში.

v. Dekaprelevitschi Tschichen. — თავთავი შებუსვილი, შავი თეთრი (ყველოვნები) ფონტე, ფართ შავი, მარცვალი წითელი. ნახულია და აღწერი-



ლისა ამ შრომის ავტორის მიერ. გვხვდება მინარევად უმთავრესად შავი ფოთობული თუხის (v. *coerulescens* Bayle) ნაოქსებში. აღნიშნულია კასპის, გორის, ერევლის, ხაშურისა და თელავის რაიონებში.

v. *coerulescens* Bayle.—თავთავი შებუსვილი, შავი წითელ ფონზე, ფხა შავი, მარცვალი თეთრი.

მიეკუთვნება ჯგუფ *commune*-ს, თავთავის სიმკვრივის მიხედვით—pr. *la-  
xiuseculum* Flaksb.-ს, იშვიათად გვხვდება pr. *densiuseculum* Flaksb.

თავთავი თითქმის ცილინდრული, იშვიათად ოდნავ კონუსური. სიგრძით 5,5—8,6 სმ-მდე. თავთავში 17—24 თავთუნი. 1000 მარცვლის წონა აღწევს 40,0—50,6 გ-მდე. მარცვალი რქისებრი ან ფქვილისებრი. ბარტყობა 2,55—3,20. საგაზაფხულო ფორმაა.

სუფთა ნათესად გხვდებით ბოლნისის, თბილისის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, სამხრეთ ოსეთის ა. ო-ში, ბორჯომ-ბაჯურიანის, ახალცი-  
ხის, ახალქალაქის, საგარეჯოს და თელავის რაიონებში, ზემო სვანეთსა და რაჭაში. გავრცელებული პოპულაციაა ქართლის რაიონებში. მინარევად აღნიშ-  
ნულია თეთრ-წყაროსა და სილნალის რაიონებში.

ბორჩალოს, თეთრ-წყაროს და ყარაიას რაიონებში აღნიშნული იყო სუფ-  
თა ნათესის სახით—ამეამად არ გხვდება. ქართულად პოპულაციის უწოდებენ  
შავფხას ან შავ თავთუხს, უკეთესია უკანასკნელი, რათა ადგილი გასარჩევი  
იქნეს v. *apulicum* Körn. პოპულაციებიდან, რომელნიც შავფხად არიან ცნო-  
ბილი. თურქულად უწოდებენ „ყარა ბუღდას“ ან „ყარა ყლჩიას“.

v. *libycum* Körn.—თავთავი შებუსვილი, შავი წითელ ფონზე, ფხა შავი,  
მარცვალი წითელი. მინარევად დიდი რაოდენობით გვხვდება შავი თავთუხის  
(v. *coerulescens* Bayle) ნაოქსებში. ქართლის რაიონებში ხშირად სჭარბობს  
v. *coerulescens* Bayle-ს და თვითონ გამოდის ძირითად ფონის შემცნელად.  
აღნიშნულია ბოლნისის, თბილისის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, დუშე-  
თის, სამხრეთ ოსეთის ა. ო-ში, ბორჯომ-ბაჯურიანის, ახალციხის, საგარეჯოსა  
თელავის და რაიონებში. დასავლეთ საქართველოში გვხვდება ზემო სვანეთსა  
და რაჭაში.

ამგვარად, საქართველოს მაგარი ხორბლის (Tr. *durum* Desf.—თავ-  
თუხი) მრავალფეროვნება წარმოდგენილია 19 სახესხვაობით დღემდე არსებული  
16-ის ნაცვლად. რაც გამოწვეულია v. *Boeufii* Flaksb. აღნიშვნით და ახა-  
ლი სახესხვაობების v. *Dekaprelevitschi* Tschchen. და v. *caspicum* Tschchen.  
აღწერით.

საქართველოში აღნიშნული მაგარი ხორბლების (Tr. *durum* Desf.—თავ-  
თუხი) ოთხნაირ პოპულაციას შავფხას (v. *apulicum* Körn), შავ თავთუხს  
(v. *coerulescens* Bayle), თეთრ თავთუხს (v. *lueurum* Al.), წითელ თავ-  
თუხს (v. *hordeiforme* Host.), ემატება მეტუთე პოპულაცია—თეთრი შავფხა  
(v. *melanopus* Al.).

## РАЗНОВИДНОСТИ ТВЕРДОЙ ПШЕНИЦЫ (Tr. DURUM Desf.—„ТАВТУХИ“) В ГРУЗИИ

### Р е з ю м э

Твердая пшеница (Tr. durum Desf.—„тавтухи“) в Грузии распространена преимущественно в Восточной ее части.

Распространение твердой пшеницы в Грузии разновременно изучено целым рядом исследователей. С 1919 года изучением твердой пшеницы в Грузии занимались акад. П. М. Жуковский, доц. Г. Ю. Абесадзе, М. П. Приходько, Е. Барулина, В. М. Супаташвили, академ. Н. Н. Кецховели, В. Л. Менабде, проф. Л. Л. Декапрелевич.

Позднее, в 1941 г., проф. Л. Л. Декапрелевич твердую пшеницу Восточной Грузии подразделил на два экотипа и, наконец, автором настоящей статьи в 1941 году дано довольно подробное описание распространения твердой пшеницы по Восточной Грузии.

По имеющимся данным преимущественным распространением пользуется *v. apulicum* Körn. („Шавпха“) с большей примесью *v. piloticum* Körn. Популяция эта, согласно деления проф. Л. Л. Декапрелевича, относится к Борчалинской группе (pr. *Bortschalinicum* Dekapr.).

К этому же экотипу относятся несколько менее распространенные популяции *v. leucurum* Al. („Тетри тавтухи“).

В Карталинии распространена популяция *v. coerulescens* Bayle с большой примесью *v. libycum* Körn., местами создающий основной фон („Шави тавтухи“). Обе эти популяции относятся к Карталинскому экотипу (pr. *carthlicum* Dekapr.).

Сравнительно в меньшей степени распространена популяция *v. hordeiforme* Host („Цители тавтухи“).

В Грузии впервые нами описана популяция *v. melanopus* Al. („Тетри шавпха“), встречающаяся на поливных участках в районах Каспи и Сагареджо.

До настоящего времени в Грузии описаны следующие разновидности твердой пшеницы:

1. *v. leucurum* Al. („Тетри тавтухи“) относится к группе *commune*, а по плотности колоса к pr. *densiusculum* Flaksb., частично pr. *laxiusculum* Flaksb., 2. *v. affine* Körn. 3. d. *Reichenbachi* Körn. 4. *v. hordeiforme* Host („Цители тавтухи“), относится к гр. *commune*, pr. *laxiusculum* Flaksb., частично pr. *densiusculum* Flaksb., 5. *v. erythromelan* Körn., 6. *v. murciense* Körn., 7. *v. alexandrinum* Körn., 8. *v. Valenciae* Körn., 9. *v. melanopus* Al. („Тетри шавпха“) относится к группе *duro-oblongum*, pr. *falcatum* Jakubz., частично к группе *commune*, pr. *densiusculum* Flaksb., 10. *v. caspicum* Tschchen., встречается как примесь в популяциях *v. melanopus* Al., неизвестная до настоящего времени,

впервые найдена и описана автором настоящей статьи в 1941 г., 11. v. *africanum* Körn., 12. v. *italicum* Al., 13. v. *apulicum* Körn. ("*пха*") относится к гр. *commune*, пр. *densiusculum* Flaksb., единичные экземпляры пр. *laxiusculum* Flaksb., 14. v. *aegyptiacum* Körn., 15. v. *niloticum* Körn. 16. v. *Boeufli* Flaksb. в виде примеси к v. *coeruleus* Bayle, В Грузии впервые найдена автором настоящей статьи в 1941 г., 17. v. *Dekaprelevitschi* Tschchen., неизвестная до настоящей времени впервые найдена и описана автором настоящей статьи в 1941 г. Встречается в виде примеси к v. *coeruleus* Bayle, 18. v. *coeruleus* Bayle., относится к гр. *commune*, пр. *laxiusculum*, Flaksb., реже пр. *densiusculum* Flaksb. 19. v. *libicum* Körn.

Таким образом, все разнообразие твердой пшеницы в настоящее время в Грузии представлено 19 разновидностями, взамен ранее известных 16 разновидностей.

К существовавшим же четырем популяциям *v. apulicum* Körn. („Шавпха“), *v. coerulenscens* Bayle („Шави тавтухи“), *v. leucurum* Al. („Тетри тавтухи“), *v. hordeiforme* Host („Цители тавтухи“), прибавилась пятая популяция *v. melanopus* Al. („Тетри шавпха“).

ପ୍ରଦୀପକାନ୍ତଶ୍ରୀ

1. Адигесафо, г. о. — „ზოგიერთი ცნობები თბილისის მაზრის პურეულების შესახებ“. აგრობ. კრებ., № 2, 1926 წ.
  2. Адигесафо, г. о. „ახალციხის მაზრის ხორბლები“, ექსპ. აგრ. ინსტ.-ის მოამბე, № 6, 1929 წ.
  3. Барулина, Е. — „Полевые культуры Джавахетии“, Ленинград, 1926 г.
  4. Бахтадзе, И. Г. — Результаты обследования полевых культур ССР Абхазии и Верхней Сванетии“. Сухум, 1927 г.
  5. Декапрелевич, Л. Л. — „Особенности главнейших экотипов пшениц Грузии, висеваемых осенью“, Тбилиси, 1941 г.
  6. Декапрелевич, Л. Л. и Менабде В. Л. — „К изучению полевых культур Западной Грузии“.
  7. ვეოცხველი, ბ. ბ. — „მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესაწავლად კავკასიონზე“. თბილისი, 1928 წ.
  8. Менабде, В. Л. — „Материалы по изучению географии хлебных злаков Восточной Грузии в связи с их зональностью“. Тифлис, 1928 г.
  9. ლომთური, ი. ბ. — „მემცნებარების კურსი“. პურეულები. ხელნაშერი. 1940 წ.
  10. Приходько, М. П. — „Ботанический состав пшеничных посевов окрестностей гор, Тифлиса“. Ленинград, 1928 г.
  11. Приходько, М. П. — „Зональное распределение пшениц в Юго-Осетии“, 1928 г.
  12. Жуковский, П. М. — „Материалы по изучению пшениц Вост. Грузии“, 1923 г.
  13. სუპატაშვილი ვ. ბ. — „ახალჯალაქის მაზრის პურეულები და ასლები“. სადისლომა შრომა. ხელნაშერი. 1925 წ.
  14. Фляксерберг, К. А. — „Определение настоящих хлебов“ 1939 г.
  15. ჩხერიშვილი, ბ. ი. — „საქართველოს მაგარი ხორბალი (Tr. durum Desf.—თავთუხი) როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის“. სადისლომა შრომა, 1941 წ.
  16. ჯავახიშვილი ი. გ. — „საქართველოს ეკონომიტური ისტორია“. წიგნ I, 1930 წ.
  17. ჩხერიშვილი, ბ. ი. — „მაგარი ხორბლის (Tr. durum Desf.—თავთუხის) ახალი სახელმძღვანელოსათვის“. საქ. მცც. აკადემიის მოამბე, № 4, 1944 წ.
  18. Орлов, А. А. — „Географический центр происхождения и район возделывания твердой пшеницы“, Л. 1922 г.

୩୧୬୦ ୮ ୧୯୮.

